

არშემდგარი ექსპერიმენტი პატიმართა მხარდასაჭერად A4



დასკვნებამდე მიმავალი გზა დიდია A8



ორადეაში ევროპული წყალი ჩაედინება C1


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 20 ივლისი, 2006 წელი. №161 (1313)

ფასი 50 თეთრი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## პოლიტიკა

პასუხი "ხელისუფლების სიძულვილით დაბრმავებული ოპოზიციონერისაგან"

A3

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 21 ივლისს გაზეთ "24 საათში" წარმოგიდგენთ კანონპროექტს "პროფესიული განათლების შესახებ".

"პროფესიული განათლების შესახებ" კანონპროექტის შემუშავებითა და საზოგადოების წინაშე წარდგენით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ძირითადად, ასრულებს განათლების სისტემის რეფორმის კონცეპტუალური და საკანონმდებლო ბაზის შექმნას. პირველ რიგში, კანონპროექტი ეფუძნება "პროფესიული განათლების კონცეფციას", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 აგვისტოს NN150 დადგენილებით.

ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ წარმოგვიდგინოს შენიშვნები და წინადადებები.


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


# პატრიოტთა თამაშები

### ვის არ სურს სამშვიდობო ძალების გასვლა?

ვერიკო თევზაძე

*"ბოლო ერთი წელია საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია თავს ესხმის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფასეულობას, თავს ესხმის რეფორმებს და უმრავლესობის ლიდერებს აყენებს პირად შეურაცხყოფას", - განაცხადა საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ. "ეტყობა, უმრავლესობამ ჩათვალა, რომ საჭირო იყო დამატებითი პიარ-აქციის ჩატარება, რათა ხალხს დაეჯერებინა, რომ პარლამენტმა მართლა ისტორიული დოკუმენტი მიიღო. ეტყობა, ამაში თვითონაც არ არიან ბოლომდე დარწმუნებულნი," - განაცხადა "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა დავით ბერძენიშვილმა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*გიგა ბოკერია ოპოზიციას საზოგადოებაში უიმედობის დანერგვაში ადანაშაულებს.*

# მუქარა მოსკოვიდან

### სამშვიდობო ძალების გაყვანის შედეგები რუსეთის თვალით

სოფო ბუკია

*"თბილისმა შესაძლოა არც კი იცის რა ახლოს არის სერიოზულ შეიარაღებულ დაპირისპირებასთან რუსეთთან," - საქართველო-რუსეთის ბოლოდროინდელი ურთიერთობების ანალიზის შემდეგ რუსული მედია ასეთ დასკვნებს აკეთებს. რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტი რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით კრემლის პროვოცირებას ახდენს, რის გამოც თბილისი სამაგალითოდ დაისჯება.*

"ქართული ინფექცია" - ასეთი დაავადება დაუდგინა რუსულმა პრესამ მოლდოვას პარლამენტს, რომელმაც გუშინ, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად, რუსი სამშვიდობოების დნესტრისპირეთიდან გასვლის საკითხი დააყენა.

**"რუსი სამხედროების მოლდოვას ტერიტორიიდან გასვლა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების წინაპირობა გახდება,"** - განაცხადა მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარემ მარიან ლუპუმ.

რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გუშინდელ რუსულ პრესაში მსჯელობის ნომერ პირველ თემად იქცა. რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კრემლის პოლიტიკით უკმაყოფილო პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთთან ურთიერთობების ღია პროვოცირებაზე მიდიან.

პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი მარკედონოვი მიიჩნევს, რომ საქართველო ეცდება გააფუჭოს ის დადებითი განწყობა, რომელიც მსოფლიო ლიდერებმა "დიდი რვიანის" სამიტის დროს რუსეთის მიმართ გამოხატეს. **"საქართველო და მოლდოვა ყველანაირად შეეცდებიან რუსეთის პროვოცირებას და რუსეთის საპასუხო ქმედებებს კი რუსულ "ნეოიმპერიალიზმად" შერაცხავენ, რათა მოსკოვსა და ვაშინგტონს, მოსკოვსა და ბრიუსელს შორის ურთიერთობების გაცივება გამოიწვიონ,"** - მიიჩნევს მარკედონოვი, რომელიც კრემლს ურჩევს ქართულ და მოლდოვურ პროვოკაციებზე არ წამოეგოს.

**"საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება "სამშვიდობო ძალების შესახებ" რუსი სამშვიდობოების გაყვანის კონკრეტულ ვადებზე არ მიუთითებს. ვადები საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსული მოგონებები საქართველოზე

### Я тебе один умны вещ скажу, только ты не обижайся!

**B**

*"მაშინ აჭარის კურორტებს სეზონის განმავლობაში თითქმის ორი მილიონი ტურისტი ისვენებდა ხოლმე. ახლა რუსი დამსვენებლისთვის იქ წასვლა, ნამდვილი ეგზოტიკაა," - ჰყვება რუსი ჟურნალისტი, "იმეეშ პრავოს" კორესპონდენტი იგორ გრონსკი. ის რამდენიმე დღის წინ თავად ჩაფრინდა ბათუმში და დარწმუნდა, რომ "ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო ლეგენდარული ქართული სტუმართმოყვარეობა არსად გამქრალა. აი რუსეთში გამქრალი ქართული ღვინოები კი უჩვეულოდ გემრიელი ყოფილა."*



# რუსეთს აშშ-ს სენატი აკრიტიკებს

### 530-ე რეზოლუცია

**17 ივლისს მიღებულ რეზოლუციაში აშშ-ს სენატი მკაცრ კრიტიკას გამოთქვამს რუსეთის მისამართით და აშშ-ს და "დიდი რვიანის" სხვა წევრებს რუსეთის საზღვრებთან "ახალი დემოკრატიების მხარდაჭერისკენ" და მათ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ მოუწოდებს - "აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში დემოკრატიის ბასტიონის დასაცავად".**

აშშ-ს სენატორის ჯოზეფ ბაიდენის ინიციატივით, სენატმა შეიმუშავა 530-ე რეზოლუცია, რომელსაც მხარი მისმა კოლეგებმაც დაუჭირეს. აღნიშნული რეზოლუცია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და "დიდი რვიანის" სხვა წევრი-სახელმწიფოების ლიდერებს, რომლებიც სანკტ-პეტერბურგში გამართულ სამიტს ესწრებოდნენ, მოუწოდებს, გამართონ ღია დიალოგი რუსეთის პრეზიდენტთან მისი ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ალიანსის ერთობლივ მიზნებს ეწინააღმდეგება, კერძოდ, მსოფლიო უსაფრთხოების დაცვას, ეკონომიკურ სტაბილურობას, დემოკრატიასა და სხვ.

"დიდი რვიანის" ისტორია 1975 წელს საფრანგეთში, რამბუიეში შეხვედრით დაიწყო, ოღონდ მაშინ ალიანსში ჯერ მხოლოდ ექვსი სახელმწიფო - საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და აშშ გაწევრიანდა. იქვე გადაწყდა, ყოველწლიური შეხვედრების მოწყობა როტაციის პრინციპის თავმჯდომარეობით განხორციელებულიყო. "დიდი ექვსეული" ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ეკონომიკური სტაბილურობის, მსოფლიო უსაფრთხოებისა და დემოკრატიის განვითარების მიზნით შეიქმნა. ერთი წლის შემდეგ "დიდ ექვსეულს" კიდევ ერთი წევრი - კანადა შეემატა. რუსეთი კი "დიდ შვიდეულს" 1998 წელს შეუერთდა პრეზიდენტ ბილ კლინტონის წინადადებით, რომელმაც ეს ინიციატივა რუსეთის იმდროინდელი პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ დაწყებული რეფორმებისა და ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების გამო გამოიჩინა. "დიდი რვიანის" თავმჯდომარეობა 2006 წლისთვის, როტაციის პრინციპით, რუსეთს 2002 წელს ერგო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავრობამ სამშვიდობოების გაყვანაზე მუშაობა დაიწყო

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობას დაავალა, მუშაობა დაიწყონ პარლამენტის მიერ 18 ივლისს მიღებულ დადგენილებაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას ითვალისწინებს.

პრემიერის მიმართვა, უპირველესად, საგარეო საქმეთა სამინისტროს და კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას ეხებოდა.

სხდომის დაწყების წინ საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ სააკაშვილი-პუტინის შეხვედრა კონსტრუქციული იქნება. ბეჟუაშვილმა რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტების პირველ შეხვედრაზეც გაამახვილა ყურადღება და ამ დიალოგს "მძიმე, მაგრამ საინტერესო" უწოდა. **"ორი ქვეყნის ურთიერთობებში ცენტრალური თემა არის კონფლიქტები და რუსეთის პოზიტიური როლი ამ კონფლიქტების მოგვარებაში ერთადერთი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვით. ამისათვის ნებისმიერ კომპრომისსა და მოდელზე ვართ მზად. მოსკოვში კონკრეტული წინადადებით მივდივართ - როგორ დავძრათ კონფლიქტის მოგვარების პროცესი. ბუნებრივია, ამ შეხვედრის ფონი კონსტრუქციული იქნება, რადგან სუვერენული ქვეყნის გადაწყვეტილებას ნებისმიერი ქვეყანა კონსტრუქციულად უნდა შეხვდეს"**, - განუცხადა ჟურნალისტებს ბეჟუაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისრაელი უკან არ იხევს

### "სამშვიდობო ოპერაცია ნაადრევია"

*საერთაშორისო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ისრაელი საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას არ ჩქარობს. ოფიციალური იერუსალიმის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, ებრაელები მზად არიან კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში იბრძოლონ "ჰეზბოლას" აქტივისტების წინააღმდეგ.*

თეა მაისურაძე

გუშინ დილით ბეირუთში 5 ბომბი აფეთქდა, რის შედეგადაც ძირითადად ლიბანის დედაქალაქის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მდებარე დასახლებები დაზიანდა. გუშინვე სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე, საბრძოლო ტექნიკისა და სამალავების აღმოჩენის მიზნით, ებრაელი სამხედროები შევიდნენ. ბევრმა ისრაელის ამგვარი ქმედება აღიქვა როგორც იმ ფართომასშტაბიანი ოპერაციის დასაწყისი, რომლის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. მაშინ ისრაელის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მომავალში ლიბანის სამხრეთ ნაწილში დიდი რაოდენობით ქვეითი ჯარის გაგზავნას აპირებს.

გაერო-ში ისრაელის ელჩის დან გილერმანის განცხადებით, **"აღნიშნული ოპერაცია ლოკალურია და არ წარმოადგენს ლიბანზე თავდასხმას ან რაიმე სახის ოკუპაციას"** .

ლიბანის პრემიერ-მინისტრი, ფუად სანიორა ტერორისტულ დაჯგუფება "ჰეზბოლას" მოუწოდებს, დაკავებული ორი ებრაელი სამხედრო გაათავისუფლოს. თუმცა, ამავდროულად მიიჩნევს, რომ ებრაელი სამხედროების დაკავებაზე ისრაელის რეაქცია და მისი შემდგომი ქმედებები არაპროპორციული და ძალზე გადაჭარბებული იყო.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა: **"ჩვენ უკვე დავაფიქსირეთ ჩვენი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ისრაელს აქვს თავდაცვის უფლება, თუმცა ებრაელებმა მეტი კეთილგონიერება უნდა გამოიჩინონ სანიორას მთავრობისა და ლიბანის მიმართ, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ქვეყანა გადარჩეს"**.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 20/07 | 21/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 35 |
| ბათუმი | 25 | 24 |
| სოხუმი | 30 | 28 |
| ქუთაისი | 31 | 30 |
| გორი | 28 | 28 |
| თელავი | 33 | 32 |
| ონი | 25 | 21 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7695 |
| ევრო | 2.2090 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.2304 |
| რუბლი | 0.0654 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# რუსეთს აშშ-ს სენატი აკრიტიკებს

პირველი გვერდიდან

2002 წლის 26 ივნისს კანანასკისში გამოქვეყნებულ ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2006 წლის სამიტის მასპინძლობის პატივი რუსეთს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და დემოკრატიული ტრანსფორმაციის გამო ერგო, რაც რუსეთში პრეზიდენტ პუტინის მმართველობის დროს უკანასკნელ ხანს განხორციელდა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც რუსეთი 2006 წლის "დიდი რვიანის" სამიტის მასპინძლად აირჩა, რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკურმა კურსმა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული ფასეულობების გამყარების თვალსაზრისით, მსოფლიო თანამეგობრობაში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 2005 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ აღნიშნა, რომ რუსეთში არსებულმა ტენდენციამ - ძალაუფლების აღმასრულებელ შტოში ცენტრალიზაციამ, მზარდმა კორუფციამ და სამართალდამცავ სტრუქტურებში პროტექციამ, სასამართლოზე პოლიტიკურმა ზეწოლამ და არასამთავრობო ორგანიზაციების შევიწროებამ სამთავრობო ლიდერებს ხალხის თვალში ნდობა დააკარგვინა.

2005 წელსვე დამოუკიდებელმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "Freedom House" თავის მსოფლიო სტატისტიკურ ანგარიშში რუსეთს "ნაწილობრივ თავისუფალიდან" "აბსოლუტურად უფლებაშეზღუდული" ქვეყნის კატეგორია მიანიჭა პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების თვალსაზრისით.

რუსეთში ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას რუსეთის მოქალაქეებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეების თანამშრომლობით ხელი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ არასამთავრობო სექტორზე დაწესებულმა შეზღუდვებმა შეუშალა.

სერიოზული ზიანი მიადგა რუსეთში ასევე მედიის თავისუფლებასაც ხელისუფლების მხრიდან მუდმივი კონტროლისა და ცენზურის პირობებში. ჟურნალისტების დამოუკიდებლობის შეზღუდვის გარდა, რუსეთის კულტურის სამინისტრო რადიოსადგურებსაც ემუქრებოდა სამაუწყებლო ლიცენზიის ჩამორთმევით, თუ ისინი კვლავ გააგრძელებდნენ "ამერიკის ხმისა" და "რადიო თავისუფლებისთვის" სიხშირის დათმობას, რასაც რუსული რადიოსადგურები "ცივი ომის" დასრულების შემდეგ ეწეოდნენ.

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, უხეშად ჩარეულიყო მეზობელი ქვეყნების - საქართველოსა და უკრაინის საარჩევნო პროცესებსა და დემოკრატიულ მართვაშიც.

"დიდი რვიანის" წევრი-ქვეყნებიდან რუსეთი ერთადერთი იყო, რომელმაც ბელარუსის გაყალბებული არჩევნები სამართლიანად მიიჩნია. ეუთო-მ კი, როგორც ცნობილია, ბელარუსის არჩევნები სიტყვის თავისუფლებისა და სხვა ძირითადი თავისუფლებების დარღვევით ჩატარებულად გამოაცხადა.

გარდა ამისა, აშშ-ს საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების კომისიამ და სხვა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა ანგარიში გამოაქვეყნეს რუსეთში რასიზმის, ანტისემიტიზმის, ნაციონალიზმის და რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში ქსენოფობიის შესახებ.

2005 წლის მიწურულს კი "გაზპრომ"-მა, რომელიც რუსეთის ხელისუფლების მიერ მართვადი კომპანიაა, მნიშვნელოვნად გაზარდა ბუნებრივი გაზის საფასური უკრაინისთვის და ენერგოპრობლემები შეუქმნა ევროპის სხვა მრავალ სახელმწიფოსაც. რუსეთმა ენერგომომარაგება საქართველოსა და მოლდოვასაც შეუწყვიტა.

ამავდროულად, აშშ აღიარებს და პატივს სცემს იმ საამაყო ისტორიას, შემოქმედებით უნარს და მსხვერპლს, რომელიც რუსმა ხალხმა გაიღო. აშშ-ს იმედი აქვს რუსეთის ძლიერ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, დემოკრატიულ პარტნიორად გარდაქმნისა, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას. ამერიკის შეერთებულ შტატებს სწამს, რომ რუსი ხალხი თავის ხელისუფლებასთან შეძლებს საერთო ენის გამონახვას და ძლიერი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის დაწყებას, რითაც საერთაშორისო თანამეგობრობაცაა დაინტერესებული. ამდენად, გადაწყდა, რომ

1) "დიდი რვიანის" ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში "დიდი რვიანის" სხვა წევრი-სახელმწიფოების ლიდერებთან ერთად უნდა შეეცადნონ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან აწარმოონ ღია და გულახდილი დიალოგი რუსეთის ფედერაციის ანტიდემოკრატიულ ქმედებებთან დაკავშირებით;

2) აშშ-მ სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად უნდა გააგრძელოს რუსეთში სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობა დემოკრატიის განვითარების მიზნით.

3) რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება უნდა იქცეს საკუთარი მოქალაქეების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის გარანტად, როგორც ამას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ არსებული საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს.

4) ამავე საერთაშორისო ხელშეკრულების მიერ გათვალისწინებული მოვალეობების თანახმად, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს უცხოური ახალი ამბების ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევა, იგულისხმება "ამერიკის ხმა" და "რადიო თავისუფლება".

5) რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები რუსულ საზოგადოებაში მზარდი რასიზმის, ანტისემიტიზმისა და ქსენოფობიის დასაძლევად.

6) დაბოლოს, აშშ-მ და "დიდი რვიანის" სხვა წევრებმა უნდა გააგრძელონ რუსეთის საზღვრებთან ახალი დემოკრატიების მხარდაჭერა და მათი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში დემოკრატიის ბასტიონის დასაცავად.

# მუქარა მოსკოვიდან

პირველი გვერდიდან

**ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ სამშვიდობოების გაყვანის პროცესის გაწელვა შეიძლება... და კიდევ ერთი, მაშინ როცა ქართველი დეპუტატები ჩრდილოელ მეზობელს ემუქრებიან, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პუტინთან მისასვლელ გზებს ეძებს და რუს კოლეგას "მეგობრობის ხელს" უწვდის... მიხეილ სააკაშვილს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" გასვლით იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების ესკალაციას მიიღებს,"** - წერს მარკედონოვი.

რუსი ექსპერტის აზრით, დღეს რუსეთი, ევროპა და აშშ პატარა სახელმწიფოების ლიდერების ამბიციების გამო ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. **"ისინი ვერ მისცემენ საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას,"** - დარწმუნებულია მარკედონოვი.

პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების მთავარი მიზანი რუსი სამშვიდობოების გაყვანა კი არა სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისთვის ერთგვარი ფონის შექმნაა.

პორტნიკოვი იხსენებს სააკაშვილი-პუტინის უკანასკნელ დიალოგს, რომელიც მისი თქმით, "მთლიანად ჩავარდა". **"თუმცა მას შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში ჯორჯ ბუშს შეხვდა, ჯორჯ ბუში კი პეტერბურგში პუტინს. საინტერესოა, სწორად გებულობენ თუ არა თავიანთი ამერიკელი კოლეგის ნათქვამს ქართველი და რუსი პრეზიდენტები? იქნებ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ბუშმა მწვანე შუქი აუნთო მის დაპირისპირებას რუსეთთან; ხოლო პუტინი დარწმუნებულია, რომ მისმა მეგობარმა ბუშმა შეძლო იმ პრობლემების გაგება, რაც რუსეთის პრეზიდენტს კავკასიის ამ პატარა ქვეყანაში - საქართველოში ექმნება? საეჭვოა, სააკაშვილმა პუტინთან შეხვედრისას რაიმე რეალურს მიაღწიოს. ყოველგვარი დადგენილებების მიუხედავად, რუსი სამშვიდობოები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დარჩებიან. საქართველოს მხრიდან სამხედრო ჩარევა კი რუსეთს მისცემს საბაბს უკვე დაუფარავად დაიცვას თვითაღიარებული რესპუბლიკები და იმის დემონსტრირებაც მოახდინოს, თუ რა რისკთან არის დაკავშირებული ნავთობის გადაზიდვის ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც საქართველოზე გადის,"** - წერს პორტნიკოვი.



ინტერნეტ-გაზეთი "გრანი.რუ" კიდევ უფრო შორს მიდის და საქართველო-რუსეთის გარდაუვალ სამხედრო დაპირისპირებას წინასწარმეტყველებს. გამოცემა წერს, რომ 12 ივლისს რუსეთის ფედერაციამ ანტიტერორისტული სწავლებები დაიწყო ჩრდილო-კავკასიის სასაზღვრო რეგიონებში. გაზეთის ინფორმაციით, აღნიშნულ სწავლებებში სპეცრაზმი, 58-ე არმიის მოტომსროლელთა ქვედანაყოფი, ჩრდილო-კავკასიის ოლქის საჰაერო არმიის ვეტმფრენები მონაწილეობენ. ამ ჩამონათვალს მოჰყვება ასეთი მსჯელობა: **"თბილისმა, შესაძლოა, არც კი იცის, რა ახლოს არის რუსეთთან სერიოზულ შეიარაღებულ დაპირისპირებასთან. საკმარისია ორიოდე დარტყმა რუსი სამშვიდობოების მისამართით ან ერთი აფეთქება ცხინვალის ცენტრში".** გაზეთი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაღაც პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში სიმშვიდის შენარჩუნება მოხერხდება, პროცესი მაინც დაწყებულია... რუსეთის ლიდერისთვის გათამამებულთა საკადრისად დასჯა პრინციპის საკითხია. ეს ეხება არა მხოლოდ შინაურ, არამედ გარეშე მტრებსაც. პუტინი არაფერს ივიწყებს და არავის არაფერს პატიობს. ეჭვგარეშეა, რომ ურჩი ქართველის დაჩოქების შანსს ის ხელიდან არ გაუშვებს. განსაკუთრებით ახლა, "დიდი რვიანის სამიტის" შემდეგ, როდესაც თბილისში, შესაძლოა, ჯერ კიდევ სჯერათ უხეშ რუს ლიდერზე დასავლეთის გავლენის. ამ ფონზე, უნდა ვიფიქროთ, რომ პუტინი დიდი სიამოვნებით მოახდენს სააკაშვილის წინაშე იმის დემონსტრირებას, თუ რამდენად არ აინტერესებს მას, რას ამბობენ მისი დასავლელი კოლეგები, მათ შორის ამერიკელიც, - აღნიშნავს ინტერნეტ-გამოცემა.

**"ეჭვგარეშეა, რომ კრემლი კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ. კრემლს შემდგომი მოქმედებების ლეგიტიმაციის უფლება მიეცემა - ქართველებმა პირველებმა დაიწყეს, რუსეთს კი ისღა რჩება, რომ რეგიონში მშვიდობის დამყარებისთვის აუცილებელი ზომები მიიღოს - ასეთი იქნება კრემლის პასუხი საქართველოს ამ ინიციატივაზე,"** - წერს "გრანი.რუ".

# ისრაელი უკან არ იხევს

პირველი გვერდიდან

ისრაელის პრემიერ-მინისტრი, ეჰუდ ოლმერტი, ლიბან-ისრაელის კონფლიქტის გამწვავებას და "ჰეზბოლას" დაჯგუფებასთან ებრაელთა შეჯახებაში ირანს ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელმა ხელოვნურად შექმნა ნიადაგი აღნიშნული კონფლიქტის გამწვავებისათვის, ვინაიდან მას სურდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ირანის ბირთვული პროგრამიდან სხვა რამეზე გადაეტანა.

თავდაპირველად ისრაელის საბრძოლო მოქმედებებს საფუძვლად ლიბანში ტერორისტული დაჯგუფების "ჰეზბოლას" მიერ 12 ივლისს ორი ებრაელი ჯარისკაცის დაკავება დაედო, თუმცა ამ ეტაპზე ამ კამპანიამ უფრო ფართომასშტაბიანი სახე მიიღო. ისრაელი არა მარტო ტყვეთა გათავისუფლებას, არამედ მთლიანად "ჰეზბოლას" განიარაღებასა და მის განეიტრალებას ისახავს მიზნად.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, შეუძლებელია საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა, მანამდე, სანამ არ იქნებიან გათავისუფლებული ებრაელი ჯარისკაცები და ისრაელი არ მიიღებს იმის გარანტიას, რომ "ჰეზბოლა" განიარაღდება.

**"საჭიროა იმის გათვითცნობიერება, რომ ჰეზბოლას განიარაღება რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდება"**- აღნიშნა ისრაელის არმიის ჩრდილოეთ შენაერთის კომანდორმა, უდი ადამმა.

გუშინ, გაერო-ს შუამავალთა ჯგუფი ისრაელის წარმომადგენლებს ესაუბრა. გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი და აშშ-ს ადმინისტრაცია ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციას, რომელიც, მათი აზრით, ეფექტური უნდა იყოს, ხოლო სამხედროები კი კარგად შეიარაღებულნი. ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის აზრით კი, სამშვიდობო ძალებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს 260 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო დაახლოებით 500 ათასმა ადამიანმა კონფლიქტის ზონა დატოვა.




## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №386

*2006 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი*

### 2006 წლის შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად 2006 წლის შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭოთ:

მხატვრული ლიტერატურის დარგში:

პოეტ ბესიკ ხარანაულს - რომანისათვის "ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის" (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

მუსიკის დარგში:

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის "ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელს, ლოტბარ ჯემალ ჭკუასელსა და მთავარ ქორეოგრაფს რევაზ ჭოხონელიძეს - ბოლო სამი წლის საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში:

მხატვარ დიმიტრი ერისთავს - ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული და გამოფენილი ნამუშევრებისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

თეატრალური ხელოვნების დარგში:

დრამატურგ ლაშა თაბუკაშვილს - პიესისათვის "ასტეროიდზე აღარ იწვიმებს".

კინოხელოვნების დარგში:

კინორეჟისორ რეზო ესაძეს - მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

## მოკლედ

### ბურჯანაძე რუსეთს პოზიტიური როლის შესრულებისაკენ მოუწოდებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რუსეთს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში პოზიტიური როლის შესრულებისაკენ მოუწოდებს.

"ჩვენ გვაქვს ჩვენი ნაციონალური ინტერესები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართალთან. ვინც ამ ინტერესებს შეეწინააღმდეგება, ჩვენ არავის არ დავუთმობთ და ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად" - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების კომენტირებისას.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას "რუსეთთან არც ცივი და არც ცხელი ომი არ სურს", მაგრამ მოსკოვი გაგებით უნდა მოეკიდოს სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, ვინაიდან "რუსეთს შეუძლია გადადგას კონკრეტული პოზიტიური ნაბიჯები, რაც არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ინტერესებს წაადგება".

ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ "სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში, "რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტულ მოძრაობებს ვერ გააჩერებს, და რუსეთის ხელისუფლებას იმდენი კი უნდა ესმოდეს, რომ ეს პირველ რიგში მისი თავის ტკივილიც იქნება".

"მიგვაჩნია, რომ საქართველოს მიერ რუსი სამშვიდობოების მისამართით გამოყენებული ულტიმატუმის ენა, არაპროდუქტიულია. ჩვენი პოზიცია უცვლელია - პარლამენტის მიერ რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ მიღებული დადგენილება ხელს შეუწყობს მხოლოდ ახალი კრიზისისა და ჰუმანიტარული კატასტროფის გაჩენას", - აღნიშნულია აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

### ხაინდრავა აცხადებს, რომ პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა შედეგიანი იქნება

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მომავალი შეხვედრა შედეგიანი იქნება.

ხაინდრავას შეფასებით, პრეზიდენტი პუტინი პრაგმატიკოსია და მოსალოდნელია, რომ "დიდი რვიანის" შეხვედრაზე დაფიქსირებული პოზიციები გარკვეულ კორექტივებს შეიტანს რუსეთის მოქმედებაში და რუსეთის დამოკიდებულებაში საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართ.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, აღნიშნა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის ფონზე, პრეზიდენტების შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მან ასევე დასძინა, რომ ქართული მხარის მოთხოვნა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ პრეზიდენტების შეხვედრაზე დაფიქსირდება, რომ რუსეთი აქტიურ წვლილს შეიტანს საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში.

მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში, სახელმწიფო მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ქართულმა მხარემ რუს "ცისფერჩაფხუტიანებთან" დაკავშირებით პოზიცია შეიცვალოს, "რადგან საქართველოს მთავარი მიზანი სწორედ კონფლიქტების დარეგულირებაა".

"ჩვენ არ გვამოძრავებს რუსეთის მიმართ სიძულვილი, ჩვენი ამოცანა არის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა", - განაცხადა გიორგი ხაინდრავამ.

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მორიგი შეხვედრა 21-23 ივლისს მოსკოვში იგეგმება. **ინტერპრესნიუსი**

### სალომე ზურაბიშვილი ხალხთან დიალოგს იწყებს

პოლიტიკური პარტია "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ხალხთან პირისპირ დიალოგს იწყებს.

როგორც პოლიტიკური პარტია "საქართველოს გზის" ოფისში განაცხადეს, საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მოსახლეობასთან პირველი დიალოგი თბილისში, 21 ივლისს, 18 საათზე, ფილარმონიაში შედგება.

მოსახლეობასთან შეხვედრებისა და "ხალხთან პირდაპირი დიალოგის" ფარგლებში, სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის, ქვეყნისათვის აქტუალურ თემაზე საუბრისა და თავისი მოსაზრებების გაზიარების საშუალება ყველა მოქალაქეს ექნება. სალომე ზურაბიშვილი ამ შეხვედრებზე მოქალაქეებს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე თავის შეფასებებსა და შეხედულებებს გაუზიარებს. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რეგიონი), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეგავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# პასუხი "ხელისუფლების სიძულვილით დაბრმავებული ოპოზიციონერისაგან"

ანუ რამოდენიმე მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არ შეუერთდა ოპოზიცია მორიგ, აქამდე არნახულ, არგაგონილ და "ისტორიულ" აქციას

თინათინ ხიდაშელი
საქართველოს რესპუბლიკური პარტია

საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს კონკრეტული მიზეზები აქვს. თუკი ვინმეს ამის შესახებ ჯერ კიდევ არ გაუგია, შევახსენებ, რომ ბოიკოტი ქვეყანაში გამეფებული ძალადობის, სიკვდილის ბრიგადების თარეშის, სახელმწიფოს მიერ მოკლული ახალგაზრდა ქართველების მკვლელებისადმი სოლიდარული უმრავლესობის წინააღმდეგ მიმდინარეობს ძალიან კონკრეტული მოთხოვნებით - რომ ქვეყანა მათგან განთავისუფლდეს და მკვლელებს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ხერხემლად არ განვიხილავდეთ.

სხვათა შორის, პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც არასოდეს არაფერზე თავის ერთმნიშვნელოვან კომენტარებს და სხვებისთვის რეკომენდაციებს არ იშურებს, პარლამენტის ყველა ოპოზიციური ძალის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვების მიზეზებზე დღემდე კომენტარი არ გაუკეთებია. ამის ნაცვლად, სხვადასხვა მიზეზის გამო, დროგამოშვებით ახსენდებათ ხოლმე ოპოზიცია და პასუხისმგებლობის გაზიარებას სთხოვენ ან "ნამუსზე აგდებენ" - ქვეყნისთვის უპრეცედენტო და ისტორიული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა მიიღეთ ჩვენთან ერთადო.

სწორედ ასეთ უპრეცედენტოდ მოინათლა 18 ივლისის პარლამენტის სხდომა და ისტორიულად, იქ მიღებული დადგენილება, რომლის თანამონაწილეობაზეც "ქვეყნის გამყიდველმა და რუსეთის ინტერესების გამტარებელმა ოპოზიციამ" უარი განაცხადა. გივი თარგამაძისა და მისი თანაგუნდელი, უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელებისადმი სოლიდარული პოლიტიკოსები ამგვარი განცხადებების კეთებისას სწორედ ჩვენზე მიანიშნებდნენ, ვინაიდან ვერც ლეიბორისტები, ვერც "წინ საქართველო" და ვერც გიორგაძის პარტია ამ გადაწყვეტილების თანამონაწილე ვერ იქნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პარლამენტში წარმოდგენილები არ არიან.

საქართველოში რუსეთის პოლიტიკის, რუსული სამხედრო ძალებისადმი დამოკიდებულების, დსთ-ში საქართველოს შესვლის და მსგავსი საკითხებისადმი თავისი დამოკიდებულებისა და პოზიციების, საქართველოს ინტერესების ერთგულებისა და ამ ინტერესებისათვის ბრძოლის დემონსტრირება საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას არ სჭირდება. ეს ისედაც ყველასათვის ნათელია. ჩვენი პარტიული და ინდივიდუალური პოლიტიკური ისტორია მხოლოდ ამას ადასტურებს. ძალიან ხშირად და ძალიან ხმამაღლა ამის მტკიცება იმათ სჭირდებათ, ვისაც თითოეული იმ გადაწყვეტილებისათვის არა მხოლოდ მხარი აქვს დაჭერილი, არამედ მგზნებარე გამოსვლებიც კი აქვთ მიძღვნილი; მაგალითად, დსთ-ში შესვლის აუცილებლობაში საზოგადოების დასარწმუნებლად. ეს ადამიანები დღევანდელ ხელისუფლებაში მრავლად არიან და გასაკვირი არც არის ყოველდღიური გულში მჯიღის ცემა და ქვეყნის სიყვარულის ხმამაღლა ძახილი, იმის იმედით, იქნება დაავიწყდეთ საქართველოში მათი პოლიტიკური წარსული. მათ გასაგონად მოგახსენებთ, რომ ამ ქვეყანაში ხალხი ბრძენია და პოლიტიკური მეხსიერება ცოცხალი. იმის მიუხედავად, ჟურნალისტები ამას გაიხსენებენ თუ არა, ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში სამარცხვინო და დამღუპველი გადაწყვეტილებების მიღებაში გაღებული წვლილისათვის თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის დამაშვრალ "პატრიოტებს" საკუთარი პოლიტიკური ისტორიის შეხსენებას არასოდეს დავზარდებით.

რაც შეეხება თავად დადგენილებას. დასაწყისისათვის უნდა ითქვას, რომ დადგენილების ყველა დებულებას ვეთანხმებით და ვიზიარებ, თუმცა აქ ყველაფერი მარტივია. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს პარლამენტს ამგვარი გადაწყვეტილებები მრავლად მიუღია და ახალი იმაში, რაც 15 ივლისს ითქვა, არაფერია. არაფერია მასში უპრეცედენტო და ისტორიული. ჩვენ, ისევე როგორც საპარლამენტო ოპოზიციის ყველა სხვა პარტიას, ამ დადგენილებებისათვის მრავალჯერადად გვაქვს ხმა მიცემული და, შესაბამისად, უკვე მრავალჯერ ნათქვამი და დადასტურებულის კიდევ ერთხელ თქმის გამო, სიკვდილის ბრიგადებისადმი სოლიდარული უმრავლესობის პიარში მონაწილეობა უზნეობად მიგვაჩნია.

დადგენილება იწყება იმით, რომ 2005 წლის 11 ოქტომბრის და 2006 წლის 15 თებერვლის დადგენილებების შესაბამისად, პარლამენტი იხილავს სამშვიდობოების საკითხს. ამ ორივე დადგენილებისათვის საპარლამენტო ოპოზიციას ხმა მიცემული აქვს.



მეორე აბზაცი წუხს, რომ 11 ოქტომბრის და 15 თებერვლის ვადები არ არის დაცული და არ არის პროგრესი.

მესამე აბზაცი, აფასებს აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს უკიდურესად უარყოფითად, საუბრობს იქ ადამიანის უფლებების დარღვევებზე, დამძიმებულ ვითარებასა და საფრთხეებზე. მსგავსი, და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმე შეფასებები არის გაკეთებული ოქტომბრის დადგენილებაში.

მეოთხე, მეხუთე და მერვე აბზაცები, კიდევ ერთხელ ახდენს ქართული მხარის სამშვიდობო პოლიტიკისა და სამშვიდობო გეგმის დეკლარირებას.

მძაფრია მეექვსე აბზაცი, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთის მიერ 11 ოქტომბრის დადგენილებაში აღწერილი ქმედებების გაგრძელება, სამშვიდობო გეგმის ფაქტობრივი ბლოკირება, შეიძლება შეფასდეს "სეპარატიზმის მხარდაჭერად და საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის პერმანენტულ მცდელობად". იგივე სულისკვეთებით არის დაწერილი ოქტომბრის დადგენილება, სადაც ვკითხულობთ: "მის მიერ (იგულისხმება რუსეთი) გადადგმული მთელი რიგი ნაბიჯებისა პირდაპირ ემსახურება სეპარატისტული რეჟიმების გაძლიერებას და საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივ ანექსიას". ჩემი აზრით, შეფასების თვალსაზრისით ოქტომბრის დადგენილება უფრო ცალსახა და მკაფიო იყო რუსეთის როლისათვის სახელის დარქმევის თვალსაზრისით. ამავე საკითხზე თებერვლის დადგენილება აცხადებს, შეფასდეს "რუსეთის ფედერაციის ქმედებები - საქართველოს ამ რეგიონის ანექსიის პერმანენტულ მცდელობად".

შემდეგი, მეშვიდე აბზაცი, კიდევ ერთხელ აფასებს რუსეთის შეიარაღებული ძალების ქმედებებს, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ბარიერს და ხაზს უსვამს კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში რუსეთის პოლიტიკური ნების არარსებობას. ზუსტად იგივეს იმეორებს ოქტომბრის დადგენილების მე-18 აბზაცი. ხოლო შეფასებას იმ დადგენილების მთელი ორი გვერდი ეძღვნება. ოქტომბრის დადგენილების 21-ე აბზაცი 18 ივლისს მიღებული დადგენილების მერვე, შეფასებითი ნაწილის ბოლო აბზაცის იდენტურია.

ასეთია დადგენილების სულისკვეთება და ამის შემდეგ პარლამენტი აცხადებს იმას, თუ რას ადგენს და რას ავალებს ქვეყნის მთავრობას. ერთი საინტერესო დეტალი, - დადგენილების შეფასებით ნაწილში არსად, არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები, როგორც ეს ოქტომბრის დადგენილებაში სამართლიანად წერია, რომ "აფხაზეთში დსთ-ის სამშვიდობო მისიის აღმასრულებელია" რუსეთი და იგი არ მოქმედებს ინდივიდუალურ რეჟიმში. ეს ისე, შენიშვნასავით იმათთვის, ვისაც დღევანდელ ხელისუფლებაში დსთ-ში საქართველოს შეყვანის გადაწყვეტილებაზე თავის დროზე აღებული პასუხისმგებლობის ეშინია და ცდილობს ამ საკითხის იგნორირებას.

დაბოლოს, რა დაადგინა პარლამენტმა 18 ივლისს ახალი, უპრეცედენტო, ჯერ ართქმული, არდაწერილი და ისტორიული.

1. დაევალოს საქართველოს მთავრობას, დაიწყოს აუცილებელი პროცედურები აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ე.წ. სამშვიდობო ოპერაციების უსწრაფესი შეწყვეტისა და რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტის საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანისათვის. (წინადადება 1)

2. საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა სამშვიდობო ფორმატის შეცვლაზე და აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საერთაშორისო საპოლიციო ძალების განლაგებაზე (წინადადება 2); გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმები, მათი იმპლემენტაციის გზები და მიზნის მისაღწევად ინტენსიურად ითანამშრომლოს მათთან (წინადადება 3).

3. საქართველოს მთავრობამ გააქტიუროს მუშაობა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის სწორი ინფორმირებისათვის, ნდობის მაქსიმალურად აღდგენისათვის, მშვიდობიანი, დემოკრატიული ცხოვრების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (წინადადება 4).

პირველ წინადადებაზე ცოტა მოგვიანებით მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

მეორე წინადადება იდენტურია თებერვლის დადგენილების მეორე ნაწილის ბოლო წინადადებისა, ორივე შემთხვევაში საუბარია სამშვიდობო ფორმატის შეცვლაზე და რუსეთის სამშვიდობო ძალების ეფექტიანი სამშვიდობო ოპერაციით ჩანაცვლებაზე. თუმცა, ივლისის დადგენილებაში დაკონკრეტებულია და ნახსენებია საპოლიციო ძალები. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია ყოფილიყო ან საპოლიციო ძალები როგორც ეს ივლისში დაკონკრეტდა, ან სხვა ქვეყნის, ან სხვა კოალიციის სამხედრო კონტინგენტი. იგივეს აცხადებდა ოქტომბრის დადგენილების მე-6 პუნქტი.

მესამე წინადადება, იდენტურია ოქტომბრის დადგენილების მე-7 პუნქტისა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოქტომბერში ამას საგარეო საქმეთა სამინისტროს ავალებდა პარლამენტი და ივლისში მთელ მთავრობას დაავალა; აგრეთვე, იდენტურია თებერვლის დადგენილების მე-4 ნაწილისა, რომელიც მხოლოდ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შეეხება.

მეოთხე წინადადება, რეალური და ერთადერთი სიახლეა. მანამდე ცალკე პუნქტად გამოყოფილი არ ყოფილა კონფლიქტურ რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობა, რაც ნამდვილად დასაფასებელია და მნიშვნელოვანი ინიციატივაა, თუმცა ამ ნაწილის მხარდაჭერის გამო პარლამენტში არშესვლა ჩვენს რუსულ ორიენტაციას ვერაფრით ადასტურებს და ამიტომ მას არ შევეხებით.

დაბოლოს, დადგენილების პირველი წინადადება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია. დადგენილების პირველი წინადადება იდენტურია ერთი მხრივ, ოქტომბრის დადგენილების მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებისა, რომელიც ცალ-ცალკე საუბრობს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ. კერძოდ, ოქტომბრის დადგენილების მე-4 პუნქტში საუბარია იმაზე, რომ სამშვიდობო ძალების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში პარლამენტი **"მოითხოვს 2006 წლის 15 თებერვლიდან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტას, აგრეთვე შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებისა და არსებული სტრუქტურების გაუქმებას"**. სრულიად იდენტურია მე-5 პუნქტი, რომელიც იგივეს აცხადებს, ოღონდ აფხაზეთთან მიმართებაში, ბოლო ვადად 2006 წლის 15 ივლისს უთითებს. ხოლო, იმავე ოქტომბრის დადგენილების მე-6 პუნქტი ავალებს საქართველოს მთავრობას, **"მიიღოს ადეკვატური ზომები საქართველოს ტერიტორიიდან შესაბამისი მანდატით მოქმედი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების უმოკლეს ვადებში გაყვანისათვის"**.

თებერვალში პარლამენტმა დაადგინა და რუსეთის ქმედებები ანექსიის პერმანენტულ მცდელობად შეაფასა, რითიც აამოქმედა ოქტომბრის დადგენილების სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის, ყველა საერთაშორისო შეთანხმების და სტრუქტურების გაუქმების ვალდებულებები და დავალებები მთავრობისათვის.

კომენტარი ივლისის დადგენილების უპრეცედენტობის, ისტორიულობის, ჯერ არნახულის და არდაწერილის შესახებ მკითხველისათვის მიმინდვია. ნებისმიერი წერა-კითხვის მცოდნე ადამიანისათვის, რომელსაც ხელი მიუწვდება აღნიშნულ სამ დადგენილებაზე, ცხადზე უცხადესია, რომ არაფერი ახალი, და მით უფრო უპრეცედენტო და ისტორიული არ მომხდარა გარდა იმისა, რომ პარლამენტმა უკვე მერამდენედ გაიმეორა უკვე მრავალჯერ ნათქვამი, განცხადებული და დადგენილი.

რატომ? რაში დასჭირდათ?

იმისათვის, რომ დღეს ამირან რობაქიძის სასამართლო პროცესია, რაზეც არაფერი აქვს სათქმელი სახეცვლილ კვარტეტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მკვლელობის ავტორების, შემსრულებლების და დამფარავებისადმი სოლიდარულია, იმიტომ, რომ ისევ გრძელდება ცინიზმი და ტყუილი გირგვლიანის საქმის გამოძიებაში; იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში დიდი ხნის შემდეგ ისევ გაჩნდნენ სინდისის პატიმარი პოეტები და მწერლები; იმიტომ, რომ ამირან რობაქიძის მეგობრების, უდანაშაულო ბიჭების წინააღმდეგ ისევ ცოცხალია სისხლის სამართლის საქმე; იმიტომ, რომ არავინ აგოს პასუხი ამ ბიჭების თვეების მანძილზე უკანონო პატიმრობისათვის; იმიტომ, რომ პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო ყოველდღიურად არღვევენ კანონს და გაუგონარი მოტივებითა და არარსებული მტკიცებულებებით უშვებენ უდანაშაულო ადამიანებს ციხეში; იმიტომ, რომ ხელისუფლებას სჭირდება საზოგადოებრივი პროტესტის დამალვა და ყველას დარწმუნება იმაში, თუ როგორ იბრძვის, თუ როგორი ერთგულია, როგორი მზრუნველია, იმიტომ, რომ...

ხოლო კვარტეტი მოწოდების სიმაღლეზეა. ოღონდ ვანოს არაფერი დაემუქროს და ყველას ქვეყნის მტრად გამოაცხადებენ, არარსებულსა და არმომხდარს ისტორიულ მიღწევად გაასაღებენ, იარლიყებს ჩამოარიგებენ.

ოღონდ ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყანაში კითხულობენ, აანალიზებენ, ინტერესდებიან, ყველაფერს ხვდებიან და ტყუილებსა და ილუზიებით ცხოვრებას გადაეჩვივნენ.

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის გამზ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- ჯავახიშვილის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | | | | | |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | | | | | | |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | | | | | | |
| | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | | | | | | |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | | | | | | |
| | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | | | | | | |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | | | | | | |
| | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | | | | | | |
| 1 | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | | | | | | |
| 1 | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# პატრიოტთა თამაშები

პირველი გვერდიდან

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა სპეციალურ ბრიფინგზე ოპოზიცია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების უგულებელყოფასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში დაადანაშაულეს. პარლამენტის წევრების თქმით, ოპოზიციამ, რომელიც სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ დადგენილებას "აკნინებს", ამ დღეებში საკუთარი თავი გამოამჟღავნა.

მაია ნადირაძე ოპოზიციის "არასახელმწიფოებრივ ნაბიჯებზე" საუბრობს და აცხადებს, რომ უმრავლესობა შეშფოთებულია ოპოზიციის ქმედებებით.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ოპოზიციას საზოგადოებაში უიმედობის დანერგვაში ადანაშაულებს. ბოკერიას აზრით, ოპოზიციის ერთი ნაწილი პირდაპირ კავშირშია რუსეთთან და მისი იდეების გამტარებელია, ხოლო მეორე ნაწილი ხელისუფლების სიძულვილით არის დაბრმავებული. ბოკერიას შეფასებით, რუსული მხარისა და ქართველი ოპოზიციონერების განცხადებები 18 ივლისის დადგენილების თაობაზე ერთნაირი სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

გუშინდელ ბრიფინგზე ბოკერიამ რუს კოლეგებს ურჩია, ტყუილად ნუ ხარჯავენ ფულს საქართველოში იმ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა "24 საათთან" საუბრისას უმრავლესობის ლიდერების გუშინდელი ბრიფინგი მორიგ პროპაგანდისტულ აქციად მონათლეს.

**"კარგად ვიცნობ ბატონ პრეზიდენტს და მის სტილს,** - შენიშნავს ოპოზიციონერი პარლამენტარი დავით ზურაბიშვილი, - **გუშინწინ უყურა საინფორმაციო საშუალებებს, არ მოეწონა ოპოზიციის მიერ გაკეთებული გამონათქვამები, დაიბარა, დაცოფა თავისი თანაპარტიელები და დაავალა - "დააყარეთ" იმათ თავზეო."** დავით ზურაბიშვილის თქმით, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პრეზიდენტის განცხადებაც იმას ადასტურებს, რასაც ოპოზიცია ამტკიცებს: **"პრეზიდენტმა ბრძანა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას პუტინთან შეხვედრის შემდეგ მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის დადგენილებას არ აქვს კანონის ძალა, ის არ არის ყველასათვის სავალდებულო. ჩვენი პოზიციაც სწორედ ამაში მდგომარეობს. 18 ივლისის დოკუმენტს რომ იურიდიული ძალა ჰქონდეს, მაშინ სააკაშვილი პუტინს ტექნიკური დეტალების დასაზუსტებლად უნდა ხვდებოდეს".**

რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის აზრით, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთა გუშინდელი ბრიფინგი არის **"მათი პოზიციის სისუსტის არაპირდაპირი აღიარება".**

**"მე არ მინდა, დავაკნინო ხელისუფლების მცდელობა რუსეთის ჯარის ქვეყნიდან გაყვანისა, მაგრამ ეს მცდელობა არ არის მიზანმიმართული და სისტემურ ხასიათს არ ატარებს. შარშან ოქტომბერში, შემდეგ თებერვალში, ახლა კი ივლისში პარლამენტი იღებს დადგენილებებს სანახევროდ. აი, ეს არის ჩვენი მთავარი პრეტენზია",** - განუცხადა ბერძენიშვილმა "24 საათს".

ოპოზიცია ხელისუფლებას დსთ-დან გამოსვლის მოთხოვნის უგულებელყოფასაც შეახსენებს. **"დსთ არ არის ტაქტიკის საკითხი, დსთ მენტალობის საკითხია",** - დასძენს დავით ბერძენიშვილი.

როგორც ჩვენთან საუბრისას დავით ზურაბიშვილმა აღნიშნა, სავარაუდოდ, დღეისთვის ოპოზიცია საპასუხო პრესკონფერენციას გამართავს და საზოგადოებას აუხსნის, რატომ არის 18 ივლისის დადგენილება პარლამენტის წინანდელი დადგენილებების გამეორება.

# მთავრობამ სამშვიდობოების გაყვანაზე მუშაობა დაიწყო

პირველი გვერდიდან

მისი ვარაუდით, ეს შეხვედრა შეიძლება, რევოლუციური არ იყოს, მაგრამ **"იგი დაგვეხმარება, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ იმისაკენ, რომ ჩვენი პრობლემის მოგვარებაში რუსეთმა პოზიტიური როლი შეასრულოს."**

საგარეო საქმეთა მინისტრი თავის კომენტარში უშუალოდ პარლამენტის დადგენილებასაც შეეხო. მისი თქმით, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება გარკვეულ რისკს უკავშირდება, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს პროვოკაციული გამოსვლები. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ხელისუფლებამ შეიმუშავა სამთავრობო გეგმა. **"ბუნებრივია ის გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აქვს არჩეული არის სარისკო, მაგრამ ერთადერთი სწორი გზაა იმისათვის, რომ საქართველო წელში გაიმართოს. ჩვენ არ ვაპირებთ, ამ პრობლემების მოგვარება მომავალ თაობებს გადავაბაროთ. ეს დიდი ტვირთი ჩვენვე უნდა გადავიტანოთ ბოლომდე"**, - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

გუშინვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა და მას ცინიკური უწოდა. ჩეჩელაშვილის თქმით, ქართული მხარე შინაგანად მზად იყო, რომ რუსეთი აღნიშნულ დადგენილებას პროვოკაციული განცხადებებით გამოეხმაურებოდა.

*24 საათი*

net2phone

Net2Phone (www.net2phone.com) - მსოფლიოს წამყვანი კომპანია VoIP ტექნოლოგიაში ეძებს პარტნიორებს საქართველოში

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია IP-ტელეფონიის სერვისების შეთავაზებით, ან ის უკვე იმყოფება IP-ტელეფონიის პროვაიდერი, Net2Phone - ის სპეციალიზირებული სრული გადაწყვეტილებები სწრაფი დანერგვის გეგმით და მისი ბიზნეს განვითარების ჯგუფი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წარმატებული თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ინფორმაციისათვის
გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
georgia@net2phone.com

# არასრულწლოვან პატიმართა უფლებები

*გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ვალდებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის საერთაშორისო სტანდარტების შესრულებისკენ მოუწოდებს. "სამწუხაროა, რომ საქართველოში არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა არ ითვლება უკიდურეს ზომად. პატიმრობა გამოიყენება მსუბუქი და საკმაოდ გავრცელებული დანაშაულის დროსაც, რაც ჩვენს აღშფოთებას იწვევს", - ნათქვამია გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის საგანგებო განცხადებაში, რომლითაც ორგანიზაცია 14 წლის გიორგი ზერეკიძისთვის სასამართლოს მიერ 10 წლით თავისუფლების აღკვეთის ფაქტს აპროტესტებს.*

როგორც ცნობილია, გიორგი ზერეკიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვანისთვის უმაღლესი ზომის სასჯელი - 10 წელი შეუფარდა 23 წლის ახალგაზრდის დაჭრისთვის. როგორც დაცვის მხარე ირწმუნება, ეს იყო სხეულის მსუბუქი დაზიანება, ბრალდებამ კი აღნიშნულ ფაქტს მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია მიანიჭა.

გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ საქართველოში არასრულწლოვანთათვის წინასწარი პატიმრობის მისჯის შემთხვევათა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

როგორც ცნობილია, 1994 წლიდან საქართველო მიერთებულია ბავშვთა უფლებების კონვენციას და ვალდებულია, აღიაროს ის საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები, რომლებიც არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაციას ეხება; კერძოდ, ეს საერთაშორისო სტანდარტებია: ბავშვთა უფლებათა კონვენცია; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაციის მინიმალური სტანდარტული წესები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან მოპყრობის წესები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები; გაერო-ს რეზოლუცია 1997/30 - არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაცია, ე.წ. ვენის სახელმძღვანელო პრინციპები.

ეს საერთაშორისო ნორმები გარკვეულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს აწესებენ არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაციასთან მიმართებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრება 14 წლით ნებისმიერი სახის დანაშაულისათვის, რის შედეგადაც მსუბუქი დანაშაულის ჩამდენი ბავშვები საკმაოდ მკაცრად ისჯებიან და ხვდებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, რაც, საერთაშორისო ექსპერტების განმარტებით, უმძიმეს დარტყმას აყენებს მოზარდის ფსიქიკას, მის განვითარებას და არანაირად არ უწყობს ხელს მის შემდგომ რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაცია განსაკუთრებული კომპეტენციისა და კვალიფიკაციის კადრებს მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებისათვის სპეციალური მომზადების აუცილებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში, თითქმის, არ გამოუყენებიათ ბავშვის უფლებათა კონვენცია და ის საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები, რომლებიც არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაციას ეხება.

**"ბავშვებს, რომელთაც ბრალად სამართლის დარღვევა ედებათ, უფლება აქვთ ისეთ მოპყრობაზე, რომლითაც სრულად იქნება გათვალისწინებული მათი ასაკი, გარემოებანი და მოთხოვნილებანი. გარდა ამისა, სამართლებრივი ზემოქმედების ზომები ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის გარემოებებისა და სიმძიმის ადეკვატური, არამედ არასრულწლოვანის მდგომარეობისა და მოთხოვნილებების, აგრეთვე - საზოგადოების მოთხოვნილებების",** - ნათქვამია გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის საგანგებო განცხადებაში.

როგორც გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის განცხადებაშია განმარტებული, არასრულწლოვანის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მინიმალურად აუცილებელი დროის განმავლობაში.

გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის წევრები ირწმუნებიან, რომ მსოფლიოს პროგრესული საკანონმდებლო თეორიისა და პრაქტიკის თანახმად, ბავშვები, რომელთაც დაარღვიეს კანონი, მოიაზრებიან მსხვერპლად და არა დამნაშავეებად. მათი ასაკიდან გამომდინარე, ისინი საჭიროებენ დაცვას, ზრუნვასა და განსაკუთრებულ მოპყრობას. სწორედ ამიტომაა, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში ხაზგასმულია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ცალკე სისტემის შექმნის, სპეციალური სასამართლოებისა და განსაკუთრებული პროცედურების შემუშავების აუცილებლობა.

**"იმედი გვაქვს, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები გაითვალისწინებენ ყველა საერთაშორისო ნორმას გიორგი ზერეკიძისა და სხვა არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შემთხვევაში. საქართველომ კარგა ხნის წინ აიღო ვალდებულება, დაიცვას საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ნორმები და სტანდარტები არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად კი, "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ",** - აცხადებენ გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციაში.

*24 საათი*

## მოკლედ

### გამოცდა ნოტარიუსებისთვის

იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა. ტესტირებაში მონაწილეობის სურვილი სულ 102-მა იურისტმა გამოთქვა. მათ საკონკურსო კომისიას 20 ივნისიდან 13 ივლისამდე მიმართეს და შესაბამისი დოკუმენტები წარმოადგინეს. კონკურსში მონაწილეთა ნამუშევრები შემდეგი თემატიკის მიხედვით შეფასდება - საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი და ნოტარიატი. აღნიშნულ ტესტირებას იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძეც დაესწრო.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, წინასწარ გამოქვეყნებული 3 ათასი საგამოცდო ტესტის ნიმუშიდან კომპიუტერმა 100 ტესტი შეარჩია. ტესტირება 6 საათს გაგრძელდა. წარმატების მოსაპოვებლად მონაწილეებს ასი კითხვიდან, მინიმუმ, 74-ისთვის უნდა გაეცათ სწორი პასუხი. ქავთარაძის თქმით, ნოტარიუსების გამოცდა საქართველოში ეუთო-ს მისიამ დააფინანსა, რაც ამ პროცესის მიმართ ნდობის გამოხატვას ნიშნავს. "ეს არის გარანტია იმისა, რომ დღევანდელი გამოცდები ობიექტური იქნება. ტესტირების პროცესს ეუთო-ს, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები დააკვირდებიან", - განაცხადა მინისტრმა. **24 საათი**

### ჭართის ფული მიითვისა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე შპს "თბოსერვისის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. გამოძიების ინფორმაციით, "თბოსერვისის" ხელმძღვანელობამ ფირმის კუთვნილი დანადგარები ხელოვნურად ჩამოწერა და ჯართში ჩააბარა. დანადგარების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა კი სრულად მიითვისა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ფირმის ინვენტარიზაცია და საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, რაც "მითვისებას ან გაფლანგვას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შს სამინისტროს თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 35 წლის მანანა გუგუშვილი დააკავეს. გუგუშვილი ეჭვმიტანილია ემა შახბაზიანის ბინის გაქურდვაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელი, ადრე ნასამართლევი, 36 წლის პაატა კვინჩია დააკავეს. დაკავებულის სახლის ჩხრეკისას ამოიღეს ხუთ ე.წ. "ჩეკად" დაფასოებული 0, 37 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი". **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 47 წლის ევგენია გიგაური დააკავეს. გიგაური ეჭვმიტანილია 2004 წლის ოქტომბერში ქეთევან წურწუმიასათვის 10 000 აშშ დოლარის თაღლითურად წართმევაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

# არშემდგარი ექსპერიმენტი პატიმართა მხარდასაჭერად

*"ჩვენი მოთხოვნები ისევ ძალაში რჩება - მოგვეცით სამართალი ან სიკვდილი. აქციის ფორმას ყველა შეიტყობს მისი დაწყებისას. ჩვენ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს არ მივიღებთ", - აღნიშნულია ირაკლი კაკაბაძის მორიგ წერილში, რომელიც საზოგადოებას მისმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა გააცნო. ირაკლი კაკაბაძე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ექიმების შეფასებით, საკმაოდ მძიმეა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სამართლიანად გამოძიების და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით, 20 ივლისიდან შიმშილობის აქციის დაწყებას გეგმავს.*



ინტერპრესნიუსი

*აქცია სასამართლოსთან.*

ირაკლი კაკაბაძის მიერ შიმშილობის დაწყებამდე ერთი დღე დარჩა. პროტესტის უკიდურესი ფორმა, შესაძლებელია, კაკაბაძისთვის სავალალო აღმოჩნდეს. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული საკითხის სრული იგნორირებისა, არასამთავრობო სექტორი ბრძოლას მაინც აგრძელებს. სინდისის პატიმართა სიმართლის დასამტკიცებლად არასამთავრობოებმა პროტესტის ახალ ფორმას - ექსპერიმენტს მიმართეს.

ადამიანის უფლებების დამცველებს, ძირითადად ქალებს, გადაწყვეტილი ჰქონდათ, სააპელაციო სასამართლოს ეზოში იგივე აქცია ჩაეტარებინათ, რისთვისაც ირაკლი კაკაბაძეს და მის მეგობრებს 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**"დარწმუნებულები ვართ, რომ ამისთვის ჩვენ არ დაგვიჭერენ, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ საქართველოში კანონს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ",** - აცხადებდნენ სასამართლოში წასვლამდე აქციის ორგანიზატორები.

საპროტესტო გამოსვლისთვის სრულ მზადყოფნაში იყვნენ მართლმსაჯულების წარმომადგენლებიც, რომლებმაც არასამთავრობოების გეგმას თავიდანვე პროვოკაცია დაარქვეს.

**"რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა საჯაროდ განაცხადა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ე. წ. ექსპერიმენტის მოწყობას აპირებს, რაც გამოიხატება პროვოკაციის გზით სასამართლოს საქმიანობისთვის ხელის შეშლაში, იმ მიზნით, რომ გადამოწმდეს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება",** - განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს სპიკერმა მოსამართლემ ნუნუ კვანტალიანმა, რომელიც არასამთავრობოთა ამგვარ ქმედებას სასამართლოზე ზემოქმედების მცდელობად აფასებს.

**"დაუშვებელია სახელმწიფო ხელისუფლებაზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლა. სასამართლოში საქმის განხილვისას წესრიგის დაცვა ყველა მოქალაქის ვალდებულებაა, მიუხედავად მათი სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობისა. ამ სახის ნებისმიერი ქმედება კანონის დარღვევაა, რაც სასამართლოს მხრიდან პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობას ითვალისწინებს",** - ასეთია სპიკერ-მოსამართლის ვერდიქტი.

თუმცა, გუშინ არასამთავრობოების პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობამდე საქმე არ მისულა. პრობლემის მოგვარება სასამართლოს მანდატურის სამსახურს დაევალა, რომელმაც საქმეს ამჯერადაც წარმატებით გაართვა თავი.

საპროტესტო აქციაში მონაწილე "თანასწორობის ინსტიტუტის", "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის", "ახალგაზრდა იურისტების" და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში არ შეუშვეს. მანდატურმა სასამართლოს ჭიშკრის დაკეტვა მოასწრო, რასაც მცირე ინციდენტი მოჰყვა. აქციის ერთ-ერთ წარმომადგენელს ხელი მსუბუქად დაუზიანდა.

**"მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებს და სასამართლოს ხელმძღვანელობას არანაირი იურიდიული საფუძველი არ გააჩნდათ იმისთვის, რომ მოქალაქეებისთვის შენობის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალათ. ამ ადამიანებს იმ ხუთი ქალის შეეშინდათ, რომლებსაც სასამართლოს ეზოში შესვლა საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად სურდათ. მაშინ, როცა პროცესები მიმდინარეობს, გამოდის, რომ სასამართლოს შენობას კეტავენ, რაც კანონის უხეში დარღვევაა. მოვითხოვთ პასუხი გაგვცენ, რის საფუძველზე არ გვიშვებენ მოსამართლეები შენობის ტერიტორიაზე. ასეთი რამ არც შევარდნაძისა და არც კომუნისტების დროს არ კეთდებოდა",** - აცხადებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელმა ანა დოლიძემ კი ის ფაქტი, რომ მოქალაქეები სასამართლოს შენობასთან არ დაუშვეს, კანონდარღვევად შეაფასა.

**"ეს ვანო მერაბიშვილის მოადგილის ეკა ტყეშელაშვილის სასამართლოა. როგორც ცნობილია, სწორედ ეკა ტყეშელაშვილის ბრძანების საფუძველზე დააპატიმრეს ირაკლი კაკაბაძე",** - ამბობს დოლიძე.

საბოლოოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კარებზე ტრანსპარანტები გააკრეს - "თავისუფლება სინდისის პატიმრებს"; "დაიცავით სიცოცხლის უფლება" და სასამართლოს მიმდებარე ტერიტორია მორიგი აქციის გამართვის პირობით დატოვეს.

გუშინდელი დღის მოვლენები აქციის დამგეგმავმა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ "სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის" წევრებმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე შეაფასეს. არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას ქალების მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ადანაშაულებს.

**"დღევანდელ ხელისუფლებას სიმართლის თქმის ეშინია, თუნდაც ამ სიმართლეს ერთი ადამიანი ამბობდეს. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით, მანდატურებმა კიდევ ერთხელ ძალადობრივად შელახეს სამართლიანი სასამართლოსა და აზრის გამოხატვის უფლება. მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გაგვცენ პასუხი, თუ რის საფუძველზე შეულახეს საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციის და ევროპული კონვენციების მიერ გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება",** - ასეთია არასამთავრობოების პოზიცია, რომელსაც არც გუშინ გამოხმაურებია არავინ.

*24 საათი*

# "რეპორტიორი" სასამართლოში ჩივილს აპირებს

სტუდია "რეპორტიორის" ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე "იატაკქვეშ" მოქმედ სააგენტო "ექსკლუზივინფოს" ცრუ ინფორმაციის გავრცელებასა და მის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს.

ვახტანგ კომახიძემ განაცხადა, რომ საინფორმაციო სააგენტო "ექსკლუზივინფოზე" დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ტელეკომპანია "202"-ის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გოგა კოხრეიძემ, ფულის გამოძალვის გამო, ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე სამსახურიდან გაათავისუფლა, აბსოლუტური სიცრუეა.

**"ეს არის სააგენტოს მიერ ჩემი და "რეპორტიორის" დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაცია, რომელშიც ერთი სიტყვაც არ არის სიმართლე. მოვიძიე ეს სააგენტო და აღმოჩნდა, რომ მის შესახებ ჟურნალისტებმაც არაფერი იციან, არ იცნობენ იქ მომუშავე ჟურნალისტებს. ეს სააგენტო გასაიდუმლოებულ რეჟიმში მუშაობს, არსად არის რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში, ძირითადად, შსს-სთვის სასურველ ინფორმაციებს ავრცელებს, ან ე.წ. "კრეპსებს",** - განაცხადა ვახტანგ კომახიძემ, რომლის თქმითაც, ის კულუარულ ინფორმაციას ფლობს, რომ სააგენტო შსს-ს დანამატია და ისევე, როგორც შსს-ს სხვა პიარ-პროექტებს, მასაც გურამ დონაძე აკონტროლებს. ვახტანგ კომახიძის განცხადებით, მსგავსი ტიპის სააგენტოების არსებობას შს ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის დროს ჩაეყარა საფუძველი. სხვათა შორის, მსგავსი ტიპის "იატაკქვეშა" სააგენტოების თავდასხმის ობიექტი არაერთი ჟურნალისტი გამხდარა, როცა შსს-სთვის არასასურველი მასალა ქვეყნდებოდა.

**"ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. საზოგადოებას ატყუებენ, რომ გურამ დონაძე სამსახურიდან დაითხოვეს. არადა, ეს ასე არ არის. დონაძე ჩვენს დისკრედიტაციას მიზანმიმართულად ცდილობს, რადგან "რეპორტიორმა" გადაიღო ფილმი "მადლობა პატრულს", სადაც დონაძის ნეგატიური მხარე გამოიკვეთა. მას შემდეგ, რაც ფილმის ჩვენება შედგა, გამოყენებული კადრები სხვადასხვა ტელეარხმა აჩვენა. ამ პირმა არაერთხელ გააკეთა კომენტარი ფილმთან და ჩემთან დაკავშირებით და ყოველთვის ტყუოდა",** - განაცხადა ვახტანგ კომახიძემ, რომლის თქმითაც, აქამდე ჩუმად მყოფი დონაძე მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც გირგვლიანის საქმეზე მისი და მისი მეგობრებისთვის სასურველი განაჩენი გამოიტანეს.

**"როგორც ჩანს, გირგვლიანის საქმის შემდეგ მან გარანტირებულად იგრძნო თავი. ახლა რობაქიძის საქმე აქვს მოსაგვარებელი და ამიტომაც ალაპარაკდა. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ საზოგადოებას ვერავინ მოატყუებს და ყველა საქმეზე საბოლოოდ აუცილებლად სამართლიანი განაჩენი დადგება",** - აცხადებს ვახტანგ კომახიძე.

მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიტომ სურს "რეპორტიორის" დისკრედიტაცია, რომ სტუდიამ, გარდა რობაქიძის მკვლელობისა, მოამზადა რამდენიმე ფილმი, რომელიც "ჩადენილი დანაშაულებების გამომზეურებას" ემსახურება. სტუდია "რეპორტიორმა" მოამზადა ფილმი აფრასიძეების წინააღმდეგ და კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციებზე, რომელსაც უახლოეს მომავალში იხილავს საზოგადოება.

ვახტანგ კომახიძე, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების გამო, ბოდიშის მოხდას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში ჩივილს აპირებს.

**"მე ჟურნალისტი ვარ და არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩემს კოლეგებს, იმ გაზეთს დავუპირისპირდე, რომელმაც ამ საეჭვო რეპუტაციის სააგენტოს ინფორმაცია გაავრცელა. მათ წარმომადგენელს ვესაუბრე და მიპასუხეს, რომ ამ სააგენტოსთან თანამშრომლობენ და ძალიან ენდობიან, თუმცა ვერ მიპასუხეს, ვინ გაავრცელა ინფორმაცია და ვინ არიან სააგენტოს მფლობელები. მინდა ვთქვა, თუ არ გაშიფრავენ ინფორმაციის წყაროს, რომელიც, თურმე, მათი დიდი ნდობით სარგებლობს და შეურაცხყოფისთვის არ მომიხდიან ბოდიშს, აუცილებლად მივმართავ სასამართლოს",** - აცხადებს ვახტანგ კომახიძე.

ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გურამ დონაძე გამოეხმაურა.

**"კომახიძეს დღეს დაავიწყდა ეთქვა, რომ ყველა საინფორმაციო საშუალების, მათ შორის, ყველა ტელევიზიის, ყველა სააგენტოს, ყველა გაზეთის უკან მე ვდგავარ. ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, რომ კომახიძის სიზმრებზე კომენტარის გაკეთება მიწევს",** - განუცხადა სააგენტო "ინტერპრესნიუსს" გურამ დონაძემ.

*24 საათი*

# აქციის დარბევის ორგანიზატორები დააპატიმრეს

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, სიღნაღის შს რაიგანყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სოფელ ვაქირში მშვიდობიანი აქციის მონაწილე ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე.

საუბარია 2006 წლის 15 ივნისს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში გამართულ აქციაზე, რომელიც სიღნაღის რაიონში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ აბულაშვილის წინააღმდეგ გამართეს. საზოგადოების ნაწილი აბულაშვილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სისტემატურ ზეწოლაში ადანაშაულებდა. აქციაზე მისულმა უცნობმა პირებმა ჟურნალისტები დაარბიეს.

აქციის გასაშუქებლად ვაქირში ჩასული ჟურნალისტების განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ დასარბევად დაქირავებული ადამიანები გამოიყენეს. ტელეკომპანია "გურჯაანის" ჟურნალისტებს დაუმტვრიეს კამერა, წაართვეს გადაღებული ვიდეომასალა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გაზეთ "სპექტრის" ჟურნალისტს ზვიად რუაძეს. შემთხვევას ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებიც შეესწრნენ, თუმცა დაპირისპირების აღსაკვეთად მათ არანაირი ღონისძიება არ გაუტარებიათ.

მომხდარის დეტალების შესასწავლად სახალხო დამცველის წარმომადგენლები სიღნაღის რაიონში ჩავიდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მხარეებს.

სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცველებს, სასწრაფოდ გამოეძიებინათ მომხდარი ფაქტი და კანონის შესაბამისად დაესაჯათ, როგორც დარბევის მონაწილეები, ასევე, ის პოლიციელები, რომლებიც მშვიდად ადევნებდნენ თვალს აქციის დარბევას.

2006 წლის 19 ივნისს სოზარ სუბარმა "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად მიმართა სიღნაღის რაიონულ პროკურორს დავით კოჭლამაზიშვილს, რათა კანონით დადგენილ ვადაში მოეწოდებინა დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.

ჩადენილი დანაშაულისთვის 2006 წლის 16 ივნისს იოსებ ნანობაშვილი, ჯემალ დემეტრაშვილი და ვასილ მუნჯიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ და, სიღნაღის რაიონული მოსამართლის 2006 წლის 17 ივნისის ბრძანებით, იოსებ ნანობაშვილსა და ვასილ მუნჯიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა 2 თვის ვადით, ხოლო ჯემალ დემეტრაშვილს - გირაო 5000 ლარის ოდენობით.

ნანობაშვილმა და მუნჯიშვილმა სიღნაღის რაიონული მოსამართლის ბრძანება მათი დაპატიმრების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრეს. თუმცა, მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიება ამჟამადაც, გრძელდება.

*24 საათი*

# აკადემია ნელ ცეცხლზე

*სხვა მსგავს პრობლემებთან ერთად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს მეცნიერებათა აკადემიების პრობლემაც უდგას. ეს პრობლემა ძალზე მწვავეა რუსეთისთვისაც...*

ს. ლესკოვი
"იზვესტია ნაუკი".
29 ივნისი, 2006

ყველა მეცნიერი ცხვირჩამოშვებული დადის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვიღაცამ, უზომოდ სასტიკმა და განსაკუთრებით დაუნდობელმა, შემეცნების უკლებლივ ყველა სფეროს ასე გამოუცხადა: დღემდე მოქმედი ყველა ყოფითი კანონი უქმდება და იწყება ახალი ერაო. არადა, წესით, სწავლულებს შეეძლოთ ეზეიმათ: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ახლახანს ჩატარებულ საერთო კრებაზე, როდესაც ჩინოვნიკთა, ბანკირთა და დეპუტატთა მთელმა ურდოებმა მოინდომეს სწავლულის მანტიაში გამოწყობა, სამეცნიერო საზოგადოება უეცრად პრინციპულობით აღიჭურვა და იმ უმაღლესი მორალური ინსტიტუტის სახით წარმოჩინდა, რომელზეც ერთ დროს თვით ბრძენი პეტრე კაპიცა ოცნებობდა. თუმცა, ახლა უკვე ნათელია, რომ ის, რაც სწავლულებმა ძლიერთა ამა ქვეყნისათ შესთავაზეს, სხვა არაფერია, თუ არა დაუვიწყარი "პრომოკაშკას" შეძახილი - "ახვრებო", როდესაც ჟეგლოვმა მას და მის ძმაბიჭებს ხელები გადაუგრიხა.

ძლიერნი შეურაცხყოფას აიტანენ, თავისას გაიტანენ, თავები გაგორდება, ორი თავი კი არავის აქვს. ძლევამოსილი არჩევნების შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში შტატების შემცირება დაიწყო. შემცირდება თანამშრომელთა 20 პროცენტი, მაგრამ დაშვებულია მათი გადასროლა სადმე სხვაგან. მაგალითად, დღეს რომ ნეიტრონულ ნაკადებს აკვირდები, ხვალ გადაგამზადებენ და ქვეწარმავლების ხელდახელ შეპყრობას შეგასწავლიან. პარალელურად, იზრდება ანაზღაურება, მაგრამ ეს მხოლოდ მიზერია პირადი დრამების ფონზე. და სულ უფრო და უფრო რეალური ხდება ჭორი იმის შესახებ, რომ მეცნიერების სახელმწიფო სექტორის რეფორმირების მრავალი ვარიანტიდან არჩეული იქნება ის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც აკადემიკოსებს ჩამოერთმევათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქონებისა და უკიდეგანო მამულების განკარგვის უფლება, რომელიც გადაეცემა ახალი თაობის მენეჯერებს. მრავალი ინსტიტუტი, გაფიქრებაც კი შეგზარავს, აქციონირებას დაექვემდებარება. სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ საბაზრო ეკონომიკაში გამოზრდილი ახალგაზრდა მგლების მადამ უკვე უწია მეცნიერებას და რომ მას ისევე დაჩეხავენ და ისევე გადაინაწილებენ ჯიბეუბეებში, როგორც თავის დროზე ეს მრავალ დარგს დაემართა.

ამასობაში, რუსული მეცნიერება მოლოდინს ველარ ამართლებს, იგი ვერც მწვავე საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობს და მისით მხოლოდ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცალკეული ხელმძღვანელი ტკბება. **არაფერი შეცვალო მეცნიერების მართვაში, ეს ნიშნავს გაწირო ქვეყანა აბსოლუტური უმეცრებისთვის, მაშინაც კი, თუ რუსეთის მეცნიერებათა აკადემია კვლავ ძველებური მონდომებით გააგრძელებს აკადემიკოსების არჩევას.** განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 70 პროცენტი მეცნიერებატევადი წარმოების ხარჯზე ხდება. რუსეთის წილი მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე სამარცხვინოდ მცირეა - დაახლოებით 1 პროცენტი. ცოდნის ეკონომიკის შექმნა, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის სახეს განსაზღვრავს, ქვეყანას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მეცნიერება მოძლიერდება. ატარებს რა ინოვაციურ პოლიტიკას, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მეცნიერებას არა მხოლოდ იდეებით, არამედ მათი დანერგვის გზების ათვისებაშიც. ინოვაციური სტრატეგია თითქმის ყველა უწყებაში მთავარი საკითხია, მაგრამ ნაყოფი ერთბაშად არ მწიფდება. უსამართლობა იქნებოდა სახელმწიფოს დადანაშაულება, თითქოს იგი არ ცდილობს მეცნიერების მიღწევებზე მოთხოვნის გაზრდას. მაგრამ შეუძლია კი თავად მეცნიერებას რაიმე ღირებულის შემოთავაზება? ბოლო 10 წლის შედეგებით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობით რუსეთი მსოფლიოში მერვე, ხოლო მათი ციტირების ინდექსით მე-18 ადგილზეა. ამ მხრივ რუსეთს ჩინეთმაც გაუსწრო. საშუალოდ რუსი მეცნიერის ციტირება 3-ჯერ ხდება, ამერიკელის - 13-ჯერ. იძულებულები ვართ ვაღიაროთ, რომ ჩვენი სამეცნიერო პროდუქტის ხარისხი არც ისე მაღალია, თუმცა მეცნიერებათა აკადემიაში არ აპირებენ ჩუმად გადაყლაპონ ეს საყვედურები. ყველაზე პოპულარული არგუმენტი ფინანსებს უკავშირდება. ერთ მეცნიერზე რუსეთი ხარჯავს 20-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აშშ და 10-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ევროპა. მთელი რუსული მეცნიერების ბიუჯეტი 2 მილიარდ დოლარს შეადგენს. თითქოსდა რა უნდა მოთხოვო? მაგრამ მთავარი არ არის ის, რომ მეცნიერებაზე ცოტა იხარჯება. **მთავარი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი სამეცნიერო პროდუქტი ისევე შორს არის დანერგვისა და კომერციალიზაციისაგან, როგორც თავის დროზე დეკაბრისტები - ხალხისგან.** რუსეთი არეგისტრირებს 10-ჯერ ნაკლებ პატენტს, ვიდრე იაპონია, 6-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აშშ და 2-ჯერ ნაკლებს, ვიდრე პატარა კორეა. და ამ მცირერიცხოვანი გამოგონებებიდან ინერგება მხოლოდ 0,5 პროცენტი. სწავლულნი მხოლოდ ვარსკვლავებს კი არ ითვლიან და მხოლოდ ემპირიებში კი არ დაფრინავენ... მეცნიერების შედეგიანობა გამოითვლება, როგორც ტექნოლოგიების ექსპორტ-იმპორტის სალდო. რუსეთისთვის ეს მაჩვენებელი "-361"-ს შეადგენს, აშშ-სთვის - "+24844". **სამაგიეროდ, მეცნიერ-თანამშრომლების რაოდენობით პირველ ადგილზე ვრჩებით.** მაგრამ ვერც რიცხოვნობით და ვერც ცოდნით წარმატებას ვერ ვაღწევთ.

ფრანგი ისტორიკოსი, ჟან ლე გოფი ამტკიცებდა, რომ წარმატებულ განვითარებას ორი ფაქტორი განაპირობებს - მემკვიდრეობითობა და გარდაქმნები. პირველის არარსებობის შემთხვევაში მარცხი გველის, მეორის არარსებობის შემთხვევაში - ნელ ცეცხლზე დაწვა.

# მესხების ორგანიზაციები ერთიანდებიან

ნათია მსხილაძე

რუსეთში მოქმედი მესხების საერთაშორისო ორგანიზაცია "ხსნა" და საქართველოში მოქმედი ხალილ გოზალიშვილის სახელობის იგივე სახელწოდების საერთაშორისო ასოციაცია გაერთიანდნენ. ამის შესახებ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ისა აშრაფოვმა და სანდრო ხოზრევანიძემ გუშინ, "ახალი ამბები - საქართველოს" საერთაშორისო პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს. ორივე ორგანიზაციას ერთნაირი წესდება აქვთ და ერთი მიზანი ამოძრავებთ, რაც მათი გაერთიანებისა და მესხური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს შექმნის მიზეზი გახდა. ასოციაცია "ხსნის" უშუალო ხელშეწყობით საქართველოში 100-მდე მესხური ოჯახი დაბრუნდა.

გაერთიანებული ორგანიზაციის ლიდერებმა, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა მაჰმადიან მესხთა პროთურქული ორიენტაციის ორგანიზაცია "ვათანის" ლობირებაში დაანაშაულეს.

როგორც სანდრო ხოზრევანიძემ აღნიშნა, დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნებისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამთავრობო კომისია შექმნა, რომელსაც გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს. **"ამ სამთავრობო კომისიის მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის გამო, დეპორტირებულ მოსახლეობაში, ქართული ორიენტაციის მხარდამჭერთა ისედაც მცირე რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. მიზეზი ის არის, რომ კომისიის საქმიანობა, უმთავრესად, თურქული ორიენტაციის საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებული,"** - აცხადებს ხოზრევანიძე.

ორგანიზაციის ლიდერების განცხადებით, კომისიამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ დეპორტირებულ მოსახლეობას, თურქული ორიენტაციის საზოგადოების "ვათანის" თავმჯდომარე, მესხების სამშობლოში დაბრუნების ხელისშემწყობისთვის ერთადერთი ორგანიზაციის ლიდერად წარუდგინა. თუმცა, "ვათანის" მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ მესხების სამშობლოში დაბრუნება საქართველოზე ზემოქმედების საშუალებად ქცეულიყო. **"ქართული ორიენტაციის ორგანიზაციები ცდილობენ ჩასახლება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდეს. ორი ორგანიზაციის გაერთიანება და ძლიერი საკოორდინაციო საბჭოს შექმნაც სწორედ, ამ მიზანს ემსახურება"**,- აღნიშნა ასოციაცია "ხსნის" პრეზიდენტმა.

სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ამ განცხადებას აბსურდულს უწოდებს. მისი თქმით, აქტიური თანამშრომლობა სწორედ პროთურქულ ორგანიზაციასთან არის საჭირო.

ორანიზაციის ლიდერებს იმედი აქვთ, რომ გაერთიანების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება მათ მეტ ანგარიშს გაუწევს. მათი თქმით, საქართველოში დაბრუნების მსურველი მესხები იმედოვნებენ, რომ საქართველოს პარლამენტი მალე მიიღებს კანონს რეპატრიაციის შესახებ, რის შემდეგაც მათ სამშობლოში ეტაპობრივად დაბრუნების საშუალება ექნებათ.

რაც შეეხება კანონპროექტს რეპატრიაციის შესახებ, გიორგი ხაინდრავას თქმით, მან ბოლო ექსპერტიზა რამდენიმე კვირის წინ სტრასბურგში გაიარა და სავარაუდოდ, პარლამენტი მას საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს.

სანდრო ხოზრევანიძის ინფორმაციით, მისი ორგანიზაცია 26 ათას ადამიანს აერთიანებს. ხოლო ყაბარდო-ბალყარეთში და რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ რაიონებში, უზბეკეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში მოქმედ მესხთა საერთაშორისო ორგანიზაცია "ხსნა" - 30 ათასს.

# ქართველები ლიბანიდან ბრუნდებიან

*საქართველოს საგარეო უწყების მონაცემებით, ლიბანის რესპუბლიკაში, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, საქართვლოს სამი მოქალაქე იმყოფებოდა. ლევან აბულაძე - ქალაქ ტრიპოლში, ნიკოლოზ სარდლიშვილი -ქალაქ ბალამანდში და მაია კარიაული ქალაქ ბეირუთში.*

ნათია მსხილაძე

16 ივლისს იორდანიის სამეფოში, ლიბანის რესპუბლიკაში და საუდის არაბეთში, ქუვეითსა და არაბთა გაერთიანებულ ემირატებში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქეებს დაუკავშირდნენ და მათ საქართველოში დაბრუნების მიზნით დახმარება შესთავაზეს.

ლევან აბულაძე 16 ივლისს საღამოს 10 საათზე საქართველოს საელჩოს მიერ დაქირავებული მანქანით და საელჩოს ზედამხედველობის ქვეშ, სირიის არაბთა რესპუბლიკაში გადაიყვანეს. მას დამასკოში დარჩენა სურდა, თუმცა შეთავაზებულ დახმარებას დათანხმდა და ამჟამად იორდანიაში საქართველოს საელჩოში იმყოფება.

ნიკოლოზ სარდლიშვილიც, რომელიც ჩრდილოეთ ლიბანში, ქალაქ ბალამანდში იმყოფებოდა, დახმარებაზე თავდაპირველად უარს აცხადებდა. თუმცა ქართველი დიპლომატების მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და იგი გუშინ ღამით ირლანდიაში საქართველოს საელჩოში იქნა გადმოყვანილი.

ლიბანში მყოფი საქართველოს მესამე მოქალაქეს მაია კარიაულს კი, ლიბანის დატოვება მხოლოდ საჰაერო ხომალდის მეშვეობით სურს. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებულია ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენი ბილიკი და შესაბამისად, შეჩერებულია სამოქალაქო ფრენები, მან მაინც უარი განაცხადა საქართველოს საელჩოს დახმარებაზე. კარიაულმა სამხედრო ხომალდით წასვლის მიზნით, დახმარებისათვის რუსეთის, უკრაინის და ამერიკის საელჩოს მიმართა.

ქართველი დიპლომატები შეეცადნენ, რომ მაია კარიაულის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ და დახმარებისთვის ამერიკელ სამხედროებს მიმართეს. თუმცა, კარიაულმა ლიბანის დატოვება მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებისათვის გამოყოფილი ავტობუსით ისურვა. **"საელჩოს წარმომადგენლების აქტიური მცდელობის მიუხედავად კარიაული დღესაც უარს აცხადებს შეთავაზებულ დახმარებაზე. საელჩოს მიერ მას მიეცა რეკომენდაცია დატოვოს ლიბანის ტერიტორია და გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში, საქართველოს საელჩო მზადაა დახმარებისათვის"** ,- აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

საგარეო უწყების ინფორმაციით, ლიბანში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე ისრაელსა და იორდანიაში საქართველოს საელჩოებში, სპეციალურად ამუშავდა ცხელი ხაზი, სადაც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ მიიღონ დახმარება და ამომწურავი ინფორმაცია.

# "გამჭვირვალობას" გამჭვირვალობა მოსწონს

საერთაშორისო ორგანიზაციები "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" და "ამერიკული საბჭოები" მეორე წელია ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგს ახორციელებენ. წელს მონიტორინგში საერთაშორისო დამკვირვებლებიც ჩაერთვნენ, რომლებიც საქართველოში "ამერიკის საბჭოების" მოწვევით ჩამოვიდნენ.

ერთიან ეროვნულ გამოცდებს ოთხი საერთაშორისო და 56 ადგილობრივი დამკვირვებელი აკვირდებოდა. ისინი თვალყურს ადევნებდნენ ყველა საგამოცდო პროცედურას, დაწყებული აბიტურიენტთა რეგისტრაციით და დასრულებული ტესტების დალუქვით. "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წარმომადგენლებმა ჩაატარეს აბიტურიენტთა, მათი მშობლებისა და ტესტირების ადმინისტრატორების გამოკითხვაც, რათა დაედგინათ მათი აზრი ახალ საგამოცდო სისტემასთან დაკავშირებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში გუშინ პრესკონფერენცია გაიმართა. **"როგორც მონიტორინგმა ცხადყო, გასული წლის მსგავსად, ტესტირების პროცესი თოთხმეტსავე საგამოცდო ცენტრში კარგად იყო ორგანიზებული. გამოცდების ადმინისტრირებაში მონაწილე პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულები მათი ფუნქციებისა და ზოგადად საგამოცდო პროცესის შესახებ და დაკისრებულ მოვალეობას სრულყოფილად ასრულებდნენ. სწორი დაგეგმვისა და გასულ წელს მიღებული გამოცდილების შედეგად წელს ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის მნიშვნელოვან გართულებას და დარღვევებს,"** - აღნიშნა "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" განათლების პროგრამის მენეჯერმა ქემრინ ქრისტენსენმა და დასძინა: **"წლევანდელი გამოცდები გამჭვირვალედ და წარმატებულად მიმდინარეობს. ჩვენ მივესალმებით "შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" მონდომებას და მოვუწოდებთ მას, რომ შეინარჩუნოს ის მაღალი სტანდარტი, რომელიც მან ერთიანი ეროვნული გამოცდების ადმინისტრირების ორწლიანი გამოცდილების შედეგად დაინერგა".**

გამოცდების შესახებ დადებითი აზრის არიან საერთაშორისო ექსპერტებიც. "ამერიკის საბჭოების" წარმომადგენელი ტოდ დრუმონდი ფიქრობს, რომ **"ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აშკარაა, რომ მიმდინარე საგამოცდო პროცესს საზოგადოების მხარდაჭერა აქვს, რაც რეფორმის წარმატების აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პირობაა."**

შენიშვნა, რაც გამოკითხვის დროს აბიტურიენტებისა და მშობლების მხრიდან ყველაზე ხშირად გამოითქმებოდა, ეხებოდა შეფასებისა და სკალირების სისტემებს და იმ ფაქტს, რომ შეფასების პროცესი დიდხანს გრძელდება. ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლნი რეკომენდაციით მიმართავენ განათლების სამინისტროს, რომ რამდენადაც შესაძლებელია, შეამციროს საბოლოო შეფასებების გამოქვეყნების დრო.

*24 საათი*



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ასლგადამღები მანქანების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენეობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგენეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.N32, (შესასვლელი არსენას ოძელაშვილი ქ. N21). ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

| საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| ასლგადამღები მანქანა | 3100 ცალი |

3. მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:

3.1 ასლგადამღები მანქანა უნდა იყოს მარტივი მოხმარების, კომპაქტური, იღებდეს A4 ფორმატის ქაღალდს, კომპლექტაციაში უნდა მოყვებოდეს კარტრიჯი. M

4. მიწოდება იწარმოებს ერთდროულად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ მისამართზე ქ. თბილისში.

5. მიწოდების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთდროულად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. ტენდერის დროს გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფის მექანიზმი. გარანტიის ფორმა - საბანკო, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულის მიმართ ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის მექანიზმი. გარანტიის ფორმა - საბანკო, ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ივლისიდან 10 აგვისტოს 16:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.N32, (შესასვლელი არსენას ოძელაშვილი ქ. N21). ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

9. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-9 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.N32, (შესასვლელი არსენას ოძელაშვილი ქ. N21). ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: (8-22) 987005,

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს ზეთების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონელი:
ა) ტურბინის ზეთი რო-30 - 30 000 ლიტრი;
ბ) კომპრესორის ზეთი კჟ-19 - 2 500 ლიტრი.

3. მიწოდების ადგილი გალის რ-ნი დას. საბერიო, შპს "ენგურჰესი"
4. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადაა 360 დღე.
5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 აგვისტოს 14 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირთათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
ე) ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური მოწოდების განხორციელების შესახებ.

6.2. ფიზიკური პირისათვის (ინდ. მეწარმე).
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
ბ) ანკეტა რეგისტრაციის შესახებ; (საგადასახადოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).
გ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
დ) ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური მოწოდების განხორციელების შესახებ.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის
ზუგდიდის ფილიალი
ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

7. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული და არ იქნებიან დაშვებული შერჩევისათვის.
8. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.
9. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
10. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. 8(215) 301 80.

**სატენდერო კომისიის აპარატი.**

## კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო ევრაზიის ფონდის პროგრამა აცხადებს ვაკანსიას პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე

CRRC-საქართველო - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების ევრაზიის ფონდის პროგრამის ნაწილია, რომელიც ხორციელდება ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მეცნიერებების მხარდაჭერას.

**თანამდებობის მოკლე დახასიათება:**

CRRC-საქართველოს დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ პროგრამის მენეჯერი ადგენს და ახორციელებს მონაცემთა ინიციატივის, სასტიპენდიო, წვრთნის და სხვა პროგრამებს; პროგრამის მენეჯერი ასევე ეხმარება დირექტორს CRRC-ს პროგრამული პოლიტიკის, პროცედურების და სტანდარტების შემუშავებაში და ასრულებს სხვა დაკავშირებულ მოვალეობებს.

**მოთხოვნები კანდიდატების კვალიფიკაციისადმი:**

- საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოცდილება;
- მართვის და პროგრამის განხორციელების გამოცდილება;
- მონაცემთა ბაზების მართვის უნარი, ასევე კომპიუტერზე მუშაობის კარგი ცოდნა;
- თემების ქსელების მართვის და წვრთნის გამოცდილება;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა;
- ორგანიზებულობა ერთდროულად რამდენიმე პროექტის მართვის უნარით; ყურადღება დეტალებისა და ხარისხისადმი; ანალიტიკური უნარი;
- ადამიანებზე ორიენტირებული; ენერგიული; მოლაპარაკების წარმართვის კარგი უნარი; სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობების უნარი; დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა; გუნდში მუშაობის უნარი;
- საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.

საუკეთესო კანდიდატმა უნდა შეძლოს ბალანსის უზრუნველყოფა პროგრამის განხორციელებასა და მონაცემთა ინიციატივის და სხვა პროგრამებზე მომუშავე თანამშრომლებზე ადმინისტრაციულ ზედამხედველობას შორის.

**ანაზღაურება**: ხელფასი იქნება კანდიდატის პროფესიული გამოცდილების შესაბამისი.

მხოლოდ შერჩეული კანდიდატები მიიღებენ შეტყობინებას შერჩევის პროცესის შედეგების შესახებ.

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ თანდართული წერილი და CV ინგლისურ ენაზე, რომელშიც მითითებული იქნება სამი რეკომენდატორი (სასურველია e-mail-ით) **2006 წ. 1 სექტემბრამდე** CRRC-ს ოფის-მენეჯერის ქ-ნ დიკა კაციტაძის მისამართზე dika@crrc.ge .

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში სატენდერო კომისიის მიერ შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები

1. განცხადების პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის .N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს სართიჭალა-გარდაბნის რეაბილიტაციის სამუშაოთა შესყიდვაზე ორ ლოტად:

I ლოტი - სართიჭალა-გარდაბნის DD=500 მმ გაზსადენის 33 კმ-იანი მონაკვეთის კაპიტალური შეკეთება

II ლოტი - სართიჭალა-გარდაბნის DD=500 მმ გაზსადენზე გაზმზომი კვანძის მოწყობისთვის საჭირო მოწყობილობების მოწოდება და მისი მონტაჟი.

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. განცხადების პირველი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით

ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეული ლოტის მიხედვით. სატენდერო კომისიაში პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება და შეფასებისთვის არ დაიშვება.

3. განცხადების მესამე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

სამუშაო უნდა განხორციელდეს არსებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. სამუშაო უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ობიექტზე. I ლოტზე სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 ნოემბერი; II ლოტზე მოწოდებისა და მონტაჟის სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 დეკემბერი.

4. განცხადების მესამე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შეფასდება შემდეგი შეფასების კრიტერიუმებისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით:

I ლოტი:

| № | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1. | სატენდერო წინადადების ფასი | 0,35 |
| 2. | სამუშაოს შესრულების ვადა | 0,20 |
| 3. | სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა | 0,15 |
| 4. | ორგანიზაციის გამოცდილება ანალოგიური სანუშაოების შეახებ | 0,15 |
| 5. | ანგარიშსწორების პირობები | 0,05 |
| 6. | შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები და ვადები | 0,10 |
| | | სულ: 1.0 |

II ლოტი:

| № | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1. | სატენდერო წინადადების ფასი | 0,35 |
| 2. | საქონლის მიწოდება-მონტაჟის ვადა | 0,20 |
| 3. | საქონლის მიწოდება-მონტაჟისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა | 0,15 |
| 4. | ორგანიზაციის გამოცდილება | 0,15 |
| 5. | ანგარიშსწორების პირობები | 0,05 |
| 6. | შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები და ვადები | 0,10 |
| | | სულ: 1.0 |

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

## სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს ორეტაპიან ტენდერს **საკანცელარიო კომპიუტერული პროგრამის** შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

დოკუმენტაცია იყოფოდეს შემდეგ კატეგორიებად:

1. შემოსული;
2. გასული;
3. შიდა დოკუმენტაცია.

- დოკუმენტი ეკრანზე უნდა გამოისახებოდეს ბარათის სახით, სადაც მოთავსებულია მთელი ინფორმაცია კონკრეტულ დოკუმენტზე.
- დოკუმენტის დედანის დასკანერებული სახით წარმოდგენა.
- დოკუმენტის ძებნა უნდა ხდებოდეს მისი ნებისმიერი რეკვიზიტით:
- Mმოცემული დროის მონაკვეთით, სარეგისტრაციო ნომრით, რეგისტრაციის თარიღით, დოკუმენტაციის ნომრით და თარიღით, ორგანიზაციის დასახელებით, შესრულების ვადით, შესრულებით, შინაარსით.
- შესაძლებელი უნდა იყოს დოკუმენტის ნებისმიერი ბარათის ამობეჭდვა.
- დოკუმენტების სიის ბეჭდვა სორტირების საშუალებით, ნებისმიერი ზემოთხსენებული პარამეტრებით.
- ყოველდრიური შეხსენება საკონტროლო დავალების შესრულებაზე უახლოეს 3 დღეზე.
- სამუშაოს შესრულების კონტროლი, შემსრულებლის ანგარიშის დაბეჭდვის შესაძლებლობით.
- Dდოკუმენტების შაბლონების სიის გამოყენება ამ სიის დამოუკიდებელი მოდიფიკაციის შესაძლებლობით.
- ტექნიკის შეფერხების შემთხვევაში მონაცემთა ბაზის განადგურების თავიდან აცილების მიზნით Mმონაცემთა რეზერვაცია, კოპირება და მაქსიმალურად აღდგენა.
- Dდოკუმენტების მონაცემების ნაკადის შესამცირებლად დოკუმენტების კარტოთეკა უნდა დაიყოს წლების მიხედვით.
- ყოველი წლის დასაწყისში უნდა იქმნებოდეს ახლი კარტოთეკა.
- პროგრამის დამცავი მექანიზმი - თავისუფალი შესვლა, მარტო წაკითხვა, უარი პროგრამაში შესვლაზე.
- გასათვალისწინებელია დოკუმენტის ტიპი - კონფედენციალური, არაკონფედენციალური, საიდუმლო.
- ქსელური ვერსია, პერსონალის მომზადება, პირველადი ინსტალირება, პროგრამის გაშვება.

მიწოდების სასურველი ვადა არის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123. დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი, სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი".

3. სატენდერო მოსაკრებელის ანაზღაურების შემდგომ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს აეროპორტის სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, ტელ.: 433132.

4. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
- Mმსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

7. პირველადი სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაციას ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შესახებ.
- ინფორმაციას ანალოგიური ან მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილების შესახებ ბოლო ...2 წლის განმავლობაში.

პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ღირებულების მითითების გარეშე.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასების დროს მხედველობაში იქნება მიღებული:

- პრეტენდენტის პერსონალის კვალიფიკაცია
- პრეტენდენტის გამოცდილება ანალოგიური ან მსგავსი პროექტების განხორციელებაში

8. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დალუქული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 9 აგვისტოს 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ.: 433132.

9. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 9 აგვისტოს 15.00 საათზე.

11. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

12. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ტელ.: 433132; ფაქსი: 433103.

სატენდერო კომისია

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხიზანიშვილის ქუჩაზე (აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე გამყოფი ზოლის ტერიტორიაზე) ბავშვთა გასართობი პარკის ტერიტორიის სადღეღამისო დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ობიექტის სადღეღამისო (24 საათიანი) დაცვა; არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 11 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 10 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## ტენდერში მონაწილეების მიღებისათვის დაინტერესების გამოხატვის მოთხოვნა

**საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი**

იწვევს დაინტერესებულ პირებს გამოხატონ თავისი დაინტერესება გადარიცხვის სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე.

მომსახურეობა მოიცავს და არ შემოიფარგლება საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლისათვის შემდეგი მომსახურეობის გაწევას, კერძოდ:

- სპეცანგარიშების მართვა მსოფლიო ბანკის წესების შესაბამისად
- სპეციალური ანგარიშიდან თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის ჩატარება (საგადასახადო დავალებების, ვალდებულებების მომზადება, ხაზინასთან ურთიერთობა, ა.შ)
- სპეციალური ანგარიშის შევსებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მსოფლიო ბანკში წარსადგენად

კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი კვალიფიკაცია და გამოცდილება:

დიპლომი ფინანსურ დარგში, მინიმუმ 5 წლის მუშაობის გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებში ფინანსური მართვის დარგში.

კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 5 თვე, გაგრძელების პერსპექტივით

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი აცხადებს ტენდერს და აღნიშნულ სფეროებში მომსახურეობის უზრუნველყოფის მსურველ ინდივიდუალურ პირებს სთავაზობს წარმოადგინონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (CV, გაწეული მსგავსი მომსახურეობის აღწერა და ა.შ.)

ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე 11:00 - 18:00 საათამდე.

დაინტერესების წერილები წარმოდგენილი უნდა იქნას განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში სამუშაო დღის ბოლომდე შემდეგ მისამართზე:

პაატა ჭარაქაშვილი

საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლის დირექტორი

ტელ (995 32) 950865, 955268; ფაქსი: (995 32) 221364;
e-mail pcharakashvili@wanex.net

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად ერთი წლის ვადით. საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ორი კვირა. აუქციონზე "ბიჯი" შეადგენს საწყისი ფასის 10 %-ს.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

თელავის, ამბროლაურის, მარტვილის, კოლხეთის, ახალციხის, ბაღდათის, ახალგორის, ყვარელის, ხაშური-ქარელის, ზემო სვანეთის, ლენტეხის, ჩოხატაურის, ონის, ადიგენის, ოდიშის, დუშეთის, გორის ს/ს სატყეო მეურნეობის ტყეკაფები მთავარი და მოვლითი სახის ჭრებით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განცხადება სასურველი ტყეკაფის მითითებით (სატყეო, კვარტალი, უბანი)

2) იურიდიული პირის ან ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას თან უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები

3) სალიცენზიო მოსაკრებლის (8 ლარი) გადახდის ქვითარი

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **300033050.**

**4)** "ბე"-ს გადახდის ქვითარი

"ბე"-ს გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **302003000.**

5). გამარჯვებული ასევე ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს ტყეკაფის გამოყოფის ხარჯები შემდეგნაირად: პირწმინდა და პლანტაციურ ჭრებზე 0.66 ლარი ერთ კუბურ მეტრ ლიკვიდურ მერქანზე, ხოლო სხვა სახის ჭრებზე 2.70 ლარი ერთ კუბურ მეტრ ლიკვიდურ მერქანზე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 20 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 18 აგვისტოს 11 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6.

**T 27-57-60.**
**www.moe.gov.ge**

| № | სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ჭრის სახე | ფართობი | ჯიში | სანიხრე | ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კბმ | | | საწყისი ფასი | „ბე" | „ბიჯი" 10 % | ახალი გზის მშენებლობა(კმ) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სამასალე | საშეშე | სულ (ლიკვიდი) | | | | სამანქანო | სატრაქტორო |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 1 | თელავი | იყალთო | 74 | 15 | მთავარი | 15.0 | ფოთ | III | 202 | 160 | 362 | 6 177 | 1235 | 617 | | |
| 2 | | იყალთო | 75 | 3 | მთავარი | 11.0 | ფოთ | III | 314 | 192 | 506 | 9 405 | 1881 | 940 | | |
| 3 | | იყალთო | 74 | 14 | მთავარი | 3.5 | ფოთ | III | 226 | 136 | 362 | 6 762 | 1352 | 676 | | |
| 4 | | იყალთო | 74 | 16 | მთავარი | 6.0 | ფოთ | III | 175 | 113 | 288 | 5 263 | 1052 | 526 | 0.4 | |
| 5 | | იყალთო | 69 | 23 | მთავარი | 10.0 | ფოთ | III | 180 | 102 | 282 | 5 363 | 1073 | 536 | 1.5 | |
| 6 | | იყალთო | 74 | 19 | მთავარი | 6.5 | ფოთ | III | 288 | 191 | 479 | 8 678 | 1735 | 867 | | 4.0 |
| 7 | | იყალთო | 69 | 21 | მთავარი | 9.0 | ფოთ | III | 125 | 61 | 186 | 3 690 | 738 | 370 | 1.5 | |
| 8 | | აკურა | 55 | 9 | მთავარი | 19.0 | ფოთ | III | 442 | 513 | 955 | 14 083 | 2817 | 1408 | 2.5 | |
| 9 | | თელავი | 54 | 25 | მთავარი | 10.0 | ფოთ | II | 146 | 147 | 293 | 5 845 | 1169 | 584 | | |
| 10 | | თელავი | 66 | 6 | მთავარი | 15.0 | ფოთ | II | 135 | 129 | 264 | 5 369 | 1074 | 536 | | |
| 11 | | თელავი | 54 | 1 | მთავარი | 13.0 | ფოთ | II | 335 | 253 | 588 | 12 972 | 2594 | 1297 | | |
| 12 | | თელავი | 48 | 14 | მთავარი | 5.0 | ფოთ | II | 62 | 89 | 151 | 2 620 | 524 | 262 | | |
| 13 | | თელავი | 66 | 25 | მთავარი | 14.0 | ფოთ | II | 200 | 231 | 431 | 8 162 | 1632 | 816 | | |
| 14 | | წინანდალი | 19 | 18 | მთავარი | 5.0 | ფოთ | II | 88 | 63 | 151 | 3 389 | 678 | 338 | | |
| 15 | | წინანდალი | 18 | 20 | მთავარი | 14.0 | ფოთ | II | 281 | 216 | 497 | 10 900 | 2180 | 1090 | | |
| 16 | | წინანდალი | 30 | 14 | მთავარი | 28.0 | ფოთ | II | 310 | 240 | 550 | 12 034 | 2407 | 1203 | | |
| 17 | | წინანდალი | 36 | 6 | მთავარი | 9.0 | ფოთ | II | 90 | 74 | 164 | 3 516 | 703 | 351 | | |
| 18 | | წინანდალი | 34 | 4 | მთავარი | 10.0 | ფოთ | II | 214 | 172 | 386 | 8 341 | 1668 | 834 | | |
| 19 | | ნაფარეული | 49 | 9 | მთავარი | 16.0 | ფოთ | III | 136 | 115 | 251 | 4 184 | 837 | 418 | | |
| 20 | | ნაფარეული | 49 | 4 | მთავარი | 22.0 | ფოთ | III | 364 | 350 | 714 | 11 346 | 2269 | 1134 | | |
| 21 | | ნაფარეული | 52 | 18 | მთავარი | 28.0 | ფოთ | III | 510 | 535 | 1045 | 16 052 | 3210 | 1605 | | |
| 22 | | ნაფარეული | 52 | 10 | მთავარი | 18.0 | ფოთ | III | 167 | 200 | 367 | 5 343 | 1069 | 534 | | |
| 23 | | ფშაველი | 25 | 9,10-12 | მთავარი | 25.0 | ფოთ | IV | 1019 | 622 | 1641 | 23 775 | 4755 | 2377 | | 2.0 |
| 24 | | ფშაველი | 76 | 8 | მთავარი | 19.0 | ფოთ | III | 671 | 405 | 1076 | 20 080 | 4016 | 2008 | 14.0 | |
| 25 | | ფშაველი | 63 | 5 | მთავარი | 17.0 | ფოთ | IV | 511 | 330 | 841 | 11 970 | 2394 | 1197 | | |
| 26 | ამბროლაური | სადმელო | 2 | 13 | მთავარი | 15.0 | წიწვ | IV | 503 | 418 | 921 | 6 313 | 1263 | 631 | | |
| | | | | | | | ფოთ | | 44 | 98 | 142 | | | | | |
| | | სულ: | | | | 15.0 | | | 547 | 516 | 1063 | | | | | |
| 27 | | ლიხეთი | 14 | 10 | მთავარი | 5.5 | წიწვ | IV | 150 | 157 | 307 | 1 992 | 398 | 199 | | 9.0 |
| | | | | | | | ფოთ | | 12 | 59 | 71 | | | | | |
| | | სულ: | | | | 15.0 | | | 162 | 216 | 378 | | | | | |
| 28 | | ლიხეთი | 13 | 12 | მთავარი | 4.8 | წიწვ | IV | 102 | 213 | 315 | 1 309 | 262 | 130 | | 8.0 |
| | | | | | | | ფოთ | | - | 20 | 20 | | | | | |
| | | სულ: | | | | 4.8 | | | 102 | 233 | 335 | | | | | |
| 29 | მარტვილი | ლებარდე | 22 | 1 | მთავარი | 1.8 | თხმელა | IV | 57 | 51 | 108 | 327 | 65 | 38 | | 2.0 |
| 30 | | ლებარდე | 21 | 4 | მთავარი | 8.6 | ფოთ | IV | 378 | 360 | 738 | 18 436 | 3687 | 1843 | 2.5 | |
| | | | | | | | წიწვ | | 916 | 756 | 1672 | | | | | |
| | | სულ: | | | | 8.6 | | | 1294 | 1116 | 2410 | | | | | |
| 31 | | სალხინო | 17 | 12 | მთავარი | 2.4 | ფოთ | IV | 118 | 106 | 224 | 2 842 | 568 | 284 | | 0.4 |
| 32 | | სალხინო | 38 | 19 | მთავარი | 1.7 | ფოთ | IV | 79 | 64 | 143 | 1 884 | 377 | 188 | | |
| 33 | | სალხინო | 40 | 2 | მთავარი | 2.3 | ფოთ | IV | 109 | 79 | 188 | 2 575 | 515 | 258 | | |
| 34 | | სალხინო | 37 | 20 | მთავარი | 2.8 | ფოთ | IV | 103 | 127 | 230 | 2 570 | 514 | 257 | | |
| 35 | | სალხინო | 41 | 6 | მთავარი | 5.1 | ფოთ | IV | 241 | 181 | 422 | 5 711 | 1142 | 571 | | |
| 36 | | სალხინო | 9 | 8 | მთავარი | 13.4 | ფოთ | IV | 573 | 638 | 1211 | 14 121 | 2824 | 1412 | | |
| 37 | კოლხეთი | ხობი | 17 | 5 | მთავარი პირწმინდა | .2.0 | თხმელა | II | 101 | 215 | 316 | 1 417 | 283 | 141 | 1.0 | 1.5 |
| 38 | | ხობი | 17 | 5 | მთავარი პირწმინდა | 10.0 | თხმელა | II | 592 | 1281 | 1873 | 8 376 | 1675 | 837 | 1.0 | 1.5 |
| 39 | | ხობი | 18 | 2 | მთავარი პირწმინდა | 3.0 | თხმელა | II | 140 | 296 | 436 | 1 957 | 391 | 195 | 1.0 | 1.6 |
| 40 | | ხობი | 17 | 5 | მთავარი პირწმინდა | 2.85 | თხმელა | II | 142 | 324 | 466 | 2 061 | 412 | 206 | 1.0 | 1.0 |
| 41 | | ხობი | 5 | 7 | მთავარი პირწმინდა | 8.0 | თხმელა | II | 539 | 961 | 1500 | 6 859 | 1372 | 686 | 1.0 | 1.2 |
| 42 | | ხობი | 31 | 1 | მთავარი პირწმინდა | 4.2 | თხმელა | I | 530 | 259 | 789 | 7 055 | 1411 | 705 | 2.0 | 0.5 |
| 43 | ახალციხე | ვალე | 43 | 18 | მოვლითი | 31.0 | წიწვ | II | 490 | 626 | 1116 | 9 979 | 1996 | 998 | | |
| | | | | | | | ვერხ | | - | 38 | 38 | | | | | |
| | | სულ: | | | | 31.0 | | | 490 | 664 | 1154 | | | | | |
| 44 | | სვირი | 10 | 15,18-22 | მოვლითი | 42.0 | წიწ | II | 102 | 312 | 414 | 2 682 | 536 | 268 | | |
| 45 | ბაღდათი | საირმე–ვანი | 58 | 3 | მთავარი | 12.0 | წიწ | III | 232 | 233 | 465 | 3 432 | 686 | 343 | 1.5 | |
| 46 | | საირმე–ვანი | 58 | 3 | მთავარი | 13.0 | წიწ | III | 186 | 215 | 401 | 2 825 | 565 | 282 | 1.0 | |
| 47 | ახალგორი | ახმაჯი | 17 | 8,9 | მოვლითი | 6.2 | წიწ | III | 55 | 44 | 99 | 784 | 157 | 78 | | |
| 48 | | ახმაჯი | 14 | 23,24 | მოვლითი | 4.6 | წიწ | III | 42 | 50 | 92 | 642 | 128 | 64 | | |
| 49 | | ახალგორი | 30 | 17 | მოვლითი | 1.5 | წიწ | III | 41 | 20 | 61 | 551 | 110 | 55 | | |
| 50 | | კორინთა | 20 | 11 | მოვლითი | 1.5 | წიწ | IV | 57 | 18 | 75 | 527 | 105 | 53 | | |
| 51 | ყვარელი | ახალსოფელი | 72 | 19 | მთავარი | 10.0 | ფოთ | IV | 387 | 291 | 678 | 9 172 | 1834 | 917 | | 0.4 |
| 52 | | ახალსოფელი | 72 | 14 | მთავარი | 16.0 | ფოთ | IV | 989 | 1083 | 2072 | 24 325 | 4865 | 2432 | | 0.4 |
| 53 | | ახალსოფელი | 91 | 5,8 | მთავარი | 11.0 | ფოთ | IV | 275 | 190 | 465 | 6 474 | 1295 | 647 | | 0.3 |
| 54 | | ყვარელი | 66 | 16 | მთავარი | 16.0 | ფოთ | III | 663 | 690 | 1353 | 20 849 | 4170 | 2085 | | 0.8 |
| 55 | | ყვარელი | 100 | 12 | მთავარი | 10.0 | ფოთ | IV | 356 | 412 | 768 | 8 814 | 1763 | 881 | | 0.6 |
| 56 | | შილდა | 62 | 22,23 | მთავარი | 21.0 | ფოთ | III | 815 | 768 | 1583 | 25 350 | 5070 | 2535 | | 1.4 |
| 57 | | შილდა | 60 | 22 | მთავარი | 7.0 | ფოთ | III | 256 | 125 | 381 | 7 558 | 1512 | 756 | | |
| 58 | | შილდა | 60 | 21 | მთავარი | 10.0 | ფოთ | III | 297 | 168 | 465 | 8 849 | 1770 | 885 | | 1.1 |
| 59 | | გრემი | 15 | 4 | მთავარი | 6.5 | ფოთ | III | 248 | 168 | 416 | 7 485 | 1497 | 748 | | |
| 60 | | გრემი | 15 | 4 | მთავარი | 14.0 | ფოთ | III | 485 | 439 | 924 | 15 023 | 3005 | 1502 | | |
| 61 | | ბაის უბანი | 23 | 3,5 | მთავარი | 30.0 | ფოთ | IV | 829 | 636 | 1465 | 19 681 | 3936 | 1968 | | 0.6 |
| 62 | | ფონი | 20 | 9 | მთავარი | 22.0 | ფოთ | IV | 853 | 757 | 1610 | 20 518 | 4104 | 2051 | | 0.5 |
| 63 | ხაშური ქარელი | სათივე | 40 | 1,3 | მოვლითი | 22.4 | წიწ | III | 125 | 132 | 257 | 1 956 | 391 | 195 | 0.5 | 1.0 |
| | | | | | | | ფოთ | | - | 26 | 26 | | | | | |
| | | სულ | | | | | | | 125 | 158 | 283 | | | | | |
| 64 | | სათივე | 34 | 1,4 | მოვლითი | 8.5 | წიწ | II | 80 | 73 | 153 | 1 590 | 318 | 159 | | 1.5 |
| | | | | | | | ფოთ | | - | 16 | 16 | | | | | |
| | | სულ | | | | | | | 80 | 89 | 169 | | | | | |
| 65 | ზემო სვანეთი | ხუბერი | 78 | 5 | მთავარი | 18.0 | წიწ | IV | 550 | 279 | 829 | 8 267 | 1653 | 826 | 1.8 | |
| | | | | | | | ფოთ | | 125 | 108 | 233 | | | | | |
| | | სულ | | | | | | | 675 | 387 | 1062 | | | | | |
| 66 | | ჭუბერი | 102 | 4 | მთავარი | 14.0 | სოჭი | IV | 350 | 177 | 527 | 3 351 | 670 | 335 | 0.9 | 0.3 |
| 67 | ლენტეხი | ლენტეხი | 57 | 14 | მთავარი | 13.0 | წიწვ | IV | 261 | 150 | 411 | 3 616 | 723 | 361 | 1.2 | 0.9 |
| | | | | | | | ფოთლ | | 36 | 116 | 152 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 297 | 266 | 563 | | | | | |
| 68 | მარტვილი | გაჭედილი | 1 | 5 | მთავარი | 9.6 | ფოთლ | IV | 291 | 347 | 638 | 7 231 | 1 446 | 723 | 0.8 | 0.4 |
| 69 | ბაღდათი | ზეკარი | 34 | 7 | მთავარი | 12.0 | ფოთლ | IV | 145 | 119 | 264 | 3 463 | 693 | 346 | | 0.5 |
| 70 | | ხანა | 72 | 1 | მთავარი | 21.0 | წიწვ | IV | 431 | 266 | 697 | 4 257 | 851 | 425 | 1.8 | |
| | | | | | | | ფოთლ | | - | 18 | 18 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 431 | 284 | 715 | | | | | |
| 71 | | საირმე | 23 | 17 | მთავარი | 2.5 | წიწვ | III | 68 | 52 | 120 | 963 | 193 | 96 | | |
| 72 | ჩოხატაური | ზემო სურები | 64 | 2 | მთავარი | 5.0 | წიწ | IV | 392 | 347 | 739 | 4 012 | 802 | 401 | | 0.8 |
| 73 | | ზემო სურები | 2 | 22 | მთავარი | 12.0 | ფოთ | III | 522 | 413 | 935 | 15 962 | 3192 | 1596 | | |
| 74 | | ზემო სურები | 12 | 1.2 | მთავარი | 16.0 | ფოთ | III | 687 | 701 | 1388 | 21 555 | 4 311 | 2155 | | 0.3 |
| 75 | | ზემო სურები | 49 | 9 | მთავარი | 5.0 | ფოთ | III | 167 | 126 | 293 | 5 085 | 1 017 | 508 | | |
| 76 | | ზემო სურები | 49 | 8 | მთავარი | 7.0 | ფოთ | IV | 218 | 166 | 384 | 5 172 | 1 034 | 517 | | |
| 77 | | ზემო სურები | 47 | 15 | მთავარი | 5.0 | წიწ | IV | 178 | 123 | 301 | 1 762 | 353 | 176 | | 3.0 |
| 78 | | ზემო სურები | 47 | 3 | მთავარი | 10.0 | წიწვ | IV | 554 | 401 | 955 | 7 812 | 1562 | 781 | | 2.5 |
| | | | | | | | ფოთ | | 89 | 139 | 228 | | | | | |
| | | სულ | | | | | | | 543 | 540 | 1083 | | | | | |
| 79 | | ზემო სურები | 32 | 4 | მთავარი | 14.0 | ფოთ | IV | 493 | 407 | 900 | 14 297 | 2859 | 1430 | | 1.0 |
| | | | | | | | წიწ | | 272 | 88 | 360 | | | | | |
| | | სულ | | | | | | | 765 | 495 | 1260 | | | | | |
| 80 | ონი | შოვი | 17 | 14 | მთავარი | 1.2 | წიწვ | IV | 205 | 90 | 295 | 1 944 | 389 | 194 | | 0.5 |
| | | | | | | | თხმე | | - | 3 | 3 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 205 | 93 | 298 | | | | | |
| 81 | ოდიში | თაია | 38 | 1,1ა,1ბ,1გ | მთავარი | 40.6 | ფოთ | IV | 726 | 336 | 1062 | 16 659 | 3332 | 1666 | | 0.8 |
| 82 | | თაია | 38 | 7 | მთავარი | 10.0 | ფოთ | IV | 229 | 105 | 334 | 5 252 | 1050 | 525 | | 0.5 |
| 83 | | მუხური | 36 | 14ა,15 | მთავარი | 17.0 | თხმ | IV | 195 | 112 | 307 | 981 | 196 | 98 | | 1.0 |
| 84 | დუშეთი | ჟინვალი | 65 | 3,4 | მთავარი | 28.0 | ფოთ | IV | 321 | 242 | 563 | 7 610 | 1522 | 761 | 1.8 | |
| 85 | | მაღაროსკარი | 34 | 2 | მთავარი | 9.0 | ფოთ | IV | 192 | 282 | 474 | 4 910 | 982 | 491 | 1.0 | |
| 86 | | მაღაროსკარი | 34 | 2ა | მთავარი | 3.8 | ფოთ | IV | 161 | 224 | 385 | 4 084 | 817 | 408 | 1.5 | |
| 87 | | მაღაროსკარი | 85 | 3,6 | მთავარი | 21.0 | ფოთ | IV | 1339 | 1057 | 2396 | 31 866 | 6 373 | 3187 | 2.0 | |
| 88 | | მაღაროსკარი | 33 | 2,6,10 | მთავარი | 64.0 | ფოთ | IV | 417 | 353 | 770 | 9 986 | 1997 | 999 | 1.0 | |
| 89 | ზემო სვანეთი | ლახამულა | 73 | 5 | მთავარი | 26.0 | წიწვ | IV | 696 | 504 | 1200 | 6 929 | 1386 | 693 | 1.8 | |
| 90 | | ორმელეთი | 33 | 5-7 | მთავარი | 11.5 | წიწვ | IV | 352 | 204 | 556 | 3 933 | 787 | 393 | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთ | | 22 | 15 | 37 | | | | | |
| | | სულ | | | | | | | 374 | 219 | 593 | | | | | |
| 91 | | ხაიში | 106 | 7 | მთავარი | 9.0 | წიწვ | IV | 389 | 162 | 551 | 3 664 | 733 | 366 | 2.0 | |
| 92 | | ხაიში | 3 | 10 | მთავარი | 14.0 | წიწვ | IV | 209 | 68 | 277 | 1 936 | 387 | 194 | 3.0 | |
| 93 | ადიგენი | კეხოვანი | 32 | 22 | მთავარი | 13.0 | წიწვ | IV | 469 | 205 | 674 | 4 435 | 887 | 444 | | |
| 94 | ყვარელი | საბუე | 20 | 8 | მოვლითი | 15.0 | წიფ | III | 100 | 223 | 323 | 3 559 | 712 | 356 | | |
| 95 | | მთისძირი | 8 | 8-10 | მოვლითი | 38.0 | წიფ | IV | 200 | 296 | 496 | 5 120 | 1024 | 512 | | |
| 96 | გორის ს/ს | ფლე | 3 | 5 | მთავარი | 2.0 | წიწვ | III | 112 | 43 | 155 | 1 476 | 295 | 148 | 1.5 | |
| 97 | ახალგორი | ახალგორი | 1 | 26 | მთავარი | 19.0 | წიფ | IV | 272 | 197 | 469 | 6 427 | 1285 | 643 | | |
| 98 | | ახმაჯი | 1 | 3 | მთავარი | 15.0 | ფოთ | III | 177 | 177 | 354 | 5 541 | 1108 | 554 | | |
| 99 | | ახმაჯი | 1 | 5 | მთავარი | 14.0 | წიფ | III | 209 | 195 | 404 | 6 494 | 1299 | 649 | | |
| 100 | ახალციხე | აწყური | 20 | 2,4,7,8 | მთავარი | 24.0 | წიწვ | I | 255 | 185 | 440 | 5 682 | 1136 | 568 | | |
| 101 | ოდიში | მუხური | 26 | 10 | მთავარი | 36.0 | წიწვ | IV | 1220 | 1155 | 2375 | 24 830 | 4966 | 2483 | | |
| | | | | | | | ფოთ | | 482 | 665 | 1147 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 1702 | 1820 | 3522 | | | | | |
| 102 | ზემო სავანეთი | ჭუბერი | 96 | 12ა | მთავარი | 13.0 | წიწვ | IV | 272 | 178 | 450 | 2 675 | 534 | 267 | 2.0 | |
| 103 | ჩოხატაური | შუასურები | 22 | 5 | მთავარი | 7.0 | წიწვ | IV | 150 | 113 | 263 | 1500 | 300 | 150 | | 0.5 |


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39


## განცხადება

**შუახევისა და ხულოს რაიონის რეაბილიტირებულ ამბულატორიებში სამუშაოდ ვიწვევთ სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტებს (თერაპევტი, პედიატრი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი, ზოგადი პროფილის ექიმი-პედიატრი) შემდგომში მათი ოჯახის ექიმად გადამზადების პერსპექტივით.**

**დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მისამართზე:**

**ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ.N6, მე-5 სართული, ოთახი N28, ტელ.3-13-82.**

TV5MONDE

## 20 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ახალი ცხოვრებისაკენ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.25** ბიგუდი. სერიალი. **11.05** ბაღი და დასვენება. **12.15** ფანტასტიკის საზღვართან. დოკ. ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 19. **16.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. **19.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 19.სერიალი. **20.30** სასწაულის შვილები. მხ ფილმი. რეჟისორი სებასტიან გრალი. 2002. **04.40** ოთხი იმპერატორი და ბულბული. დოკ. ფილმი.

# დასკვნებამდე მისავალი გზა დიდია

## ნიშნების ხელოვნება და სამყაროთა სინთეზი

*ხუთი წლის წინ თბილისის ისტორიის მუზეუმთან ანუ "ქარვასლასთან" არა მხოლოდ სამუზეუმო გარემომ და მისი განწყობამ, არამედ ერთმა საინტერესო მოვლენამ და სასწავლო ორგანიზმმა დაიწყო ასოცირება. ანტვერპენიდან დაბრუნებულმა ფოტოხელოვანმა ვატო წერეთელმა თანამოაზრეებთან ერთად დააარსა ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტი და საკუთარ სტუდენტებს თბილისისთვის ერთობ უჩვეულო ფორმატის სწავლება "ქარვასლაში" შესთავაზა. სწორედ ამ პირველებმა ორი დღის წინ ინსტიტუტის დამთავრება სადიპლომო გამოფენით აღნიშნეს. ამ ხუთ წელიწადში კი ბევრი რამ მოხდა. ერთ თაობას მეორე მოჰყვა, "ინსტიტუტმა ქარვასლაში" წარმატება და გარკვეული რენომე შეიძინა და, საბოლოოდ, ხუთი წლის თავზე, სამხატვრო აკადემიის სივრცეში მონახა ახალი და, როგორც ამბობენ, ბევრად უფრო საინტერესო და იმედისმომცემი ნავსაყუდელი.*

სოფო კილასონია

გამოფენაზე შვიდი კურსდამთავრებულის ფოტონამუშევრებია. ქალების პროტრეტები, სხეულები ინტერიერში და სილუეტები აკაციის ფონზე. ფაქტურით და რიტუალით გატაცება და ლურჯ ფერში ჩაძინებული გოგონები. ზერელედ რომ დავახასიათოთ გამოფენა, ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ ყოველი ავტორისთვის პირველ რიგში საინტერესო გახდა ის სივრცე, რომელშიც თავად არსებობენ და რომელიც, შესაძლოა, ყველასთვის მისაღები არ არის, მაგრამ არც ინტერესმოკლებულია.

ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტი აკადემიაში ისევ ინსტიტუტად რჩება, თუმცა ტექნიკური და შედარებით მშრალი განსაზღვრება შეიძინა: "ოპტიკური გამოსახულების ინსტიტუტი". წარმატებული ადაპტაციის შემდეგ, ვატო წერეთელი არ გამორიცხავს, რომ მათ სასწავლო პროგრამას ვიდეოსა და სხვა მოძრავი გამოსახულების სპეციალობებიც შეემატოს. ვატო წერეთელთან ჩვენი საუბარი ძირითადად მისი სასწავლებლის შესახებ უნდა განვითარებულიყო, თუმცა მისი დამოკიდებულება ზოგადკულტურულ საკითხებთან მისივე მუშაობის მოდელის ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. ასე რომ, საუბარი არა იმდენად მთავარ თემას მოსწყდა, რამდენადაც მან ფართო ინფორმაციული არეალი შეიძინა.

**ვატო წერეთელი**: "თავიდან ამ საქმის ინიცირება ძალიან მარტივად მოხდა. მე თვითონ ბელგიაში, ანტვერპენის უნივერსიტეტში დავამთავრე ფოტოგრაფია. სწავლის დროსაც ვფიქრობდი, თუ ფოტოგრაფიის რამდენად დიდი და მდიდარი ტრადიციაა საქართველოში, რომ კარგი იქნებოდა ამ დარგის პროფესიონალურ დონეზე სწავლება. XIX საუკუნის საქართველოში ფოტოგრაფია მისი დაბადებიდან ძალიან მალე განვითარდა. რუსებმა სამხედრო ინტერესების გამო ჩამოაყალიბეს ფეროგრაფიის გაერთიანება, რომელიც ძირითადად სამხედრო ინტერესებს ემსახურებოდა. ამ ტექნიკურ ბაზაზე განვითარდა ეს მედია საქართველოში. მიუხედავად ამისა, აქ არასდროს ყოფილა პროფესიული განათლება ამ მიმართულებით. როცა ჩამოვედი, 12 ადამიანი შევიკრიბეთ და ჯერ არასამთავრობო ასოციაცია დავაფუძნეთ. მაშინვე ვფიქრობდით სამხატვრო აკადემიაში დაფუძნებას, მაგრამ სხვა დრო იყო და ძნელი გახლდათ აკადემიასთან ურთიერთობა. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე კერძო ინსტიტუტი დავაფუძნეთ."

სადიპლომო ნამუშევრების განხორციელებისას სტუდენტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ როგორც თემის, ისე მისი ხორცშესხმის თვალსაზრისით. თუმცა თავად სასწავლო პროცესი საკმაოზე მეტად ამომწურავი და მრავალმხრივი ყოფილა. როგორც აგვიხსნეს, პირველი ორი წელი დატვირთული იყო თემებით და კონკრეტულად დასახული ამოცანებით. სურათის კონსტრუქცია, შინაგანი არქიტექტურა, ურბანული სივრცე, სოციალური ასპექტები, იმ ნიშნების აღქმა და ინტერპრეტაცია, რაც ჩვენს გარშემოა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტში ყველაფერი იმით იწყება, თუ რა არის ფოტოგრაფია. ისინი ამას ოთხი წელი სწავლობენ, მე კი ჩემი რესპონდენტისგან მოკლე, მაგრამ ზუსტი განსაზღვრება მივიღე: "ფოტოგრაფია ხომ ყველაზე ახლოსაა ნიშნების ხელოვნებასთან. საერთოდ, მას ვიზუალურ ანთროპოლოგიასაც ეძახიან. ფოტო დოკუმენტურ და ანთროპოლოგიურ ხასიათს ატარებს. რაც არ უნდა დადგმული სცენა გადაიღო, ის კონკრეტული დროისა და სოციუმის ამსახველია. მხატვარმა შეიძლება მოიგონოს გარემო, გმირი, მაგრამ ფოტოგრაფი მაინც არსებულს იღებს, დოკუმენტს ქმნის...



ნათელა ლომიძის ფოტო

ერთ-ერთი მონაპოვარი, რომელიც ჩვენ თავიდან არც კი გაგვიაზრებია, ის იყო, რომ სტუდენტებს თავისუფლების პირობებში უწევდათ სწავლა. ეს არ იყო ის შემთხვევა, როცა პედაგოგები საკუთარი ამბიციების დამკვიდრებას უფრო ცდილობენ, ვიდრე ახალგაზრდა ხელოვანის გამოვლენას. ბავშვები თავისუფლების წიაღში მოხვდნენ, სადაც, რა თქმა უნდა, იყო სტრატეგია, ცოდნის გაცემა, მაგრამ იყო მათთვის შექმნილი გარკვეული კომფორტი. აკადემია საკუთარ კედლებში ზუსტად ასეთი გარემოს შექმნის უფლებას გვიტოვებს.

ახლა ყველაფერი ისე მომწიფდა, რომ ჩვენი ხუთწლიანი დამოუკიდებელი არსებობის მერე ბუნებრივი გახდა ფაქტი: ამ სფეროში განათლება კერძო სტრუქტურის საქმე კი არ არის, არამედ ბევრად მსხვილი ორგანიზმისა. აკადემიაში ჩვენი გადასვლა და მასთან შეერთება განათლების რეფორმამაც გამოიწვია და სამხატვრო აკადემიიდან წამოსულმა სურვილმა, ინიციატივამ. მათ სრული მზადყოფნა გამოხატეს იმისთვის, რომ ჩვენთვის ყველა პირობა შეექმნათ და ასეც მოხდა. საქმე მარტო სივრცეზე არ არის. ჩვენი თანამშრომლობა კონცეპტუალურ საკითხებსაც ეხება. ისინი გვენდობიან. ამიტომ ჩვენთვისაც სასურველი გახდა, რომ იმას, რაც ამ წლების მანძილზე ჩვენი ძალითა და ფინანსებით გავაკეთეთ, ახლა სახელმწიფომაც მიხედოს."

**- სასწავლო პროგრამა როგორ შეარჩიეთ - ეს იყო უბრალოდ გადმოტანილი მოდელი, თუ ბევრად ორიგინალური შემთხვევა?**

- როცა ვსწავლობდი, სულ ვფიქრობდი, იყო თუ არა ის პროგრამა ეფექტური და როგორი უნდა ყოფილიყო იგი საუკეთესო შემთხვევაში. ძირითადი ეტაპები და სასწავლო ხანგრძლივობები ავიღეთ დასავლური მოდელიდან, მაგრამ სპეციფიკური საგნები დავამატეთ. ვთვლი, რომ ჩვენ ბევრად უფრო ფართო პროგრამა და არეალი შევთავაზეთ ჩვენს სტუდენტებს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი განმასხვავებელი ფაქტორი დასავლური მოდელისგან ის არის, რომ ჩვენ მეტი ყურადღება მივაქციეთ ხატვას, ფერწერას, კომპოზიციის აღქმას. დასავლეთში ფოტოგრაფიის სწავლებისას ამგვარი მედიები ნელა-ნელა ქრება. ჩვენ კი ვთვლით, რომ ვიზუალური კულტურა ერთია. ეს არის ბაზა, საფუძველი. ნახატი და ფერი ქმნის ზოგად საფუძვლებს, აჩვენებს ხელოვანს გზებს, თუ როგორ მიაღწიოს საკუთარ ენას, სურათის კონსტრუქციას და ა.შ.

განსხვავებებია ასევე თეორიულ საგნებში. მაგალითად, ახლა შემოვიღეთ საგანი, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის "აღმოსავლური აზროვნების ასპექტები". ვფიქრობ, ჩვენი კულტურა და ისტორიული გზა ევროპაზე ორიენტირებული აღმოჩნდა. ნაკლები ინფორმაცია გვაქვს აღმოსავლურ აზროვნებაზე, მეტაფორულ, იგავურ აზროვნებაზე, რაც სწორედ აღმოსავლური კულტურისთვის არის დამახასიათებელია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ დაბადებული ადამიანისთვის უფრო ადეკვატური იქნება, მიიღოს ინფორმაცია როგორც ერთ, ისე მეორე კულტურაზე. არჩევანი და სინთეზი კი თავად გააკეთოს. ჩვენი კულტურაც ხომ მათი სინთეზია და აქედან გამომდინარეობს ჩვენი თვითმყოფადობაც.

**- აღმოსავლური სამყაროსადმი ინტერესი მძაფრად იგრძნობა საერთოდ დასავლეთშიც. თუმცა ეს სრულიადაც არ არის ახალი მოვლენა.**

- თანამედროვე არტ-ფორუმებს თუ გადავხედავთ, მართლაც ბუმია ჩინეთის კულტურისა. სულ ვკითხულობთ ჩინურ გამოფენებზე, ჩინელ კურატორებზე. მაგრამ სინამდვილეში ეს არის ისევ დასავლური ენის მატარებელი ხელოვნება და არა ავთენტიკური ჩინური. ჩინეთის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიან მათთვის ტრადიციულ ლანდშაფტს, ტრადიციულ სიუჟეტებს. ევროპაში კი ყველაფერი შეიძლება მოგონილი იყოს. ყველა მხატვარს შეუძლია რაღაც მოიგონოს - თავისი ალფაბეტი, თავისი გამომსახველობითი ხერხები, შეიძლება იძულებული გაგხადოს ისწავლო, მისი ენა, რათა გაიგო, რას წარმოადგენს მისი ქმნილება. აღმოსავლეთში კი არის ტრადიცია, რომელიც ინდივიდუალური ნიჭითა და ოსტატობით უნდა აამაღლო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეცვალო იგი. იქ კითხვის ნიშნის ქვეშ არ სვამ შენს ტრადიციას, რაც დამახასიათებელი არ არის ევროპისთვის. ევროპაში ხელოვნების გაგება და მისი რაობა ძალიან სწრაფად იცვლება. იქ შეიძლება უპრობლემოდ გადაუსვა ხაზი ტრადიციას და თქვა, რომ შენთვის უკვე არსებულს არაფერს არა აქვს მნიშვნელობა, რომ შენ სულ სხვაგვარად გინდა, სულ სხვაგვარად ფიქრობ...

საქართველოშიც არის იმის შემეცნება, რომ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს, უნდა გავაგრძელოთ და მასზე დაყრდნობით განვავითაროთ. ეს დამოკიდებულება ლოგიკურად ხელოვნებაშიც უნდა აისახოს, მაგრამ როგორ აისახება, რომელია ქართული ტრადიციული ხელოვნება, ეს ძალიან რთული კითხვაა. მართლმადიდებლური, კანონიკური ხელოვნება პირადად ჩემთვის უდიდესი სიმდიდრეა, მაგრამ ის ყოველგვარ ხელოვნებაზე მაღლა დგას. მე არ ვიცი, ჩვენ რას უნდა დავეყრდნოთ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ უბრალოდ კი არ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი, არამედ შევეცადოთ, ჩვენს ჭურჭელში ჩავასხათ ორივე მიმართულება. როცა აირევა ეს ყველაფერი, თითოეული ხელოვანი გადაწყვეტს, საკუთარ არჩევანს გააკეთებს. ყველაფერი კი ბუნებრივად უნდა მოხდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. ესაა იმის გარკვევა, თუ რა საფუძველზე ვდგავართ. მგონია, რაღაც დასკვნებამდე რომ მივიდეთ, ძალიან დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

**- ადამიანი, როგორც ასახვის მთავარი საგანი, დაკვირვების მთავარი ობიექტი, პორტრეტითა და სხეულით გატაცება. რატომ ამგვარი გადაწყვეტილება? როცა თქვენი სტუდენტების გამოფენას გადახედეთ, რა იფიქრეთ - ის, რომ ეს რიგ შემთხვევებში მარტივი გამოსავალი იყო თუ ამ არჩევანს სხვა ახსნა მოუძებნეთ?**

- თავიდან ცოტა გული დამწყდა, რომ ამ ადამიანების რეფლექცია გამოხატული არ არის არქიტექტურაში, თუნდაც ლანდშაფტში. ხომ შეიძლება ადამიანის სულიერი მდგომარეობა ფართოდ გაიშალოს? მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან ნიშანდობლივია ერთი გარემოება. ადამიანებმა, რომლებმაც დაამთავრეს ეს სპეციალობა, გადაწყვიტეს, შორს კი არ ეძებონ რაღაც, თავისივე გარემოში დარჩნენ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. გადაპრანჭული და ყურით მოთრეული რაღაცები ყოველთვის მთლიანად მოგონილია. როცა შენივე სახლში, შენივე გარემოში რაღაცას არკვევ, აბალანსებ სიტუაციას, მდგომარეობას და, ამასთან, გაქვს ურთერთობა, მე მგონია, რომ ეს კარგი გადაწყვეტილებაა. თუმცა მრავალფეროვნებისთვის, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მათი არჩევანი სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებენ ეს ადამიანები სამომავლოდ და რას წარადგენს ჩვენი, ოპტიკური გამოსახულების ინსტიტუტი უკვე თბილისის სამხატვრო აკადემიიდან.



# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს მაცივარ-აგენტის შესყიდვის შესახებ

**შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა",** ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ღია ტენდერს მაცივარ-აგენტის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | პროდუქციის დასახელება | | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | 3 | 4 |
| 1 | მაცივარ აგენტი | M1LE B (ვე) ჯგუფის | კგ | 5500 |
| | | რეფრეჟერანტ რ-134 ა | კგ | 14 |

**მიწოდების პირობა: DDP** ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის №11;

1. მიწოდების ვადები ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე:

2. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტა- ლარში.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **9 აგვისტოსს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო

4. **ფრეონ-12** მოწოდებული უნდა იქნას13,6 კგ. ტევადობის ბალონებით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

**იურიდიული პირებისათვის** :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა**, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის** :

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს*** :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების ფორმა, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56 33 51

**სატენდერო კომისია**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის შესახებ (ხაშური)

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს ერთ ლოტად სამშენებლო სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

***ლოტი 1 - სადგურ ხაშურში სამგზავრო მატარებლების სალოკომოტივო ბრიგადების დასასვენებელი ოთახების სანიტარული კვანძისა და დერეფნის კაპრემონტი.***

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტს გადეაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **10 აგვისტო** 9.00 საათადან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა დასაშვებია სხვა ენაზეც, იმ პირობით თუ თან დართული ექნება სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

**4.1.1 იურიდიული პირისათვის;**

ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა
- მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 56-33-51.

**სატენდერო კომისია**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ბილ გეითსი წუთში 6 659 აშშ დოლარს შოულობს

ამერიკული ჟურნალის Forbes-ის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით ერთი წუთის გამნმავლობაში მსოფლიოში ყველაზე მეტი შემოსავალი ბილ გეითს აქვს. გეითსის შემოსავალი წუთში 6659 დოლარით იზრდება. მეორე ადგილზეა ინვესტორი უორენ ბაფეტი, რომლის ყოველწუთიერი შემოსავალი 5594 აშშ დოლარს შეადგენს. მესამე ადგილი კი სამხრეთ ამერიკელ ტელეკომუნიკაციების მაგნატს კარლოს სლიმ ჰალუს უკავია, მისი შემოსავალი წუთში 3995 აშშ დოლარია.

შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა ყოველწუთიერი შემოსავალი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. სტივენ სპილბერგი წუთში 632 აშშ დოლარს შოულობს, ჰოვარდ სტერნი 575 აშშ დოლარს, ჯორჯ ლუკასი 447 აშშ დოლარს.

ფორბსი შედარებისათვის აღნიშნავს, რომ ამერიკული ოჯახის შემოსავალი წუთში 8 ცენტს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**



## Opel ახალი Corsa-ს წარმოებაში 150 მილიონს დებს

კომპანია Opel-მა აიზენახის ქარხანაში, ახალი თაობის Opel Corsa-ს სერიული ავტომობილების წარმოებაში დაახლოებით 150 მილიონი ევრო ჩადო. აღნიშული ავტომობილების წარმოება სტარტს მიმდინარე წლის 21 აგვისტოდან დაიწყებს. Opel-ის დილერებს კი კომპანია ამ ახალ მოდელებს 2006 წლის ოქტომბერში მიაწოდებს.

შეგახსენებთ, რომ Opel-ის ქარხნის მშენებლობა ეიზენახში 1992 წელს დაიწყო. დღეს იქ დაახლოებით 1800 ადამიანია დაკავებული. კომპანიის წარმომადგენლები 2007 წლიდან ამ ქარხანაში 180 ათასი ავტომობილის წარმოებას გეგმავენ, რაც Opel-ის ისტორიაში ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი თაობის Opel Corsa-ს ლონდონის საავტომობილო გამოფენაზე ივლისის ბოლოს აჩვენებენ. კომპანია აღნიშნულ მოდელს გერმანიასა და ესპანეთში აწარმოებს.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3269 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9853 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4811 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7671 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8247 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1331 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2970 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3077 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2152 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4162 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3398 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1184 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1513 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2200 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1931 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2327 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3960 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5577 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1725 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4615 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3337 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2795 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5501 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5937 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0654 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1112 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5321 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4419 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5205 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7966 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1107 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4430 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2394 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4165 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2208 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2273 |




# თურქეთი ქართველ მეღვინეებს შეღავათებს უწესებს

## რას მოუტანს მეწარმეებს ახალი ბაზარი?

მარიამ ჯაჭვაძე

*მთავრობა დანაპირების შესრულებას იწყებს და ქართველ მეღვინეებს თურქული ბაზრის ათვისებაში ეხმარება. უკვე გადაწყვეტლია, რომ მეზობელ სახელმწიფოში 500 ათასი ლიტრის მოცულობის ქართული ღვინო განუბაჟებლად შევა. დამატებით 250 ათას ლიტრზე თურქული მხარე 50 პროცენტიან "დისკაუნტს" გვპირდება. ღვინის ექსპორტიორები კმაყოფილები არიან, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რომელი კომპანიები ისარგებლებენ ამ შეღავათით.*

ამ საკითხზე თურქეთის რესპუბლიკის ყველა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურასთან შეთანხმებას საქართველოს ხელისუფლებამ ამ ორიოდე დღის წინ მიაღწია. **"ეს ნიშნავს იმას, რომ ქართული ღვინის მწარმოებლებს საშუალება ეძლევათ, დაიკავონ თურქეთის იმპორტირებული ღვინის ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი. ეს არის სწრაფად მზარდი ბაზარი და ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი ათვისება",** - ეს განცხადება ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ, მთავრობის სხდომის შემდეგ გააკეთა.

ბუნებრივია, რომ ქართველ მეღვინეებს ეს ახალი ამბავი ახარებთ, თუმცა არც ერთ მათგანს არ აქვს იმის ილუზია, რომ თურქული ბაზარი რუსულს ასე იოლად, თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ ჩაანაცვლებს. მათ იმისიც ნაკლებად სჯერათ, რომ ამ ტიპის შეღავათით უახლოეს თვეებში, ან თუნდაც წლებში მოახერხებენ თურქული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავებას.

გაგრძელება B2 გვერდზე

# რუსული მოგონებები საქართველოზე

## Я тебе один умны вещ скажу, только ты не обижайся!

ანა შარვაშიძე

*სტატიას საბჭოთა პერიოდის გახსენებით იწყებს. "მაშინ აჭარის კურორტებს სეზონის განმავლობაში თითქმის ორი მილიონი ტურისტი ისვენებდა ხოლმე. ახლა რუსი დამსვენებლისთვის იქ წასვლა, ნამდვილი ეგზოტიკაა," - ჰყვება რუსი ჟურნალისტი, "იმეეშ პრავოს" კორესპონდენტი იგორ გრონსკი. ის რამდენიმე დღის წინ თავად ჩაფრინდა ბათუმში და დარწმუნდა, რომ "ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო ლეგენდარული ქართული სტუმართმოყვარეობა არსად გამქრალა. აი რუსეთში გამქრალი ქართული ღვინოები კი უჩვეულოდ გემრიელი ყოფილა." აკრძალული ხილი, ხომ ყოველთვის გემრიელია, მით უმეტეს, თუ ის მართლაც გემრიელია...*






B2

# "ჰონდას" ინდური გეგმები

მერაბ ლორთქიფანიძე

*იაპონური კომპანია "ჰონდა მოტორ კომპანი" ინდოეთში თავისი პროდუქციის ექსპანსიას გეგმავს. ამ გეგმის მიხედვით, მომდევნო დეკადის განმავლობაში ინდოეთში 30 მილიარდი რუპიას (650 მილიონი აშშ დოლარი) ინვესტირებაა გათვალისწინებული. ამასთან, ინდური ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, წარმოების მოცულობა თითქმის გაორმაგდება.*

*აზიის სიდიდით მესამე ბაზარი ბოლო ხანს სწრაფი ტემპით ვითარდება. ბოლო სამი წლის განმავლობაში ზრდის საშუალო ტემპი 8 პროცენტს შეადგენდა. ეკონომიკის ზრდას შედეგად მოსდევს მოსახლეობის საშუალო ფენის შემოსავლების ზრდა, შედეგად კი მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება ნებისმიერი სახის მოხმარების საქონელზე, მათ შორის ავტომობილებზეც.*

**ტაკეო ფუკუი აცხადებს, რომ "ჰონდა" თავის ინდოელ პარტნიორს (სიელის ჯგუფი) "ჰონდა სიელში" თავისი წილის ახლანდელი 0.1-დან 5 პროცენტამდე გაზრდის უფლებას მისცემს. "სიელის" შეფი სიდჰარათ შრირამი ამბობს, რომ "ჰონდა სიელის" აქციების გამოსყიდვა მას დაახლოებით 730 მილიონი რუპია (15.9 მილიონი დოლარი) დაუჯდება.**




*ტაკეო ფუკუი კონცეპტუალურ მოდელ "ცესტთან" ერთად.*

B3

## აუქციონი გარემოს დაცვის სამინისტროში ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიებზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ოთხშაბათს 6 ობიექტზე ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიების აუქციონი გაიმართა. შედეგად ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 48 196 ლარი შეადგინა.

განაცხადი ლიცენზიების მიღებაზე 6 კომპანიას ჰქონდა შეტანილი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## უკრაინელები სამხრეთ ოსეთში მინერალური ქვების მარაგით დაინტერესდნენ

უკრაინელი მეწარმეები მზად არიან სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ინვესტიციები განახორციელონ. ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა როინ კოზაევმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

კოზაევის თქმით, არსებობენ დაინტერესებული პირები, რომლებსაც სამხრეთ ოსეთის ხის გადამამუშავებელ წარმოებასა და მინერალური ქვების დამუშავების ბიზნესში ინვესტიციების განხორციელება სურთ.

**"სამხრეთ ოსეთში უნიკალური მინერალური ქვები მოიპოვება. მათ შორის ნეფრიტი და ტუფი. ჩემი ინფორმაციით სამხრეთ ოსეთს 2 მილიონი კუბამეტრი ტუფის მარაგი გააჩნია, რაც კოლოსალური პროექტების განხორციელების საშუალებას მოგვცემს. საუბარი შედგა უკრაინელ მსხვილ მეწარმეებთან, რომლებიც მზად არიან სამხრეთ ოსეთში მსხვილი კაპიტალი ჩადონ,"** - განაცხადა კოზაევმა. მისივე თქმით, საინვესტიციო პროექტების განხორციელებას სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის არსებული საბაჟო აფერხებს.

**"რაც მალე გაუქმდება საბაჟო, სამხრეთ ოსეთში მით მეტი საინვესტიციო პროექტები განხორციელდება,"** - განაცხადა კოზაევმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ექსპერტები ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრულ შეღავათიან სავაჭრო პირობებს გაეცნენ

საქართველოსა და ევოსაბჭოს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე სემინარი გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ქართველი ექსპერტები დეტალურად გაეცნენ იმ შეღავათებს, რომლით სარგებლობაც მათ ევროპულ ბაზრებზე პროდუქციის ექსპორტირებისას შეუძლიათ. შეხვედრას ორგანიზება საქართველოს ბიზნეს საბჭომ გაუწია.

**"საქართველო, როგორც ევროპის პარტნიორი ქვეყანა, განსაკუთრებული საშეღავათო პირობებით სარგებლობს. ევროპის ბაზარი საკმაოდ დიდია და ქართველ ექსპერტებს მეტი ინფორმაცია სჭირდებათ, რათა ამ ბაზარზე დამკვიდრება შეძლონ,"** - განაცხადა ბიზნესსაბჭოს გენერალურმა მდივანმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია რომლებზედაც GSP+ საშეღავათო სისტემა ვრცელდება. აღნიშნული სისტემა განვითარებული ქვეყნების მიერ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის დაბალ საბაჟო ტარიფებს ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველო (სხვა 14 ქვეყანასთან ერთად) ევროსაბჭომ სავაჭრო პარტნიორთა ნუსხაში, 2006 წლის 1 იანვრიდან შეიყვანა.

"GSP+" სისტემა ძალაში 2008 წლამდე დარჩება. შეღავათიანი საბაჟო ტარიფები საქართველოს საექსპორტო პროდუქციიდან თხილზე, ჩაისა და სასმელებზე ვრცელდება.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-მაისში საქართველოსა და ევროსაბჭოს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვამ 382, 5 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან საქართველოს საექსპორტო პროდუქციაზე 55 მილიონი მოდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მსო-ში რუსეთის გაწევრიანების საკითხი

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე, რომელიც 21-22 ივლისს დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა არაფორმალური სამიტის ფარგლებშია დაგეგმილი, მსო-ში რუსეთის გაწევრიანების საკითხი არ გადაწყდება, - განაცხადა საქართველოს მთავრობის ოთხშაბათის სხდომის დაწყების წინ საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

მისივე თქმით, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებში არსებული პრობლემები პრეზიდენტების შეხვედრაზე არ გადაწყდება.

მსო-ში რუსეთის გაწევრიანების საკითხებზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციას მინისტრთა კაბინეტის წევრებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე წარუდგენს.

მსო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლების შესახებ განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# თურქეთი ქართველ მეღვინეებს შეღავათებს უწესებს

პირველი გვერდიდან

**"ცალსახაა, რომ ეს ფაქტი ქართველ მეღვინეებს ხელს ნამდვილად გვაძლევს, რადგან ეს იქნება გარკვეული სტიმულატორი ჩვენთვის და ჩვენი კოლეგებისთვის. ეს გვაძლევს ძალიან კარგ შანსს, რომ ჩვენი პროდუქცია თურქულ ბაზარზე გავაიაფოთ და დღეს არსებული პოზიცია კიდევ უფრო გავიმყაროთ. თუმცა, არავითარ შემთხვევაში ეს არ არის იმ ტიპის შეღავათი, რომ ეიფორიაში ჩავვარდეთ და თვითკმაყოფილების გრძნობა დაგვეუფლოს",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს GWS-ის მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორმა ლევან კობერიძემ.

ამ შემთხვევაში GWS-ს ეძლევა შესაძლებლობა, რომ საკუთარი პროდუქცია თურქეთის ბაზრებზე 3-4 აშშ დოლარით გააიაფოს. თუკი დღეს მეზობელი სახელმწიფოს სუპერმარკეტებში GWS-ის ნაწარმი 15-17 დოლარი ღირს, აღნიშნული შეღავათი, ღვინის ფასს ლევან კობერიძის პროგნოზით 12-13 დოლარამდე გააიაფებს.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქული მხარის მიერ დაწესებულ შეღავათებზე ფიქრი, ამ რამდენიმე კვირის წინათაც კი წარმოუდგენელი იყო. ამ მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება ადგილობრივი ღვინის გასაღებისთვის და ხელშეწყობისთვის მაქსიმუმს აკეთებს. გარდა იმისა, რომ მილიონობით თურქულ ლირას ხარჯავს სუბსიდიებში, ქვეყანაში ზღუდავს იმპორტირებულ ალკოჰოლურ სასმელებს. შეზღუდვა კი პირველ რიგში მაღალ საბაჟო და საგადასახადო განაკვეთებში გამოიხატება. ასე მაგალითად, ღვინის ნებისმიერი მწარმოებელი კომპანია, რომელიც გადაწყვეტს, რომ თურქულ ბაზარზე საკუთარი ნაწარმი შეიტანოს 18 პროცენტიანი დღგ-ს გარდა ვალდებულია გადაიხადოს აქციზი 69 პროცენტის და საბაჟო გადასახადი 70 პროცენტის ოდენობით.

სწორედ ეს იყო დღემდე ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ქართველი მეღვინეები თურქეთის ბაზარზე შესვლას ვერ "ბედავდნენ". წლების განმავლობაში GWS იყო ფაქტობრივად გამონაკლისი, რომელიც ამ მეზობელ სახელმწიფოში მცირე მოცულობის ღვინის ექსპორტს ახდენდა. კომპანიის მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორის ლევან კობერიძის ინფორმაციით GWS-ის პროდუქცია წელს თურქეთში მხოლოდ 30 ათასი ლიტრის მოცულობის შევიდა, ისიც ძირითადად რუსული ბაზრის დაკარგვის შემდეგ.



*ლევან კობერიძე.*

ეკონომიკური განვითარების მინისტრის ინფორმაციით, ღვინის გარდა შეღავათიანი ტარიფები გავრცელდება სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა პროდუქციაზე.

ჩოგოვაძის განმარტებით საქართველოზე ვრცელდება ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური დახმარების პროგრამა GSP+ და ამიტომ თურქეთის მხრიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე შეღავათების დაწესება ამ სისტემის შესაბამისად მოხდა.

წინასწარ შეთანხმებას მთავრობების მხრიდან ხელი ოფიციალურად უახლოეს მომავალში მოეწერება, რასაც უნდა მოჰყვეს ორივე ქვეყნის პარლამენტში ამ დოკუმენტის რატიფიცირება. ეკონომიკური განვითარების მინისტრის განცხადებით ხელშეკრულება ძალაში მიმდინარე წლის ბოლომდე აუცილებლად შევა.

ცნობისათვის: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ექსპორტირებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ღირებულებამ 27 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს თითქმის 5 მილიონი დოლარით ჩამორჩება. საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში წელს ქართულ ღვინოს მხოლოდ მეოთხე პოზიცია უკავია.

2006 წელს ღვინის ექსპორტის დინამიკა გასული თვეების მიხედვით ასე გამოიყურება:

**ღვინის ექსპორტი საქართველოდან 2006 წელი**

| თვე | მლნ.აშშ დოლარი | ათასი ლიტრი |
|---|---|---|
| იანვარი | 3.35 | 1 523 |
| თებერვალი | 7.18 | 3 332 |
| მარტი | 11.00 | 4 635 |
| აპრილი | 1.47 | 415 |
| მაისი | 2.18 | 563 |
| ივნისი | 1.91 | 557 |
| სულ | 27.09 | 11 024 |

## გაზპრომი მოლდოვას გაზის საფასურს უზრდის

გაზპრომი მოლდოვას გაზის საფასურს უზრდის. 50,4%-ით გაზრდილი ახალი ტარიფი ძალაში 21 ივლისიდან შევა და 1000 კუბური მეტრი 160 აშშ დოლარი ეღირება.

მოლდოვას ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გაზპრომის მიერ საკუთარი "მოლდოვ-გაზისთვის" მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება 1000 კუბურ მეტრზე 110 დოლარიდან 160 დოლარამდე გაიზარდა, რამაც შიდა ბაზარზე გაზის ღირებულების საფასურის გადახედვის აუცილებლობა გამოიწვია.

"სააგენტოს სხდომაზე მიღებულა გადაწყვეტილება შიდა ტარიფის ახალ ფასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ," - განაცხადა სააგენტოს დირექტორმა ანატოლი ბურლაკოვმა.

წელს მოლდოვაში ეს უკვე ფასის მეორე მატებაა. პირველად ფასი თებერვალში 37,2%-ით გაიზარდა, როდესაც რუსეთმა მოლდოვას გაზის ღირებულება 80-დან 110 დოლარამდე განუსაზღვრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სააქციო საზოგადოება "ვოლგა" საუკეთესო ექსპორტიორად დასახელდა

ნიჟეგოროდის ოლქის ერთ-ერთი მსხვილი სააქციო საზოგადოება "ვოლგა", რომელიც საგაზეთო ქაღალდის მწარმოებელია, კონკურსში "რუსეთის საუკეთესო ექსპორტიორი-2005" გამარჯვებულად დასახელდა. "ვოლგას" ერგო პრიზი ნომინაციაში "საუკეთესო ექსპორტიორი თანამეგობრობის ქვეყნებში".

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, "ვოლგას" საგაზეთო წარმოების ბაზრის, დაახლოებით, ერთი მესამედი უკავია. 2005 წელს კომპანიამ 555 ათასი ტონა პროდუქცია გამოუშვა. საქონლის 60 პროცენტი გადის ექსპორტზე ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის 25 ქვეყანაში.

"ვოლგას" პროდუქციის აქტიური მომხმარებელია საქართველოც. ჩვენი ქვეყნის ბაზარზე ამ კომპანიის პროდუქციას ბაზრის 60 პროცენტი უკავია. ბელურუსსა და ბულგარეთში კი - ბაზრის 30 პროცენტი.

"ვოლგას" პარტნიორების სიაშია ისეთი ქვეყნები, როგორიცაა გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ირანი, ინდოეთი, აფრიკა და ეგვიპტე. ამ კომპანიის ქაღალდზე იბეჭდება ისეთი მსხვილი გამოცემები, როგორიცაა გარდიანი, დეილი მაილი, დეილი ტელეგრაფი და ობსერვერი. **ჯი-ეიჩ-ენი**

---

GALT & TAGGART SECURITIES / გალტ & თაგგარტ სიქიურითის

17 ივლისი 2006

### საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

**სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი)**

| | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 1,202,822 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 43,615,347 |

| | 14-ივლ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.768 | ▲ | 0.23% | 1.37% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 599.5 | ▲ | 3.68% | 69.85% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 536.7 | ▲ | 3.44% | 67.53% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი



გაცვლითი კურსი GEL/US



**თანხა USS/GEL ვაჭრობის მოცულობა (USS '000)**

| | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 16,560 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 249,072 |

**მომავალი აუქციონი**

| | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 57 | 18 ივლისი |
| სსბ-ს სესია No. 58 | 20 ივლისი |

საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ბლუ ჩიპ (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 3.44%-ით გაიზარდა, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 1.2 მლნ ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები [illegible] ფასიან ქაღალდზე დაიდო, მათ შორის იყო საქართველოს [illegible] ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 1.85%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, გაიზარდა 16.95%-ით), გაერთიანებული ქართული ბანკი (UGB ფლობა, გაიზარდა 14.75%-ით) და ყაზბეგი (KAZB, ფლობა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე მეორე რიგის [illegible] 80.5% მოდიოდა.

გასულ კვირას საქართველოს ბანკმა მის ინსტიტუციონალურ აქციონერებს შორის 750,000 ახლად ემიტირებული აქციების განთავსების შესახებ განაცხადა. აქციები შეისყიდეს East Capital-მა Firebird Funds-მა და Bank Austria Creditanstalt-მა. ამ გარიგების შედეგად Bank Austria Creditanstalt-ის ნომინალური წილი საქართველოს ბანკში 24.9%-მდე გაიზარდა, ხოლო თითო აქცია 19.27 ლარად გაიყიდა.

მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ძირითადმა აქციონერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი ნდობა და პოზიტიური ხედვა ბანკის მიმართ განაცხადა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

პრივატიზაცია

**რუსულმა კომპანია "ვიმპელკომმა" 12 ივლისს განაცხადა, რომ მან 12.6 მლნ აშშ დოლარად ქართული ფიჭური ქსელის ოპერატორის "მობიტელის" აქციების 51%** და დარჩენი 49%-ის გამოსყიდვის უფლება შეიძინა. "მობიტელი" რომელიც 2003 წელს შეიქმნა, GSM-1800 ლიცენზიის მფლობელია 2013 წლამდე.

"ვიმპელკომი" გახლავთ წამყვანი მობილური სატელეფონო მომსახურების პროვაიდერი რუსეთსა და ყაზახეთში. კომპანია ასევე საქმიანობს უკრაინაში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში. რუსეთსა და ყაზახეთში კომპანია "ბილაინ"-ის სამარკო ნიშნით მუშაობს. სს ვიმპელკომი არის პირველი რუსული კომპანია, რომელიც ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE) არის დაშვებული.

ამჟამად საქართველოში ორი მობილური ოპერატორი კომპანიაა: მაგთი, რომელსაც ბაზრის 55% უჭირავს და ჯეოსელი (ბაზრის 45%) ვიმპელკომის ცნობით საქართველოში ფიჭური ტელეფონების ბაზრის შეღწევადობის მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს.

ქართული ცემენტი

**საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ შეაჯამა აუქციონის შედეგები თერჯოლის რაიონში ცემენტის ნედლეულის სამი საბადოს დამუშავებაზე 20 წლიანი ლიცენზიის გაცემაზე..** ლიცენზიის საწყისი ფასი აუქციონზე შეადგენდა 1.3 მილიონ ლარს (722 ათას აშშ დოლარს). კომპანია ქართულმა ცემენტმა ლიცენზიისთვის საუკეთესო შეთავაზება გააკეთა – 47.5 მლნ ლარი (26.4 მლნ აშშ დოლარი). კომპანიამ ეს თანხა უნდა გადაიხადოს ექვსი თვის განმავლობაში.

ქართული ცემენტი წელიწადში 100,000 ტონა ცემენტს აწარმოებს. 2006 წლის მაისში გერმანულმა კომპანიამ HeidelbergCement იყიდა ქართული ცემენტის აქციების 51%. 2008 წლის დასაწყისამდე HeidelbergCement-ს დაგეგმილი აქვს ცემენტის წარმოების გაფართოება წელიწადში 500,000 ტონამდე, ხოლო შემდგომში წარმოების 1 მილიონ ტონამდე გაზრდა.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.23%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 16.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 7.6 მლნ აშშ დოლარით მეტია. ეროვნული ბანკმა ჯამში 15.9 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა.

---

GALT & TAGGART SECURITIES / გალტ & თაგგარტ სიქიურითის

17 ივლისი 2006

### საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

**სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები**

სესია No. 56, 13 ივლისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 14 | 13.21 | 13.22 | 13.21 | 58.3 | 5,696 | 75,249 | 215,069,241 | - |
| UGB | 1 | 2.80 | 2.80 | 2.80 | 300.0 | 7 | 20 | 114,800,000 | ფლობა |
| UTC | 36 | 0.69 | 0.69 | 0.69 | 91.7 | 46,000 | 31,742 | 71,233,312 | ყიდვა |
| KAZB | 2 | 7.00 | 7.00 | 7.00 | 180.0 | 6,463 | 45,241 | 19,600,000 | ფლობა |
| TSIF | 1 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.0 | 3,000 | 1,500 | 2,443,845 | რეკ. გარეშე |
| EKR | 1 | 1.77 | 1.77 | 1.77 | na | 392,046 | 693,921 | 1,476,437 | რეკ. გარეშე |
| TABR | 1 | 0.40 | 0.40 | 0.40 | na | 200 | 80 | 778,134 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 57 | 207 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| VAZI | 1 | 2.00 | 2.00 | 2.00 | -33.3 | 2,872 | 5,744 | 394,676 | რეკ. გარეშე |
| UQQS | 1 | 0.06 | 0.06 | 0.06 | na | 154,956 | 9,297 | 97,153 | რეკ. გარეშე |
| MASP | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 23 | 23 | 27,560 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 863,024 | | |

სესია No. 55, 11 ივლისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 1 | 103.95 | 103.95 | 103.95 | 3.4 | 64 | 6,653 | | - |
| GEB | 25 | 13.00 | 13.07 | 13.06 | 56.5 | 12,516 | 163,470 | 212,627,307 | - |
| UGB | 1 | 2.60 | 2.60 | 2.60 | 271.4 | 393 | 1,022 | 106,600,000 | ფლობა |
| UTC | 51 | 0.59 | 0.65 | 0.60 | 66.9 | 62,300 | 37,466 | 62,045,247 | ყიდვა |
| KAZB | 2 | 7.00 | 7.00 | 7.00 | 180.0 | 7,284 | 50,988 | 19,600,000 | ფლობა |
| ENIS | 2 | 6.43 | 6.43 | 6.43 | 2,822.7 | 698 | 4,488 | 11,657,378 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 1 | 0.98 | 0.98 | 0.98 | 880.0 | 66,555 | 65,224 | 1,287,524 | რეკ. გარეშე |
| TRMS | 2 | 1.36 | 1.36 | 1.36 | 28 | 1,081 | 1,470 | 757,925 | რეკ. გარეშე |
| TPU4 | 1 | 2.00 | 2.00 | 2.00 | 0.0 | 120 | 240 | 257,118 | რეკ. გარეშე |
| KTST | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 61 | 61 | 146,849 | რეკ. გარეშე |
| PIRM | 2 | 0.20 | 0.20 | 0.20 | na | 43,580 | 8,716 | 87,000 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 339,798 | | |

**GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები**

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 13.21 | 1.85 | 58.22 | 13-ივლ-06 | 238,719 | 215,069,241 | 22.0 | 59.0 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ყიდვა | 0.69 | 16.95 | 91.67 | 13-ივლ-06 | 69,208 | 71,233,312 | 9.4 | 8.7 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.80 | 14.75 | 141.38 | 13-ივლ-06 | 1,042 | 58,800,000 | 10.0 | 7.7 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 29-ივნ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 12.1 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 7.00 | 0.00 | 180.00 | 13-ივლ-06 | 96,229 | 19,600,000 | 42.7 | 10.9 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 30-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ფლობა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 234,745 | 539,502,381 | | 100 |

**საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები**

10 ივლისი, 2006 – 14 ივლისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | დაფარვის თარიღი | შაპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 104 | 104 | 104 | - | 11.00 | 12 | 591 | 0.99 | B-/B3 |
| პროკრედიტბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | -24 | 976 | 0.31 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა; ყიდვა: 10%-20% ზრდა; ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა; გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0162, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
თამუნა ბიჭინაშვილი
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

[illegible]

## "ფორდმა" რუსეთში არსებული საწარმოს მუშაობა შეაჩერა

ავტომობილების მწარმოებელმა კომპანია "ფორდმა" რუსეთში არსებული საწარმოს მუშაობა შეაჩერა. ოფიციალური ინფორმაციით, კომპანიის გაჩერება უკავშირდება ტექმომსახურებასა და აღჭურვას.

გარდა ამისა კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საჭიროა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

ცნობისთვის, ივნისიდან კომპანიას მოეხსნა ავტონაწილების შემოტანაზე ადრე არსებული საბაჟო შეღავათები. სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება კომპანიის რუსეთში არსებული საწარმოს გაჩერება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ძვირფასი ლითონები კვლავ გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასმა 626 დოლარი შეადგინა, ვერცხლი 10,76 დოლარი/უნცია ღირდა, პლატინა 1234,6 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 314,2 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაცია კვლავინდებურად ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირებას ხელს უნდა უწყობდეს, მათი გაიაფება მოგების ფიქსაციამ, გაძვირების შემდეგ შესყიდვაზე მოთხოვნილების კლებამ და ნავთობის ფასის კლებამ განაპირობა.

## Microsoft-მა და Nortel-მა ალიანსი შექმნეს

პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიო ლიდერმა, კორპორაცია Microsoft-მა უმსხვილეს სატელეკომუნიკაციო კომპანია Nortel Networks LTD-სთან ალიანსი შექმნა. ოთხწლიანი ხელშეკრულების მიხედვით, უნიფიცირებული კომუნიკაციებისა და სისტემური ინტეგრაციების შექმნაში Nortel და Microsoft მთავარი პარტნიორები იქნებიან.

Nortel-ის წარმომადგენლის განცხადებით, კომპანია აპირებს ტრადიციული სატელეფონო ბიზნეს-სისტემები პროგრამულ უზრუნველყოფად აქციოს, რისთვისაც საკუთარ პროგრამულ პროდუქტს და Microsoft Unified Communications-ის პლატფორმას გამოიყენებს. მისი თქმით, დღეს, როცა სატელეკომუნიკაციო სფერო გარდატეხის მომენტშია, ერთობლივ ინვესტიციებსა და მუშაობას დიდი მნიშვნელობა ექნება.

## ქარის ელექტროსადგური ნახევარი მილიონი სახლისთვის

ჩინეთის უმსხვილესი ნახშირმომპოვებლის, სამრეწველო კომპანიების ჯგუფ "შენჰუას" ერთ-ერთი შტო, ქალაქ დუნტაის (შანხაიდან ჩრდილოეთით მდებარეობს) მახლობლად ქვეყანაში უდიდეს, მსოფლიოში კი ერთ-ერთ უდიდეს ქარის ელექტროსადგურს აშენებს.

ქარის უზარმაზარი ტურბინების კომპლექსის საერთო სიმძლავრე 200 მეგავატი იქნება, რითაც ჩინური კომპანიის გათვლებით, დაახლოებით ნახევარი მილიონი ბინა დაკმაყოფილდება. გარდა ამისა, კომპანია ახლო მომავალში ქარის აღნიშნული ელექტროპარკის გაფართოებას აპირებს, რის შემდეგაც მისი საერთო სიმძლავრე ათას მეგავატს (ერთ გიგავატს) მიაღწევს.

ჩინეთისთვის, რომელიც წარმოებული ელექტროენერგიის 70 პროცენტზე მეტს ნახშირის წვით გამოიმუშავებს, აღნიშნულ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, გაიზრდება ელექტროენერგიის წარმოება. მეორეც, გაიზრდება ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში ენერგიის განახლებადი რესურსების გამოყენების ხვედრითი წილი. თანაც, ქვეყანა ნაკლებად იქნება დამოკიდებული ენერგიის ერთ რომელიმე წყაროზე.

ცნობისათვის, ორი წლის წინ ჩინეთში სულ ქარის 43 ელექტროსადგური მუშაობდა, რომელთა მთლიანი სიმძლავრე მხოლოდ 760 მეგავატი იყო. ეს კი ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთ პროცენტზე ნაკლები იყო. ამჟამად ქარის ენერგია ჩინეთს 1.26 გიგავატი ელექტროენერგიით ამარაგებს, 2010 წელს კი ქარისგან მიღებული ელექტროენერგიის მთლიანი სიმძლავრე 5 გიგავატს (5 მილიარდ ვატს) მიაღწევს.

# "ჰონდას" ინდური გეგმები

პირველი გვერდიდან

"არცთუ შორეულ მომავალში, ინდური ბაზარი ჩინურზე მნიშვნელოვანი და მიმზიდველი გახდება. აქაური ეკონომიკის ზრდის ტემპი არაფრით ჩამორჩება ჩინურს. სამაგიეროდ, ინდოეთს დიდ უპირატესობას ანიჭებს ის გარემოება, რომ ეს დემოკრატიული ქვეყანაა და დიდებული მომავალი გააჩნია", - ამბობს "ჰონდას" მთავარი აღმასრულებელი ტაკეო ფუკუი.


ტაკეო ფუკუი.

შარშან "ჰონდამ" ინდოეთში 3.6 მილიონი მოტოციკლი და სკუტერი გაყიდა, ეს კი ყველაზე მეტი ორბორბლიანი მანქანაა, რაც კომპანიას რომელიმე ქვეყნის ბაზარზე გაუყიდია. გაყიდვების ესოდენ სწრაფი ტემპით ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი კი ისაა, რომ იაპონელებმა ინდოეთში ბოლო ორ დეკადაში 30 მილიარდი რუპიას ინვესტიცია განახორციელეს.

"ჰონდას" ინდოეთში თავისი ბიზნესის ოთხი ცალკეული შტო აქვს და მათ გაფართოებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან პროგნოზებით დადგენილია, რომ ამ ქვეყნის საავტომობილო ბაზრის მოცულობა 2015 წელს სამ მილიონ ავტომობილს მიაღწევს. ამასთან, ახლა თუ ავტომობილებზე ბაზრის 60 პროცენტი მოდის, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 75 პროცენტი იქნება.

ამჟამად "ჰონდა" ინდოეთში სამ მოდელს (სიტი, აკორდი, სპორტული უგზოობის მოდელი) ჰყიდის. ამასთან, კომპანიის მარკეტოლოგებს უკვე დაწყებული აქვთ გამოკვლევა, რომლის რეკომენდაციების მიხედვითაც, კონსტრუქტორები ინდოეთის ბაზრისთვის განკუთვნილ სრულიად ახალ მოდელს მოამზადებენ. ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ ახალი ავტომობილი გაბარიტებით კომპაქტურ "სიტიზე" პატარა იქნება. გარდა ამისა, "ჰონდამ" უკვე ჩაატარა თავისი ყველაზე პოპულარულ მოდელ "სივიკის" ინდური პრეზენტაცია, რომლის გაყიდვები მალე დაიწყება.

დღეისათვის ინდოეთის ბაზარზე "ჰონდას" ყველაზე სერიოზულ კონკურენციას უწევს კომპანია "მარუტი უდიოგი" (რომლის აქციების საკონტროლო პაკეტიც იაპონურ კომპანია "სუძუკის" ეკუთვნის), "ტატა მოტორსი", "ჰიუნდაი მოტორსის" ინდური შტოები, "ჯენერალ მოტორსი" და "ფორდი".

"ჰონდას" მარკეტოლოგების პროგნოზით, კომპანიის გაყიდვების ყოველწლიური საშუალო მატება 48 პროცენტის ფარგლებში იქნება. იმავე პროგნოზით, ამ წლის ბოლოს გაყიდვები 62 000-ს მიაღწევს, ერთი წლის შემდეგ 100 000-მდე გაიზრდება. ამასთან, თუ ახლა უფრო დიდი პოპულარობით კომპაქტური მოდელები სარგებლობს, დროთა განმავლობაში, მყიდველი აქცენტს მცირე ზომის ჰეჩბეკებსა და სედანებზე გადაიტანს.

"ჰონდას" ინდოეთში ოთხი შტო გააჩნია. ის მოტოციკლების მწარმოებელ ადგილობრივი კომპანია "ჰერო ჰონდა მოტორსის" 26 პროცენტს და ავტომობილების მწარმოებელ "ჰონდა სიელ ქარზ ინდიას" 99.9 პროცენტს აკონტროლებს. გარდა ამისა, სრულად ფლობს სკუტერებისა და გენერატორების მწარმოებელ კომპანიებს, რომლებიც თავიანთ პროდუქციას "ჰონდას" ბრენდით უშვებენ.

ტაკეო ფუკუი აცხადებს, რომ "ჰონდა" თავის ინდოელ პარტნიორს (სიელის ჯგუფი) "ჰონდა სიელში" თავისი წილის ახლანდელი 0.1-დან 5 პროცენტამდე გაზრდის უფლებას მისცემს. "სიელის" შეფი სიდჰარათ შრირამი ამბობს, რომ "ჰონდა სიელის" აქციების გამოსყიდვა მას დაახლოებით 730 მილიონი რუპია (15.9 მილიონი დოლარი) დაუჯდება.

# "სუძუკი" "ნისანისთვის" ავტომობილებს გამოუშვებს

მერაბ ლორთქიფანიძე

იაპონურ კომპანია "სუძუკის" მთავარმა აღმასრულებელმა ტოკიოში სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი კომპანია ინდოეთში დაიწყებს ახალი კომპაქტური მოდელის წარმოებას, რომელიც "ნისანის" მარკით ევროპის ბაზარზე გაიყიდება.




ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, ორივე კომპანიის ხელმძღვანელობამ გააფორმა ხელშეკრულება, რომლითაც ისინი ვალდებულებას იღებენ, გამოიყენონ ერთმანეთის საწარმოები, რათა შეამცირონ საწარმოო დანახარჯებს. ხელშეკრულება, ასევე, ითვალისწინებს ორივე მარკით ერთიდაიმავე მოდელის წარმოებას.

"ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველაზე მცირე, A-კატეგორიის სეგმენტისთვის ინდოეთში ვაწარმოოთ ავტომობილები, რომლებიც ინდოეთში ჩვენი ბრენდით გაიყიდება და ასევე მივაწვდით "ნისანს", რომელიც მას თავისი მარკით ევროპაში გაყიდის", - ამბობს "სუძუკის" მთავარი აღმასრულებელი ოსამუ სუძუკი. მისივე თქმით, წარმოებისთვის ახალ მოდელს "სუძუკის" კონსტრუქტორები მოამზადებენ, მისი წარმოება კი 2008 წელს დაიწყება.

პარალელურად, მომავალში ახალ მოდელს შექმნის "ნისანიც". ეს ავტომობილი ინდოეთის ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი და მას "სუძუკის" რომელიმე ინდური ქარხანა გამოუშვებს. ინდოეთში ეს მოდელი "სუძუკის" მარკით გაიყიდება, სხვა ქვეყნებში კი - "ნისანის" მარკით.

"სუძუკი" ახალ მოდელს თავისი ერთ-ერთი იმ კომპაქტური ავტომობილის ბაზაზე შეიმუშავებს, რომლებსაც იაპონიაში ყიდის. ეს ავტომობილები მეტწილად 0.660-ლიტრიანი ძრავებითაა აღჭურვილი, თუმცა "ნისანისთვის" მის კაპოტქვეშ ბენზინზე მომუშავე 1.0 და 1.2-ლიტრიან ძრავებს მოათავსებენ. სხვათა შორის, გათვალისწინებული არაა ავტომობილის დიზელის აგრეგატით აღჭურვა, რადგან ასეთი აგრეგატები კომპაქტურ ავტომობილში დიდ ადგილს დაიკავებს.

"სუძუკი" ინდოეთის ბაზრის ლიდერია. იქ მას წარმოადგენს შვილობილი კომპანია "მარუტი უდიოგი", რომლის აქციების 54.2 პროცენტი სწორედ "სუძუკის" ეკუთვნის. იაპონურ კომპანიას ინდოეთში აქვს საავტომობილო ქარხანა, რომელიც წლიურად 500 000 ავტომობილს უშვებს. გარდა ამისა, მალე ჩადგება მწყობრში კიდევ ერთი ქარხანა, რომლის საწყისი სიმძლავრე მხოლოდ 100 000 ავტომობილი იქნება, თუმცა 2008 წლისთვის მისი წარმოების მოცულობა 250 000 ავტომობილს მიაღწევს.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, "სუძუკის" ხელმძღვანელობა ინდოეთის სტუმრობდა, სადაც ტაჯ მაჰალის ტაძრის სიახლოვეს, შეხვედრა ჰქონდა "მარუტის" დილერებთან. იაპონელებს სურთ, თავიანთ იაპონელ დილერებს გაუზიარონ მათი ინდოელი კოლეგების საქმიანობის გამოცდილება. გასაზიარებელი კი ბევრია. მაგალითად, "მარუტის" მთელ ინდოეთში სულ 300 დილერი ჰყავს და ისინი წლიურად 500 000 ავტომობილის გაყიდვას ახერხებენ. ეს მაშინ, როცა "სუძუკის" 3 500 იაპონელი დილერი ძლივს ახერხებს კომპანიის მარკით დამზადებული 700 000 ავტომობილის რეალიზებას.

# "სუძუკის" ბუმი ევროპაში

ინდოეთის გარდა, "სუძუკი" წარმოების გაფართოებას იწყებს ევროპაშიც, სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი ახალი მოდელები - "სვიფტი" და "ესკუდო", ასევე ქროსოვერი SX4.

კომპანიამ გამოაცხადა, რომ თავის უნგრულ ქარხანაში წარმოების მოცულობის გასაზრდელად, დამატებით 70 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს და ქარხანაში დამატებით 1000 სამუშაო ადგილს შექმნის, რათა ქარხნის წარმადობა 76 პროცენტით გაზარდოს.

"სუძუკიმ" SX4 პირველად ჟენევის წლევანდელ ავტოსალონზე წარადგინა და მას აქეთ, შეკვეთებს ვერ აუდის. წარმოების პირველ წელს კომპანიას განზრახული ჰქონდა 40 000 ცალი SX4-ის წარმოება, მაგრამ უკვე მოასწრო 60 000 ავტომობილის გაყიდვა. უფრო მეტიც, ამ პატარა ავტომობილების მყიველებს ხუთი თვე რიგში დგომა უწევთ, რათა სასურველი მანქანა მიიღონ. ახლა კი კომპანია ამ ავტომობილის იაპონიაში გაყიდვასაც იწყებს.

"სუძუკის" იაპონური ქარხანა მალე დაიწყებს SX4-ის წარმოებას. ეს ქარხანა ისედაც მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს და ახლა კიდევ ერთი პოპულარული მოდელის წარმოების ათვისებას ეწევა. მასში წარმოებული 40 000 ცალი SX4 კი მალე აშშ-ის გზას გაუდგება.

რაც შეეხება უნგრულ ქარხანას, მასში 2 500 ადამიანია დასაქმებული. მათგან 800 ახლახან მიიღეს, კიდევ ათასის დამატება ახლო მომავალში იგეგმება. ქარხანა ამჟამად ორ ცვლაში მუშაობს და მას წლიურად 170 000 ცალი ავტომობილის წარმოება შეუძლია. ახალი ინვესტიციის განხორციელების შემდეგ კი მისი წარმადობა 220 000-მდე გაიზრდება. ამის შემდეგ, კომპანიას გათვალისწინებული აქვს კიდევ ერთი კონვეიერის დამატება, რის შემდეგაც ქარხნის საწარმოო სიმძლავრე წლიურად 300 000 ცალ ავტომობილს მიაღწევს.

სხვათა შორის, იგივე ქარხანა SX4-ის ანალოგიურ ავტომობილს "ფიატის" მარკითაც უშვებს, ოღონდ მისი სახელია "ფიატ სედიჩი". რა თქმა უნდა, ეს ავტომობილიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაგეგმილი 20 000-ის ნაცვლად წელს შეკვეთები უკვე 30 000 ცალ "სედიჩზეა" მიღებული...




## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კვლავ მძიმე გეოპოლიტიკური ვითარებაა და ფედერალური სარეზერვო ფონდის თავკაცმა ბენ ბერნანკემ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ისევ გაზრდის შესაძლებლობა გააჟღერა, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის გაიაფებამ და დამაიმედებელმა მაკროეკონომიკურმა და კორპორაციულმა სიახლეებმა.

კერძოდ, აშშ-ს შრომის სამინისტროს ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 0,2 პროცენტით მოიმატა. მართალია, ინტერნეტ-კომპანია Yahoo-ს, რომლის შემოსავალი მეორე კვარტალში 78 პროცენტით, 164,3 მილიონ დოლარამდე შემცირდა, აქციები 15 პროცენტით დაეცა, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ცნობილი გახდა, ამერიკის სიდიდით მეორე ბანკის Bank of America Corp-ის მოგება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15,6 პროცენტით, 10,46 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება ამერიკის სიდიდით მესამე ბანკს, მისი J.P.Morgan Chase & Co-ს მისი მეორე კვარტლის მოგება 3,5-ჯერ, 3,54 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, კომპიუტერული გიგანტის IBM-ის მოგება მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შარშანდელთან შედარებით 11 პროცენტით, 2,02 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 1,4 პროცენტით, 10.950,51 პუნქტამდე გაიზარდა. 1,21 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.067,93 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 1,41 პროცენტით, 1.254,29 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა მოიკლო

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,96 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,94 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

შესაბამისად, "ოპეკის კალათის" ფასმაც მოიკლო და 70,29 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც 12 ივლისის შემდეგ, როცა მისი ფასი 68,66 დოლარი/ბარელი იყო, დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. აქვე შეგახსენებთ, რომ "ოპეკის კალათის" ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი მიმდინარე წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი შესყიდვებისადმი ინტერესის კლება გახლდათ, რაც გაზრდილმა ფასებმა და აშშ-ში ნედლი ნავთობისა და ბენზინის მარაგის უმნიშვნელო კლებამ განაპირობა. კერძოდ, აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს სტატისტიკური სამმართველოს ინფორმაციით, ერთი კვირის განმავლობაში ქვეყანაში ბენზინის მარაგი 750 ათასი ბარელით, ნედლი ნავთობის კომერციული მარაგი კი მხოლოდ 225 ათასი ბარელით შემცირდა. გარდა ამისა, ნავთობის ბაზარზე დადებითი გავლენა მოახდინა გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ ისრაელი ლიბანის ტერიტორიაზე ანტიტერორისტულ ოპერაციას რამდენიმე კვირაში დაასრულებს და საომარი მოქმედებები ფართო მასშტაბებს არ მოიცავს. ამასთან, როგორც ცნობილი გახდა, ჩრდილოეთ ატლანტიკაში ჩამოყალიბებული ტროპიკული შტორმი "ბერილი" ნავთობის მოპოვებას ზიანს ვერ მიაყენებს.

## მსოფლიოში უმსხვილესი IPO

ჩინეთის სამრეწველო-კომერციული ბანკი (ICBC), ქვეყნის უმსხვილესი საკრედიტო დაწესებულება მიმდინარე წლის ოქტომბერში ჰონკონგისა და შანხაის ბირჟებზე 21 მილიარდ დოლარად აქციების პირველად საჯარო განთავსებას (IPO) აპირებს. ამგვარად, ICBC ჩინეთის სახელმწიფო ბანკების "დიდი ოთხეულიდან" მესამე იქნება, რომელიც თავის კაპიტალს ერთდროულად ორ ბირჟაზე, კერძოდ, 12 პროცენტს ჰონგკონგის და 6 პროცენტს შანხაის ბირჟაზე გაიტანს. აღსანიშნავია, რომ ჩინური ბინკის IPO მსოფლიოში უმსხვილესი იქნება. მისი აქციების პარალელური განთავსება მოხსნის იაპონური NTT Mobile Communications-ის მიერ 1998 წელს დამყარებულ რეკორდს, რომლის IPO-მ მაშინ 18,41 მილიარდი დოლარი შეადგინა.

## ევროკავშირი საფრანგეთს France Telecom-ის გამო უჩივლებს

ევროკავშირი საფრანგეთის მთავრობას სასამართლოში უჩივლებს, რადგან მან არ უზრუნველყო France Telecom-ის მიერ მილიარდ დოლარზე მეტი საგადასახადო დავალიანების დაფარვა. აღნიშნული დავალიანება საფრანგეთის მთავრობის მიერ კომპანიისათვის სპეციალური, ევროკავშირის კანონების შეუსაბამო საგადასახადო რეჟიმის შემოღებას მოჰყვა.

საქმე ისაა, რომ 2002 წელს საფრანგეთის მთავრობა ევროპის მეორე უდიდეს სატელეკომუნიკაციო კომპანიას France Telecom-ს საგადასახადო შეღავათებით ფინანსური კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმარა. 2004 წელს ევროკომისიამ ეს ზომები უკანონოდ სცნო და France Telecom გადასახადების სრულად გადახდით დაავალდებულა. ახლა კი ევროკავშირის ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ საფრანგეთის მთავრობამ მას შემდეგ გადახდის დასაწყებად არაფერი გააკეთა.

2005 წლის თებერვალში სატელეკომუნიკაციო კომპანიამ ევროკომისიის გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოს პირველ ინსტანციაში გაასაჩივრა. ეს საქმე დღემდე განიხილება. თავის მხრივ, ახლა ევროკავშირი აპირებს სარჩელიც მიმართოს პირდაპირ ევროკავშირის უმაღლეს სასამართლო ორგანოს, რომელიც კავშირის წევრი ქვეყნების დარღვევებს განიხილავს.

## Standart & Poor s-მა საქართველოს ბანკს BB+\B რეიტინგი მიანიჭა

საქართველოს საბანკო სისტემა საკმაოდ სწრაფად და პოზიტიურად ვითარდება. ამას ქვეყნის ბაზარზე მოქმედი ბანკებისათვის უცხოური სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული რეგალიებიც ადასტურებს.

2006 წლის 17 ივლისს გლობალურმა სარეიტინგო სააგენტომ Standart & Poor's-მა ოფიციალური განცხადება გააკეთა. აღნიშნულმა სააგენტომ საქართველოს ბანკს BB+/B საკრედიტო რეიტინგი მიენიჭა. პერსპექტივა სტაბილურია.

აღსანიშნავია, ისიც რომ B B + Standart & Poor's ის მიერ მინიჭებული რეიტინგი ამავდროულად საქართველოს სუვერენული რეიტინგია, რაც ამასთანავე განაპირობებს საქართველოს ყოველი ქართული კომპანიისათვის რეიტინგის მიღების მაქსიმალურ ზღვარს.

Standart & Poor ,s -ის რეიტინგის მიღების შედეგად საქართველოს ბანკი გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული კომპანია, რომელსაც სამივე გლობალური სარეიტინგო კომპანიისაგან აქვს მინიჭებული რეიტინგი. სარეიტინგო კომპანიის ექსპერტებმა საქართველოს ბანკის საქმიანობა ყველა პარამეტრის მიხედვით შეისწავლეს. საქართველოს ბანკს რეიტინგი სამმა სარეიტინგო კომპანიამ მიანიჭა, რაც მის პერსპექტივასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. საქართველოს ბანკის (Moody's B3&Baa3 სტაბილური პერსპექტივა, 2006 წლის 27 აპრილი; FitchRating B-/B სტაბილური პერსპექტივა, 2006 წლის 12 აპრილი; S&P B+/B სტაბილური პერსპექტივა 2006 წლის 17 ივლისი) სამი რეიტინგიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლოა, რადგან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ Standart & Poor's სამ სარეიტინგო სააგენტოებს შორის ყველაზე კონსერვატიულად მოიაზრება.

დსთ-ს ქვეყნების ბანკების უმეტესობას მხოლოდ Moody's da FitchRating-ის რეიტინგები აქვთ მინიჭებული. საქართველოს ბანკის მიერ Standart & Poors -ისგან მინიჭებული BB+ რეიტინგი დანარჩენი ორი სააგენტოსაგან მიღებული რეიტინგების გაუმჯობესებას რეალურს ხდის.

## ჩინეთის ეკონომიკური წინსვლის ტემპებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია

ჩინეთის ეკონომიკური წინსვლის ტემპებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდა, მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში, 11,3 პროცენტით გაიზარდა. უშუალოდ მშპ-ის მოცულობით კი ჩინეთს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია. ქვეყანაში, დაახლოებით, ერთი მესამედითაა გაზრდილი უცხოური ინვესტიციები, რაც მეტწილად ენერგეტიკის სფეროსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში ჩაიდო. მარტო ნახშირის მოპოვების სეგმენტში მოგება, წინა წელთან შედარებით, 46 პროცენტით გაიზარდა. შედეგად ჩინეთის სავაჭრო პროფიციტმა 49 მილიონი ევრო შეადგინა. ამ მიღწევების მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფლებას ეკონომიკაში "იაფი ფულის" შემოდინების სერიოზული პრობლემები აქვს. მას შემდეგ, რაც მთავრობამ უარი თქვა ეროვნული ვალუტის-იუანის ფიქსირებულ კურსზე, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, დოლართან მიმართებაში, 1,3 პროცენტით გაიზარდა. ამჯერად ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, გაზარდოს რეფინანსირების პროცენტები და შეზღუდვები დააწესა საბანკო კრედიტების მოცულობაზე. ქვეყნის ეკონომიკის მატების ასეთი მაღალი ტემპი დაფიქსირდა 1994 წელს. **ჯი-ეიჩ-ენი**






## ამინდი

| | 20/07 | 21/07 | 22/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 28 | 27 | 30 |
| რიგა | 21 | 30 | 23 |
| ვილნიუსი | 22 | 27 | 26 |
| მოსკოვი | 17 | 20 | 18 |
| მინსკი | 23 | 27 | 30 |
| პარიზი | 33 | 36 | 32 |
| რომი | 33 | 35 | 35 |
| ლონდონი | 35 | 30 | 30 |
| მადრიდი | 33 | 36 | 36 |
| ბონი | 36 | 33 | 33 |
| ვარშავა | 31 | 33 | 32 |
| ათენა | 30 | 29 | 28 |
| ბერნი | 31 | 32 | 33 |
| ამსტერდამი | 30 | 29 | 25 |
| ოსლო | 23 | 23 | 18 |
| ანკარა | 30 | 28 | 31 |
| ვარნა | 31 | 27 | 29 |
| დელი | 46 | 47 | 44 |
| ტოკიო | 25 | 24 | 28 |
| კოპენჰაგენი | 27 | 23 | 26 |
| ბაქო | 30 | 31 | 30 |
| ერევანი | 38 | 40 | 39 |
| ასტანა | 28 | 26 | 25 |
| ჰელსინკი | 17 | 19 | 15 |
| დუბლინი | 26 | 22 | 22 |
| ლისაბონი | 28 | 29 | 28 |
| პრაღა | 33 | 30 | 31 |
| სოფია | 30 | 29 | 30 |
| ბუდაპეშტი | 37 | 39 | 37 |
| ბუხარესტი | 33 | 34 | 36 |

# რუსული მოგონებები საქართველოზე

Я тебе один умны вещ скажу, только ты не обижайся!





პირველი გვერდიდან

"საქართველოს შავიზღვისპირეთში მინდა დასვენება. უკვე შვიდი კაცი შევგროვდით და როგორ ფიქრობთ ღირს თუ არა?" - დაუყოვნებელ პასუხს ითხოვს ირა.

"საქართველოში წასვლა ახლა ძალიან არაპატრიოტული იქნებოდა," - მოკლედ და გადაჭრით პასუხობს დიმიტრი.

"აბა, პატრიოტულ ისრაელში, ან ამერიკაში დასვენება იქნებოდა?," - აშკარად არ მოეწონა დიმიტრის პასუხი.

"რომელი სულელი წავა ახლა საქართველოში დასასვენებლად?!", - დიმიტრის მხარს უბამს მაქსიმი.

"მოგესალმებით ყველას, ვისაც საქართველო აინტერესებს! გეპატიჟებით საქართველოში ერთკვირიან მოგზაურობაში. ამ დროის განმავლობაში საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქს იხილავთ. ჩვენი სააგენტო მრავალფეროვან ტურებს შემოგთავაზებთ. ასე რომ, დავიძარით ერთად მოსკოვიდან საქართველოში!" - საუბარში ნატა ცარევა ერთვება და იქვე თავის კოორდინატებს უთითებს, რათა დაინტერესებული ხალხი დაუკავშირდეს.

"ყოჩაღ ხალხო! კარგი არჩევანი გაგიკეთებიათ. მე ეხლა სწორედ საქართველოში ვარ. ულამაზესი ქვეყანაა. ძალიან სტუმართმოყვარე. ინგლისური და რუსული თითქმის ყველამ იცის. გირჩევთ დაისვენოთ ბათუმში ან ქობულეთში, აქ მომსახურება არაფრით ჩამოუვარდება სოჭისას. აქ ჩამოსასვლელად არანაირი დოკუმენტი არ გჭირდებათ. მხოლოდ საზღვარგარეთის პასპორტი და ორი ფოტო 3/4-ზე, ვიზას ჩამოსვლისთანავე, ადგილზე გიფორმებენ, სულ 20 დოლარი დაგიჯდებათ," - იულია არჩევანს უწონებს ფორუმის მონაწილეებს.

"რა სამწუხაროა, ამ პერიოდში ვმუშაობ. არადა, რა დამაინტრიგებელი წინადადებაა," - საუბარში აქ კიდევ ერთი რუსული წარმოშობის მოქალაქე ერთვება.

საუბრები რუსულ ფორუმებზე ამით არ სრულდება. ეს მათი ამსახველი მხოლოდ მოკლე სურათია. თუმცა, სიმართლე ითხოვს, აღინიშნოს, რომ რეალურად მათში გაცილებით მეტი ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველი ციტატებია. თუმცა, ვისაც ცოტა "გამბედაობა" და სურვილი აქვს, ან ცნობისმოყვარეობა კლავს, თავად რწმუნდება, თუ რა ხდება საქართველოში. მაგალითად ზემოთხსენებული იგორიც კმარა, რომელიც სხვათა შორის, თავისი წერილის დასაწყისში ერთ საინტერესო მოსაზრებას ამბობს: "ქართული ღვინის რუსული პრობლემა, როგორც ჩანს, ბევრი რუსისთვის საქართველოში ჩამოსვლის სტიმულად იქცა." ვერაფერს იტყვი, თავად უკეთ იცის.

"აქ კიდევ ახსოვთ რუსული ენა", - შენიშნა იგორმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე. აი, როგორი მოჩანს თანამედროვე ბათუმი რუსი ტურისტის თვალით: **"ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც თითქოსდა საბჭოთა პერიოდში დაკონსერვდა, ინვესტიციების ჩადების სერიოზულ ობიექტადაა ქცეული."**

ბათუმში მოხვედრას თავის თანამემამულეებს ავტორი თვითმფრინავით ურჩევს. დომოდედოვოდან პირდაპირ კოპიტნარის აეროპორტში. ბათუმის აეროპორტის დახურვის მიზეზიც გაუგია და რუსებს აფრთხილებს, ეს უხერხულობა მხოლოდ დროებითიაო.

იხსენებს, რამდენიმე წლის წინ ბათუმის სანაპირო დაბინძურებული იყოო, ახლა კი... **"ბათუმელებმა მსოფლიოს მრავალ კურორტზე აპრობირებულ ხერხს მიმართეს: სანაპირო ზოლი იჯარით გასცეს კერძო პირებზე,"** - ჰყვება იგორ გრონსკი და იქვე შავი ზღვისპირეთის ერთ უარყოფით მხარეზე ამახვილებს ყურადღებას: მსხვილი ქვებიაო. მათ, ვისაც ამ ქვებზე სიარული არ შეუძლია, სამხრეთისკენ, ჭოროხისკენ გასვლას ურჩევს.

ფასებშიც უცებ გაერკვა: მდინარე ჭოროხთან 35 დოლარად ინსტრუქტორის თანხლებით დაივინგის მოსინჯვა შეგიძლიათ. 100 დოლარად კი ბათუმის პორტში რვაათკაციანი იახტის დაქირავებაც არ არის პრობლემა.

"დავივიწყოთ პოლიტიკა. გამოგიტყდებით, ნამდვილი ქართული ღვინით მოწამლვა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: სმა დაიწყეთ წითელი ღვინით, შემდეგ თეთრზე გადადით, შემდეგ ისევ წითელზე, ყოველივე კი ჭაჭით დააბოლოვეთ." ისე, იგორის დაკვირვებით, ქართული ღვინო იმის გარდა, რომ არომატული და სასარგებლოა, იაფიც ყოფილა.

"Батоно Гоги, тебе без пестицидов?" - ნიშნისმოგებით უკითხავს რუსი იგორისთვის ერთ-ერთი ქეიფის დროს მერიქიფეს. "После запрета ввоза вина в Россию грузины стали больше пить!" - იქვე ენამოსწრებულმა თამადამ დასძინა ხუმრობით. იგორისთვის, სამწუხაროდ, ბათუმში მოწონებული ღვინოების მოსკოვში მეგობრებისთვის წაღება შეუძლებელია.

თუმცა, იქნებ მართლაც, იგორის თქმის არ იყოს, ეს "ღვინის გაურკვევლობა" რუსების საქართველოში "შემოტყუების" კაი ხერხი იყოს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

### დაბოლოს, იგორის რჩევები ბათუმისკენ მიმავალ რუსებს:

1. თუ მოგბეზრდათ თურქეთი, ეგვიპტე და მრავალფეროვნებას ეძებთ, შეკრიბეთ მეგობრები და თვითმფრინავის ბილეთი თქვენთვის "ძალიან უჩვეულო" მიმართულებით - ბათუმისკენ შეიძინეთ.

2. თუ კოპიტნარის აეროპორტში დაეშვებით, უფასო ავტობუსით ისარგებლეთ და თქვენ უკვე ბათუმში ხართ.

3. თუ სოჭში დაეშვით, თბომავლით ან ე.წ. "რაკეტით" ისარგებლეთ.

4. პლაჟზე წასვლამდე ადგილობრივ ბაზარში შეიარეთ და ღვინით, ხილით და ყველით მომარაგდით.

დაბოლოს, ყველაზე სასარგებლო:

5. ქართულ სუფრაზე მოხვედრის შემთხვევაში, არ შეეცადოთ იმდენი ღვინო დალიოთ, რამდენსაც მასპინძლები მიირთმევენ (თუ, რა თქმა უნდა, თავადაც ქართველი არ აღმოჩნდებით).

# ლამბორგინი წარმოებას აფართოებს

მერაბ ლორთქიფანიძე



სუპერავტომობილების მწარმოებელი იტალიური კომპანია "ლამბორგინი" ყოველწლიურად ზრდის გაყიდვებს, თუმცა იმავდროულად, ექსკლუზიურობასაც ინარჩუნებს. კომპანიის ექსპერტთა პროგნოზით, წელს გაყიდვების 20-პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი. ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს კი ის ფაქტი იძლევა, რომ იტალიური კომპანია სულ უფრო აფართოებს თავის სადილერო ქსელს, განსაკუთრებით კი ეს აშშ-ის ბაზარს ეხება.

ამერიკული ბაზარი ყველაზე მნიშვნელოვანია "ლამბორგინისთვის", რომელიც წელს ახალ სადილერო პუნქტებს ხსნის ნიუ იორკში, კალიფორნიასა და ფლორიდაში. "ლამბორგინის" მთავარი აღმასრულებლის, შტეფან ვინკელმანის თქმით, კომპანიის მიერ წლიურად რეალიზებული ავტომობილების საერთო რაოდენობიდან თითქმის 40 პროცენტი აშშ-ზე მოდის.

"ლამბორგინის" გამოცოცხლება 1998 წლიდან დაიწყო, როცა ფინანსურ კრიზისში მყოფი კომპანია "აუდიმ" (თავის მხრივ, აუდი ფოლკსვაგენის ჯგუფში შედის) შეიძინა. 2003 წლამდე კომპანიის გაყიდვების წლიური მოცულობა არ აღემატებოდა 250 ავტომობილს. შემდეგ კი, სადილერო ქსელის სწრაფი განვითარების ხარჯზე, გაყიდვებმა 1 305-ს მიაღწია. 2004 წელს 1 592 ავტომობილი გაიყიდა, შარშან კი - 1 600. ვინკელმანის თქმით, ამჯერად "ლამბორგინის" ახალი ორიენტირი 1 800-1 900 ავტომობილის რეალიზებაა.

იტალიის ქალაქ მოდენაში მდებარე ქარხანაში, სადაც 700 ადამიანია დასაქმებული, წლიურად 2 000 ავტომობილის წარმოებაა შესაძლებელი. ვინკელმანი ვარაუდობს, რომ მალე ქარხანა გასაფართოებელი გახდება. იმავდროულად, ის გამორიცხავს მსხვილსერიულ წარმოებაზე გადასვლას და პირობას დებს, რომ კომპანია კვლავაც მხოლოდ ექსკლუზიური ავტომობილების ბაზარზე გააგრძელებს მოღვაწეობას.

ცნობისათვის, მოდელ "გალიარდო სპაიდერის" მყიდველებს რიგში დგომა ერთი წელი უწევთ. "მურსიელაგო LP 640-ზე" შეკვეთების წლიური კვოტა უკვე შევსებულია, "მურსიელაგო კუპეს" ყიდვის მსურველებს კი სასურველი ავტომობილის მიღებამდე 6 თვე მოუწევთ ცდა.

"სულაც არ ვაპირებთ წარმოების მოცულობის გაორმაგებას. ჩვენი მიზანი კონტროლირებადი ზრდაა, რასაც ბაზრის მოთხოვნები გვკარნახობს. პარალელურად, მკაცრად ვიცავთ ხარისხობრივ სტანდარტს. ჩვენთვის მთავარი სახელია და არა მყისეული მოგება. მთავარ მიზნად კი პრესტიჟულობის შენარჩუნება რჩება, რასაც უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვიდრე ავტომობილების ფასს და მათი გაყიდვებით მიღებულ მოგებას. სწორედ ასეთი მიდგომის წყალობით გახდა ჩვენი მარკა ასეთი პოპულარული", - ამბობს ვინკელმანი.

"ლამბორგინიმ" ახალი სადილერო პუნქტების გახსნა შარშან დაიწყო. 2005 წლის ბოლოს იტალიური კომპანიის ავტომობილების გაყიდვაზე 86 დილერი ზრუნავდა. შედარებისთვის, 2004 წელს "ლამბოს" 19 დილერით ნაკლები ჰყავდა. წელს კი სადილერო ქსელი ათი ახალი პუნქტით შეივსება. სულ კომპანიას აშშ-ში შარშან 24 დილერი ჰყავდა, წელს კი მათი რაოდენობა ხუთით გაიზრდება. ცნობისათვის, თითოეული დილერი საშუალოდ ოცამდე ახალ ავტომობილს ჰყიდის.

დღეისათვის "ლამბორგინის" სამოდელო რიგი სულ ოთხ ავტომობილს მოითვლის. ესენია: "გალიარდო კუპე" და "გალიარდო სპაიდერი", "მურსიელაგო კუპე" და "მურსიელაგო როდსტერი". მათი ფასი კი 180 000-დან 335 000 დოლარის ფარგლებშია.

## ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების პილოტური პროგრამა

საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრმა "კავკასია" გუშინ ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების პილოტური პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს იუესაიდის USAID მიერ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რომლის შემსრულებელია საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი (IESC).

პროგრამა შედგება ოთხი ძირითადი პროექტისაგან. პირველი - ეს არის ბაკალავრი სტუდენტებისა და უმუშევარი ახალგაზრდების ბიზნეს-ტრენინგები, მეორე - მაგისტრის სტუდენტებისა და ბიზნესმენების ერთობლივი ტრენინგები, მესამე - სტუდენტური საკონსულტაციო პროექტი, ხოლო მეოთხე - "განათლების და დასაქმების ფორუმი-2006", რომელიც 20, 21 და 22 ოქტომბერს გაიმართება.

როგორც საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა სერგი ბარამიძემ განაცხადა, პროგრამის მიზანია ბაკალავრი და მაგისტრატურის სტუდენტების, დაუსაქმებელი ახალგაზრდების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიზნესმენების ერთობლივი ტრენინგი და პრაქტიკული საქმიანობა. პროგრამის ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, CSB-ის, ESM-ის, GAU, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებო და პროფესიული ორგანიზაციების პროფესორ-მასწავლებლები და ექსპერტები.

პროგრამა მომზადებულია საქართველოს ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების ცენტრის "კავკასიის", წმინდა მარიამის უნივერსიტეტის ბიზნესის განვითარების ცენტრისა და ბეისტერ ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით.

სტუდენტური საკონსულტაციო პროექტის მიმდინარეობის დროს სტუდენტები ამზადებენ ბიზნესგეგმებს, მარკეტინგულ კვლევებს, ფინანსურ ანალიზს და პრეზენტაციას ბიზნესკლიენტებისათვის სტუდენტური ბიზნესის დასაწყებად, რომელიც გაიხსნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში, "კავკასიის მენეჯმენტის" ქოლგის ქვეშ.

სტუდენტური საკონსულტაციო პროექტის განმავლობაში შეიქმნება ათი საუკეთესო პროექტი. ეს პროექტები "განათლებისა და დასაქმების ფორუმი 2006"-ის დროს წარდგენილი იქნება ბიზნესკლიენტებისათვის და პოტენციური ინვესტორებისათვის. ფორუმის გახსნის დღეს, 22 ოქტომბერს, ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების პილოტური ფორუმის მონაწილე 50-დან 100-მდე საუკეთესო სტუდენტი წარდგენილი იქნება ბიზნესსაზოგადოებისათვის პოტენციური სამუშაო ადგილების მისაღებად. სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში შესრულებული ბიზნესგეგმები წარედგინება პოტენციურ ინვესტორს ან ბიზნესკლიენტს.

პროგრამის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული საელჩოები, ბიზნესკომპანიებისა და კერძო კომპანიების წარმომადგენლები. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში გამარჯვებულ ESM-ის 10 სტუდენტს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები. პროექტის გენერალური სპონსორია ბანკი "რესპუბლიკა", პარტნიორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი და "ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება", პროექტის მხარდამჭერია თბილისის მერია, საინფორმაციო მხარდამჭერები - სააგენტო "ინტერპრესნიუსი", ინტერნეტგამოცემა "ჯობს.ჯე", რადიო "უცნობი" და გაზეთი "ჯორჯიან თუდეი". **ინტერპრესნიუსი**

## "ენგურჰესის" ჩართვა 20 ივლისისთვის იგეგმება

ხვალიდან, 20 ივლისიდან, "ენგურჰესი" საქართველოს ერთიან ენერგოსისტემას შეუერთდება. ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ. ამ დროისთვის ჰესი მხოლოდ ტესტირების რეჟიმში მუშაობს.

"ენგურჰესი" სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოს გამო, 28 მარტს გაჩერდა. შესაბამისად, 4 თვის განმავლობაში საქართველოს ენერგოსისტემა ქვეყნის უმთავრესი ჰიდროელექტროსადგურის გარეშე მუშაობდა.

ჰიდროელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაო ხორციელდება ევროპის ბანკის კრედიტით, რომლის საერთო ღირებულება 37,5 მილიონი დოლარია. სადერივაციო გვირაბის რემონტს 18 მილიონი დოლარი მოხმარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

პრემიერლიგას სერია A დაემართა



C3

არაპუნქტუალური „მონსტრი“



C3

ბოქსეს რბევის ექო



C4

## საქართველო-უკრაინა 85:71

გუშინ პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე მეორე გამარჯვება მოიპოვა და ნახევარფინალში გავიდა. ჩვენმა ბიჭებმა ამჯერად უკრაინას არ დაუტოვეს შანსი და ორი გამარჯვებით სათავეში უდგანან სატურნირო ცხრილს. ჯგუფის დასკვნით შეხვედრას საქართველოს ნაკრები დღეს გამართავს და ჩვენი მეტოქე პოლონეთის გუნდი იქნება, რომელიც ჩეხებთან დამარცხდა.

## კოკაიმ დადებითი ბალანსი გაინაღდა

დასასრულს უახლოვდება ივლისის ბაშო. ასპარეზობის მე-11 დღეს ლევან ცაგურიას მეტოქე მე-11 მაიგეშირა კასუგო გახლდათ. ქართველმა სუმოისტმა ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა მოწინააღმდეგე. ეს კოკაის მე-8 გამარჯვება იყო ივლისის ბაშოზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ამ ტურნირს დადებითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგშიც წინ წაიწევს. დღეს კოკაის მეტოქე აღმოსავლეთ კონფერენციის მეათე მაიგეშირა ტამანოშიმა იქნება. ტამანოშიმა ამ ბაშოს კარგად ატარებს - 11 ბრძოლაში 9 გამარჯვება აქვს მოპოვებული. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი ხუთჯერ შეხვდა ტამანოშიმას და ოთხჯერ დამარცხდა.

## რეალი უარით გაისტუმრეს

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეწყვიტა მოლაპარაკება მადრიდის „რეალთან“ რუუდ ვან ნისტელროის ტრანსფერის თაობაზე. მადრიდელები ჰოლანდიელ ფორვარდში 15 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტს არ იხდიდნენ, მაშინ როდესაც ინგლისური კლუბი 22 მილიონს ითხოვდა. სწორედ ამის გამო ჩაიშალა ვან ნისტელროის ტრანსფერი.

## კიდევ ორი კლუბი

იტალიური საფეხბურთო სკანდალი ახალ ეტაპზე გადის. აპენინური მედიის ინფორმაციით, ძალზე პოპულარული ოთხეულის გარდა, მატჩების ყიდვაში კიდევ ორი კლუბია მხილებული. ორივე სერია A-ში თამაშობს. ჯერჯერობით არ დაკონკრეტებულა, რომელ კლუბებზეა საუბარი, თუმცა, სავარაუდოდ, დასჯილთა სია მალე გაიზრდება.

## მილანი უეფას თასზე

შესაძლოა „მილანმა“ მომავალ სეზონში უეფას თასის გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ევროტურნირის ერთი ადგილი „ემპოლის“ ან „მილანს“ უნდა დაუთმოს. თუ იტალიურ გაზეთებს დავუჯერებთ, საკითხი უკვე გადაწყვეტილია და უეფას თასზე სწორედ „მილანი“ ითამაშებს. ამ კლუბთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. „მილანის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, გუნდის არც ერთი წამყვანი ფეხბურთელი არ გაიყიდება. როგორც იცით, ამას წინათ „მილანს“ სარფიანი წინადადებით მიმართა ლონდონის „ჩელსიმ“. „არისტოკრატები“ ბრაზილიელ კაკაში 70 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდნენ, თუმცა იტალიური გრანდის მესვეურებმა უარი თქვეს და კაკა შეინარჩუნეს. მეტიც: „მილანი“ ძლიერდება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ეს გუნდი ჯიჯი ბუფონს იყიდის, რომელსაც ტურინის „იუვენტუსის“ დატოვება აქვს განზრახული.

## ბარსელონაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება

ესპანურმა სასამართლომ დაავალდებულა საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“, რაც შეიძლება სწრაფად ჩაატაროს კლუბის პრეზიდენტის არჩევნები. საქმე ისაა, რომ, ესპანური კანონების თანახმად, კლუბში არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში უნდა ჩატარდეს. ჟოან ლაპორტა „ბარსელონას“ პრეზიდენტის პოსტზე ოთხი წლისა და ერთი თვის წინ აირჩიეს. სასამართლომ მიმართა კლუბის ხელმძღვანელობას, რათა მათ მაქსიმალურად მცირე დროში ჩაატარონ არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ლაპორტას პრეზიდენტობა არალეგიტიმურად გამოცხადდება.

ფაქტობრივად, მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები წმინდა წყლის ფორმალობა იქნება, ვინაიდან არავის ეპარება ეჭვი, რომ ჟოან ლაპორტა არჩევნებშიც შეძლებს გამარჯვებას.

## ჩელსიში სამი კოული იქნება

უახლოეს დღეებში ლონდონის „ჩელსი“ გააფორმებს კონტრაქტს ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ მცველთან ეშლი კოულთან. ეშლის უკვე დიდი ხანია სურს „არისტოკრატთა“ რიგებში მოხვედრა. ამჯერად ტრანსფერს ალბათ წინ ვერაფერი დაუდგება. ეშლი კოული „ჩელსიში“ ასიერ დელ ორნოს ადგილს დაიკავებს. ესპანელი მცველი „ვალენსიაში“ აპირებს კარიერის გაგრძელებას. აღსანიშნავია, რომ ეშლი კოულის შეძენის შემდეგ „ჩელსის“ სამი კოული ეყოლება: ეშლი, ჯო და კარლტონი.

## საპრიზო თანხა გაზარდეს

28 აგვისტოს სტარტს აიღებს აშშ-ს ღია პირველობა ჩოგბურთში. წლეულს ტურნირის ორგანიზატორებმა საპრიზო თანხა გაზარდეს. ერთეულთა წყვილში გამარჯვებულები 1 200 000 დოლარს მიიღებენ. ეს თანხა თითქმის 7 პროცენტით აღემატება გასულ სეზონში დარიგებულ პრემიალურებს. ამავე დროს ჩემპიონებს Lexus-ის ავტომობილებით დაასაჩუქრებენ. წლევანდელი სეზონის დიდი სლემის უკანასკნელი ტურნირის საპრიზო ფონდი მთლიანად 18,5 მილიონი დოლარი იქნება. შესაძლოა, თანხა 21 მილიონ დოლარამდეც კი გაიზარდოს. დიდი სლემის ტურნირებზე მამაკაცებს და ქალებს გამარჯვების შემთხვევაში თანაბრად უხდიან. გამონაკლისია მხოლოდ უიმბლდონი, რომელზეც ტრადიცია არ დარღვეულა და მამაკაცი ჩოგბურთელი გამარჯვებისთვის უფრო მეტ თანხას იღებს.

# ორადეაში ევროპული წყალი ჩაედინება



ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ორადეა, რუმინეთი. 22-29 ივლისი

**A ჯგუფი**
სლოვაკეთი
სერბეთი
დიდი ბრიტანეთი
სლოვენია

**B ჯგუფი**
საფრანგეთი
**საქართველო**
რუმინეთი
უნგრეთი

**C ჯგუფი**
პოლონეთი
საბერძნეთი
იტალია
ხორვატია

**D ჯგუფი**
რუსეთი
გერმანია
ჰოლანდია
ესპანეთი

გოგიტა ბახაიძის ფოტო

*საქართველოს ნაკრებმა ევროპას ბურთი დაუმიზნა.*

*საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ წლეულს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და დღეს საღამოს ფინალურ ეტაპზე რუმინეთში მიემგზავრება. ევროპის ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება სოფიაში, C ჯგუფში თამაშით მოიპოვა. ექვს გუნდს შორის (თურქეთი, კვიპროსი, რუსეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, საქართველო) ჩვენმა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. ახლა ძირითადი მისიის შერულების დროა. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩებს 22-29 ივლისს ორადეა (რუმინეთი) უმასპინძლებს. ქართველ წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ერთი თვის განმავლობაში „ლაგუნა ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში ვარჯიშობდა.*

გიგა გურასაშვილი

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს რთული მატჩები ელის. ოთხ ჯგუფში გადანაწილებული 16 გუნდიდან საქართველო B ჯგუფში მოხვდა, რომელშიც მეტოქეობას გაგვიწვენ მასპინძლები, ფრანგები და უნგრელები.

„ძალიან ძლიერ ჯგუფში ვართ, - ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე, - ყველა მათგანი შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია. რუმინელებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ფრანგებმა - მერვე, უნგრელებმა - მეორე. ჩვენი მეტოქეებიდან არც ერთი არ არის ისეთი, ვინც საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ჩვენ და რუსებმა შევძელით ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. ჩვენს ჯგუფში ისეთი გუნდიც რომ მოხვედრილიყო, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, მეტი შანსი გვექნებოდა, რადგან ასეთი გუნდები გაცილებით სუსტები არიან იმათთან შედარებით, რომლებიც პირდაპირ გადიან ევროპაზე“.

საქართველოს ნაკრებს, როგორც ყოველთვის, ახლაც ჰქონდა სტანდარტულ აუზში ვარჯიშის პრობლემა. მიმდინარე სეზონში ნაკრები 25-მეტრიან აუზში ვარჯიშობდა. ერთი თვეა, რაც „ლაგუნა ვერეს“ 50-მეტრიან აუზში შეუდგნენ მზადებას, მაგრამ აქაც პრობლემა შეექმნათ - ღია აუზში გადასვლა და გაავდრება ერთი იყო. 50-მეტრიანი აუზიც ვერა და ვერ გათბა. ნაკრების ორი წევრი გაცივდა. ერთი სიტყვით, მწვრთნელი იძულებული გახდა, ბიჭები წყალში მხტომელთა აუზში გადაესხა, რომელიც ასევე არასტანდარტულია. მერე, როგორც იქნა, ამინდი გამოკეთდა და რამდენჯერმე, ასე თუ ისე, სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარეს. თუმცა, მთლიანად მზადება მაინც შორს იყო სრულყოფილებისგან. საქმე ის არის, რომ იქ ორის ნაცვლად დღეში მხოლოდ ერთი ვარჯიშის საშუალება ჰქონდათ.

„ასეთი პირობებში რაც მოვახერხეთ, ისიც საკვირველია. ჩვენთვის ყოველთვის ძნელია რომელიმე ტურნირზე გამოსვლა. სტანდარტულ აუზში თამაშის საშუალება მაინც რომ მოგვცემოდა, ბიჭები უფრო დაოსტატდებოდნენ. ალარაფერს ვამბობ სპარინგ-პარტნიორის თბილისში ჩამოყვანაზე. ჩვენ მაინც გარე ევროპა ვართ. აქ ჩამოსვლა არავის უნდა, რადგან ძვირი უჯდებათ. ან რაში სჭირდებათ, როდესაც ხელის გაწვდენაზე ჰყავთ ყველა. ერთადერთი გამოსავალია ჩვენ ჩავიდეთ იმათთან“.

სხვათა შორის, იყო საუბარი იმაზე, რომ წყალბურთელთა ნაკრებისთვის „ქარიშხალას“ საცურაო კომპლექსი გადაეცათ, მაგრამ საკითხი ჯერაც გადაუჭრელია.

საქართველოს ნაკრებისთვის მისწრებაა, როდესაც უკრაინის ღია ჩემპიონატში საასპარეზოდ იწვევენ. ამ ტურნირზე ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეხუთე ადგილი დაიკავა. შარშან ამავე ჩემპიონატიდან ქართველები ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ შინ. და კიდევ: 21 ივნისის შემდეგ (უკრაინის ღია ჩემპიონატის მერე) ნაკრებს არავისთან არ უთამაშია.

გაგრძელება C2 გვერდზე

## სასაცილო ჩინური ვარჯიში

ჩინური კალათბურთის ვარსკვლავი, NBA-ს კლუბ „ჰიუსტონ როკეტსის“ ცენტრი იაო მინი აგრძელებს მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ერთ თვეში იაპონიაში უნდა გაიმართოს. გიგანტი, რომლის სიმაღლე 2 მეტრი და 29 სანტიმეტრია, ჯერჯერობით სრული დატვირთვით არ ვარჯიშობს, თუმცა ჩინეთის ნაკრების ლიტველი მწვრთნელის იონას კაზლაუსკასის თქმით, იაო რამდენიმე დღეში მზად იქნება და ნაკრებთან ერთად განაგრძობს ჩემპიონატისთვის მომზადებას.

მანამდე კი იაო მინი, რომელსაც ისევ აწუხებს მცირე ტრავმა, ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. ჩინელი გიგანტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სირბილს.

იაო ერთ-ერთ სტადიონზე დარბის და ძალას არ ზოგავს, თუმცა პრობლემა მაინც შეიქმნა. იმავე სტადიონზე ჩინეთის მძლეოსან ქალთა ნაკრები ვარჯიშობს, რომლის წევრები ვერაფრით ვერ ახერხებენ კონცენტრირებას, როდესაც მათ გვერდით გოლიათი დარბის.

მძლეოსან ქალთა ნაკრების მწვრთნელმა თხოვნით კი მიმართა კალათბურთელს, რომ სირბილისას გოგონებს არ გაუღიმოს, რადგან თუ გოგონები თავაწეულები ირბენენ, კარგ შედეგს ნამდვილად ვერ აჩვენებენ.

სტადიონზე ბლომად მოდიან ფანებიც, რომლებიც გულიანად ხარხარებენ, როდესაც გიგანტი კალათბურთელი პატარა მძლეოსნებს ჩაურბენს ხოლმე.

## გალახული ზვიგენი

სპორტსმენები საოცარი ხალხია. ისინი ხშირად საოცარი ამბების გმირები ხდებიან. ამას წინათ ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზვიგენი გალახა.

ორი კვირის წინ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გარი ჰოლი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ 35 წელი შეუსრულდა, თავის 28 წლის დასთან, ბებესთან ერთად წყალქვეშა თევზაობით ერთობოდა.

გარიმ და ბებემ ნავით შეცურეს ოკეანეში. შემდეგ აკვალანგები მოირგეს და წყალში ჩახტნენ. წყვილი თევზაობამ გაიტაცა. ისინი ორასიოდე მეტრით მოშორდნენ ნავს. ამ დროს დაახლოებით ორმეტრიანი ზვიგენი დაინახეს. მეთევზეებმა სცადეს ნავთან დაბრუნება, მაგრამ მეორე ზვიგენი გადაეღობათ.

„საქმის ვითარება ასეთი იყო, - ყვება გარი ჰოლი, - ის ზვიგენი შორს იყო, როცა შევამჩნიე, რომ მეორე გვიახლოვდებოდა. ბებე უფრო ახლოს იყო ზვიგენთან. ამ ურჩხულმა ჩემს დას ხელში ჩაავლო, მეორე კი მე დამეტაკა. თავს ვერაფრით დავიცავდი. ამიტომ დავუწყე სახეში მუშტების ჩარტყმა. ზვიგენმა ჩაყვინთა. მერე ზურგში ფეხი ჩავარტყი. როგორც იქნა, თავი დავაღწიე და ოდნავ მოშორებით გავცურე. ბებემ წყლის თოფის დატენვა მოახერხა და ზვიგენს ესროლა. ამის შემდეგ დაგვანებეს თავი“.

გარი ჰოლი ინციდენტს უვნებელი გადაურჩა, მის დას კი 19 ნაკერი დაადეს ხელზე. „არა მგონია, ოდესმე 50 მეტრი ასე სწრაფად გამეცუროს. ვინმეს წამმზომი რომ ჩაერთო, ალბათ მსოფლიო რეკორდიც დავამყარე“, - განაცხადა გადარჩენილმა სპორტსმენმა.

## შეთანხმება არ მოხერხდა

2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჩირდილოეთ და სამხრეთ კორეა გაერთიანებული გუნდით აპირებდნენ გასვლას. ორი ქვეყანას შორის დიდხანს გრძელდებოდა მოლაპარაკების პროცესი, თუმცა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეთანხმება არ მოხერხდა - პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ კორეის ორი ნაკრები გუნდი იქნება.

## სიცხის მსხვერპლი

პაპანაქება სიცხემ, რომელმაც ამჟამად ჰოლანდიაში დაისადგურა, ორი სპორტსმენის სიცოცხლე იმსხვერპლა. ჰოლანდიაში მიმდინარეობდა საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ სიარულში. ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ჰოლანდიაში სხვადასხვა ქვეყნის 40 ათასამდე სპორტსმენი ჩავიდა. შეჯიბრების პირველივე დღეს 300 ადამიანმა მზის დაკვრა მიიღო, 30 საავადმყოფოში აღმოჩნდა, ორი კი გარდაიცვალა. შეჯიბრება, რომელიც 1909 წლიდან იმართება, შეწყვიტეს, რადგან, სინოპტიკოსთა პროგნოზით, ტემპერატურა მომდევნო დღეებში კიდევ უფრო აიწევს.

## ლებრონის 60 მილიონი

დასრულდა მოლაპარაკება NBA-ს კლუბ „კლივლენდ კავალიერსსა“ და ამავე გუნდის ლიდერს ლებრონ ჯეიმსს შორის. ლიგის გამორჩეულმა ვარსკვლავმა მშობლიურ კლუბთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად სამ სეზონში 60 მილიონ დოლარს მიღებს. გასულ სეზონში ლებრონ ჯეიმსის ანაზღაურება „სულ რაღაც“ 5.8 მილიონი დოლარი იყო.

## პირსი „ბოსტონში“ დაასრულებს კარიერას

ამ რამდენიმე დღის წინ „ბოსტონ სელტიკსის“ ლიდერმა პოლ პირსმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. კონტრაქტი ხუთწლიანია. მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში პირსს 31.5 მილიონ დოლარს გადაუხდიან, დარჩენილ სამ წელიწადში კი - 59 მილიონს.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ პოლ პირსმა განაცხადა, რომ „ბოსტონს“ არასოდეს დატოვებს და საკალათბურთო კარიერას ამ გუნდში დაასრულებს.

## რაიკონენი „რენოს“ პრიორიტეტია

ფორმულა 1-ის გუნდ „რენოს“ პრეზიდენტმა ალან დასამამ განაცხადა, რომ კიმი რაიკონენთან კონტრაქტის გაფორმება „რენოს“ მთავარი პრიორიტეტია.

„არავითარი საიდუმლო არ არსებობს. რაიკონენთან კონტრაქტის გაფორმება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. თუ კონტრაქტს ხელი მოეწერა, „რენო“ თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო პილოტს ჩაიგდებს ხელში. თანაც კიმი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა“, - აცხადებს დასამა.

## „სიეტლმა“ მფლობელი შეიცვალა

NBA-ს კლუბ „სიეტლ სუპერსონიკსს“ ახალი მფლობელი ეყოლება. ოკლაჰომელმა ინვესტორებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას კლუბის ყიდვის თაობაზე. ამერიკულ მედიაში გავრცელებული ცნობით, კლუბი დაახლოებით 350 მილიონ დოლარად გაიყიდა.

# ორადეაში ევროპული წყალი ჩაედინება

პირველი გვერდიდან

„უკრაინის ჩემპიონატში ახლაც შეგვეძლო მედლების მოპოვება, მაგრამ აქცენტი ევროპის პირველობისთვის მზადებაზე გვქონდა გადატანილი. უფრო სწორად, უკრაინაში იმათ ვათამაშებდით, რომლებიც ევროპისთვის შესაბამის ასაკში ჯდებოდნენ. ერთი სიტყვით, ლეგიონერებზე ნაკლებად გავამახვილეთ ყურადღება. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე ვერც მოვხვედრილიყავით. საბედნიეროდ, გუნდში გვყავს ისეთი ლეგიონერები, რომლებსაც ასაკის მიხედვით აქვთ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაშის უფლება.“

ევროპის ჩემპიონატი 87 წელს დაბადებულთათვისაა. საქართველოს ნაკრებში ექვსი მოთამაშეა, რომლებიც 87-წლიანები არიან, დანარჩენები კი - უფრო პატარები. ესეც ნაკრები, რომლებსაც დაბადების წლების მიხედვით გთავაზობთ: სანდრო ნამორაძე (89), ბექა ქენქაძე (88), სანდრო რუსიშვილი (91), გიორგი ხვედელიანი (88), ნოდარ რაფავა (87), ვასილ ლუტიძე (88), მიხეილ ბალათურია (87), დავით ბაქრაძე (89), ზურაბ რურუა (87), გიორგი ცირეკიძე (87), ტატო ნიკოლეიშვილი (87), ვლადიმერ ბერძენიშვილი (89), დავით ქაჯაია (87).

ხვედელიანი რუსეთში „მაიაკში“ თამაშობს, ბალათურია - მოსკოვის „დინამოში“, რურუა - „ცსკა“-ში.



ორადეაში ქართველ წყალბურთელებს რთული მატჩები ელით.

# როგორ იქცა ბრინჯაო ბაჯაღლო ოქროდ

ვასილ უდუმაშვილი

ძველი საფეხბურთო ჭეშმარიტებაა - ფეხბურთს თამაშობს ყველა, გერმანია კი იგებს - ასე გამოვიდა ამჯერადაც. სისულელეა, - იტყვით თქვენ, - გაიმარჯვა იტალიამ და არა გერმანიამ.

რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, მაგრამ ბოლომდე არა. ჩემპიონი მართლაც იტალია გახდა, მოიგეს კი, როგორც ყოველთვის, გერმანელებმა. ყოველ შემთხვევაში, ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

### რისი ეშინოდათ გერმანელებს

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გერმანიაში კამათობდნენ, მოიტანდა თუ არა მუნდიალი სასურველ ფინანსურ მოგებას.

მიუხედავად იმისა, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გერმანული ბანკის Postbank-ის სპეციალისტებმა ივარაუდეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიის ეკონომიკას, სულ ცოტა, ნახევარპროცენტიან ნამატს მისცემს (რაც საკმაოდ სოლიდური მაჩვენებელია), სკეპტიკოსებს მაინც არ სჯეროდათ. შემოსავლები იმ დროს მხოლოდ ჰიპოტეტურად გამოიყურებოდა. არადა, მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობისას ტურისტულ, სატრანსპორტო და სამშენებლო დარგების მოდერნიზაციაში 6 მილიონი ევრო ჩაიდო. გერმანელები შიშობდნენ, რომ დახარჯული თანხა მოგებას არ მოიტანდა. თუმცა, შიში ამაო გამოდგა.



ოქროს თასი იტალიას ერგო, ოქროს მთები - გერმანიას.

### არავის უზარალია

და აი, ჩემპიონატი დასრულდა. გახდა თუ არა იგი ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთივე მომხიბვლელი, როგორც ყველაფერი, რაც ივნის-ივლისში ხდებოდა? თუ ისეთივე არასახარბიელო გამოდგა, როგორ მუნდიალზე გამართული არაერთი მატჩი. რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგები ჯერ არ დაუთვლიათ. ფულის დათვლა სერიოზული საქმეა და გერმანელები ამ საკითხსაც საოცარი პედანტიზმით მუდგნენ. თუმცა მთავარი პასუხი მანამდე იყო ცნობილი, სანამ ჩემპიონატის ბოლო მატჩში მსაჯის ფინალური სასტვენი გაისმებოდა. ეკონომიკური თვალსაზრისით ჩემპიონატმა გაამართლა და თანაც ძალიან.

წაგებაში არავინ დარჩენილა. გერმანიის მრეწველობის არც ერთი დარგი - ტურისტული და სასტუმრო ბიზნესი, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის, კვების მრეწველობის და მშენებლობის - ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ შემოსავლები ერთიორად გაიზარდა. სხვაგვარად როგორ იქნებოდა - მსოფლიო ჩემპიონატზე ხომ მთელი მსოფლიოდან მოსალოდნელი ერთი მილიონი ტურისტის ნაცვლად ორი მილიონი ჩავიდა. თითოეულ მათგანს სჭირდებოდა ღამის გასათევი, კვება, გადაადგილება. გერმანიაც დიდი სიამოვნებით (ოღონდ, რასაკვირველია, არაუსასყიდლოდ) სათავაზობდა ტურისტებს ნებისმიერი სახის მომსახურებას.

### Deutsche Bahn მთავარი მაგისტრალი

გერმანული სარკინიგზო კონცერნი Deutsche Bahn მსოფლიო ჩემპიონატამდე ვარაუდობდა, რომ მუნდიალის დღეებში 5 მილიონამდე „ფეხბურთის“ მგზავრს გადაიყვანდა. რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა. Deutsche Bahn-ს დამატებით 370 რეგიონული მატარებლის გამოყენება დასჭირდა და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 15 მილიონ ადამიანს მიაღწია. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რეალურმა მოგებამ მოსალოდნელს სამჯერ გადააჭარბა და დაახლოებით 3 მილიარდი ევრო შეადგინა. ეს მაშინ, როდესაც მატარებლებში ადგილების მუდმივი ნაკლებობა იყო.

ურიგო შემოსავალი არც საჰაერო ტრანსპორტს და ავტობუსების ფირმებს მიუღიათ - შეკვეთების რაოდენობამ 9-ჯერ გადააჭარბა მოსალოდნელს.

### სასტუმრო - სტუმარს, ფული - მფლობელს

შემოსავლები სასტუმრო ბიზნესიდან საერთოდ ცალკე თემაა. ჯერ კიდევ 1999 წელს გამოაცხადეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას სტუმრებს სასტუმროს ნომრებს 2003 წლის ფასებით მიაქირავებენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გერმანიაში სასტუმროს ნომრის საშუალო ფასი ღამეში 187 ევრო იყო. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფიფამ ჩამოაყალიბა საშუამავლო კომპანია WCAS, რომელიც აგვარებდა ტურისტებისა და სასტუმროს მფლობელების ურთიერთობას და ამან ფასები კიდევ უფრო გაზარდა. ახლა იმის თვლას არ დავიწყებთ, რა მოგება ნახეს სასტუმროების მფლობელებმა. გაგაცნობთ WCAS-ს მონაცემებს. სასტუმროს ნომრების შეკვეთების სია ასეთია. ბრაზილია - 52 000 ღამე, ინგლისი - 39 000, მექსიკა - 35 000, აშშ - 27 000, არგენტინა და იაპონია - 16 000-16 000, იტალია, ჰოლანდია და ავსტრალია - 12,5 000-12,5 000. ახლა, თუ არ გეზარებათ, თავად დათვალეთ, რა შემოსავლები ნახეს სასტუმროს მფლობელებმა და შუამავალმა ფირმამ.

### მილიონობით შემწვარი ძეხვი

შემოსავლის გარეშე არც უამრავი რესტორანი, ბარი და ლუდხანა დარჩენილა. უდავო ლიდერებად ამ სფეროში მოძრავი ლუდხანები და სასოსისეები იქცნენ, რომლებიც ბრანდენბურგის კარიბჭესთან მოაწყვეს, სადაც მატჩების პირდაპირი ტელეტრანსლაციები ეწყობოდა. ჩემპიონატის პირველ კვირაში მოძრავი სასოსისეებისა და ლუდხანების მფლობელები ამბობდნენ, რომ წლიური შემოსავალი მიიღეს. კვების მრეწველობის დარგის არც სხვა დაწესებულებები დარჩენილან მოგების გარეშე. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც სტადიონებთან ახლოს მდებარეობდნენ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მარტო ბერლინში ყოველდღიურად ნახევარ მილიონამდე შემწვარი ძეხვი იყიდებოდა.

### ვინ დალია გერმანული ლუდი?

ლუდი ცალკე თემაა. „მსოფლიო ჩემპიონატის დროს 40 პროცენტით მეტი ლუდი გავყიდეთ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვაკეთებთ“, - აღფრთოვანებით აღნიშნა კიოლნის ლუდსახარში ქარხნის მფლობელმა. ანალოგიური შედეგით გერმანიის ნებისმიერი რეგიონი დაიკვეხნის. ბევრს მიაჩნია, რომ ლუდის წყურვილის გრძნობა გულშემატკივრებში არა მარტო ცხელმა ამინდმა, არამედ გერმანიის ნაკრების წარმატებულმა თამაშმაც გააღვივა. ადგილობრივ ფანებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ გერმანიაში ჩასული ტურისტები. ინგლისელმა ფანებმა კი ლუდის სმის ყველა რეკორდი დაამხეს. ნიურნბერგში, შტუტგარტსა და კიოლნში, სადაც თამაშობდა ინგლისის ნაკრები, ყოველ საღამოს ლუდის მარაგი ამოწურული იყო. ჩემპიონატის ბოლოს კი ბოთლის ლუდის დეფიციტიც გაჩნდა.

### ქუდიდან პრეზერვატივამდე

ვაჭრობის სფეროში ყველაზე დიდი შემოსავალი ფანური ატრიბუტიკით მოვაჭრე გამყიდველებმა მიიღეს. იყიდებოდა ყველაფერი, რასაც კი მსოფლიო ჩემპიონატის ლოგო ეხატა, ქუდით დაწყებული და პრეზერვატივით დამთავრებული. ყველაზე დიდი მოთხოვნილება კი გერმანიის დროშებზე იყო. ჩემპიონატის პერიოდში 10 მილიონი დროშა გაიყიდა. ყველაზე იაფი 2-3 ევრო ღირდა, ზოგიერთის ფასი კი 100 ევროს აჭარბებდა. აღარაფერს ვამბობთ გერმანიის ნაკრების მაისურებსა და შავ-ყვითელ-წითელ პარიკებზე. თანაც, მხოლოდ გერმანიის ნაკრების ატრიბუტიკა როდი სარგებლობდა დიდი პოპულარობით. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ დარგში შემოსავლები ორი მილიარდით უფრო მეტი შევიდა, ვიდრე ელოდნენ. ზუსტი ციფრების დათვლა თითქმის შეუძლებელია, რადგან წვრილი მოვაჭრეების უმეტესობას მთელ მსოფლიოში არ უყვარს ზუსტი ციფრების ჩვენება. დიდი მოგება ნახეს იმ მაღაზიებმაც, რომლებმაც მუნდიალის წინ ტელევიზორების გაყიდვა დაიწყეს. მაგალითად: მაისში ტელევიზორების გაყიდვამ ხუთჯერ გადააჭარბა თვიურ ნორმას.

### აბრამოვიჩის შენატანი გერმანულ ეკონომიკაში

მოკლედ, გერმანიაში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩავიდნენ ტურისტები და იქ საფულეები დააცარიელეს. თუმცა ეს ჩვეულებრივ ხალხზეა საუბარი. მუნდიალს კი VIP სტუმრებიც ჰყავდა. იმ ქალაქებში, სადაც საუდის არაბეთის ნაკრები თამაშობდა, არაბმა შეიხებმა ელიტური სასტუმროების მთელი სართულები დაიქირავეს. თავადაც მიხვდებით, რომ ისინი გერმანიაში მომჭირნედ არ იცხოვრებდნენ. შეიხებს არც ცნობილი მილიარდერები ჩამორჩნენ. შესამჩნევი შენატანი გააკეთა გერმანულ ეკონომიკაში რომან აბრამოვიჩმაც. „ბილდის“ ინფორმაციით, „ჩელსის“ მფლობელმა 1,5 მილიონი ევროს მატჩებზე დასასწრები ბილეთები შეიძინა. მუნდიალის 12 სტადიონიდან 10-ზე აბრამოვიჩს VIP ლოჟა ჰქონდა ნაყიდი (ერთი ბილეთი ასეთ ლოჟაში, რომელშიც სულ ათი ადამიანი ეტევა, 3 000 ევრო ღირდა). დაუმატეთ ამას სადგომი ლიუბეკის პორტში, რომელიც მისტერ აბრამოვიჩმა თავისი იახტის „პელროუს“ გასაჩერებლად დაიქირავა, ვერტმფრენი და სასტუმროს ნომრები... ალბათ 1,5 მილიონზე ნაკლები რუს მილიარდერს არც ეს დაუჯდებოდა.

სოლიდური თანხა დახარჯეს გერმანიაში ვარსკვლავი ფეხბურთელების მეუღლეებმაც. გაზეთ „სანდი ტაიმსის“ ინფორმაციით, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელების მეუღლეებმა მარტო საყიდლებზე დახარჯეს მილიონნახევარი ევრო.

### გერმანიას რაღა ერგო

ცხადია, ამ ფულის უდიდესი ნაწილი კერძო პირების ანგარიშზე აღმოჩნდა. რა მოგება ნახა გერმანიამ? გადასახადები, რომელიც გარმანიაში საკმაოდ მაღალია. მაგრამ მთავარი ეს როდია. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წყალობით გერმანიაში 50 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. კიდევ ერთი პლუსი. მთელმა მსოფლიომ დაინახა გერმანიის ახალი სახე. მსოფლიო მიხვდა, რომ ეს ქვეყანა ტურისტული თვალსაზრისითაც მომხიბვლელია, რაც უკვე სამომავლო პერსპექტივაა.

## საქმიანი ჰიდინკი

რუსეთის ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი უკვე ორი დღეა, რაც მოსკოვშია და უკვე პირველი რუსული ინტერვიუც მისცა.

**- რისი გაკეთება მოასწარით მოსკოვში სამსახურებრივი თუ სხვა თვალსაზრისით?**

- რუსეთში საქმიანი ვიზიტით ჩამოვედი. შევხვდი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოს, ვესაუბრე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელსაც. მოსკოვის ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად კი დრო არ მეყო.

**- რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მუტკოსთან საუბრის შემდეგ?**

- ძალიან კარგი. რუსეთში ჩემი პერსონის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ, რასაც არ მოველოდი.

**- უკვე გადაწყვიტეთ თუ არა, ვინ იქნებიან თქვენი თანაშემწეები?**

- ჯერჯერობით სამწვრთნელო შტაბში მხოლოდ რუსეთის ახალგაზრული ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრ ბოროდიუკი შედის. მას უკვე რამდენჯერმე ვესაუბრე და კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**- რა დაევალება ბოროდიუკს?**

- რა უნდა დაევალოს? ახალგაზრდული ნაკრები აბარია. ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. მე კი, შეძლებისდაგვარად, დავეხმარები.

**- თუ საიდუმლო არ არის, რუსეთის ნაკრების მონაწილეობით რამდენი მატჩი გაქვთ ნანახი?**

- შვიდი თუ რვა. რა თქმა უნდა, ყველა ვიდეოჩანაწერით.

**- ალბათ უკვე იცით, თუ ვის არ მიიწვევთ ნაკრებში იმ ფეხბურთელებიდან, რომელთა ნახვაც შეძელით?**

- შემადგენლობაზე უახლოეს დღეებში ვიფიქრებ. რა თქმა უნდა, ბოროდიუკიც დამეხმარება, რუს ფეხბურთელებს ის უკეთ იცნობს.

**- რუსეთის ჩემპიონატის მატჩებს თუ დაესწრებით?**

- აუცილებლად ვნახავ „ზენიტისა“ და ცსკა-ს მატჩს. მინდა რეგიონებშიც ჩავიდე თამაშების სანახავად.

**- ალბათ უკვე გირჩიეს, რომელი კლუბის ფეხბურთელებზე ღირს ყურადღების გამახვილება.**

- რა თქმა უნდა. ნაკრების კანდიდატთა სიაც კი მომცეს. თუმცა არჩევანს მაინც მე გავაკეთებ. შევეცდები ყველა კანდიდატი ვნახო საქმეში.

**- თქვენი აზრით, თუ ჰგავს რაიმეთი რუსეთის ნაკრები ავსტრალიის ან სამხრეთ კორეის გუნდებს?**

- ყველა ქვეყანაში საკუთარი სტილი აქვთ გამომუშავებული. ასე რომ, შედარება ძალიან ძნელია. როდესაც კორეაში ჩავედი, დავინახე, რომ გუნდი ფაქტობრივად არქაულ ფეხბურთს თამაშობდა. შევეცადე კორეელებისთვის თანამედროვე ფეხბურთი მესწავლებინა. ავსტრალიაში კი საერთოდ განსხვავებული საფეხბურთო კულტურაა. იქაურ კლუბებში ბევრი ბრიტანელი თამაშობს, ნაკრებში კი - ბრიტანეთში მოთამაშე ფეხბურთელები.

**- თქვენ ფეხბურთელებს არჩევთ თქვენს მიერ ჩამოყალიბებული სქემისთვის თუ სათამაშო სქემას ადგენთ იმ ფეხბურთელების მიხედვით, რომლებიც გყავთ?**

- ამ კითხვაზე ერთგვაროვან პასუხს ვერ მოგცემთ. გააჩნია, რა და როგორ ხდება. ერთი რამ ზუსტად შემიძლია გითხრათ: თუ საერთაშორისო არენაზე თამაშობს ფეხბურთელი, ის შესაბამისი დონის უნდა იყოს. მწვრთნელს სწორედ ასეთი ფეხბურთელები უნდა ჰყავდეს და მაშინ ტაქტიკისა და სტრატეგიის შერჩევა უკვე იოლია.

**- რა რეაქცია გქონდათ, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე იტალია-ავსტრალიის მატჩში მსაჯმა ავსტრალიელთა კარში ბოლო წუთზე დანიშნა პენალტი?**

- თავდაპირველად ძალიან არ აღელვებულვარ, რადგან სამწვრთნელო სკამიდან ზუსტად არ ჩანდა რა მოხდა. როდესაც ამ ეპიზოდის ჩანაწერი ვნახე, გავცეცხლდი. პენალტი ნამდვილად არ ყოფილა.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრალიის ნაკრების თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია.

**- რუსეთის ნაკრებთან ორწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ. აპირებთ თუ არა ამ კონტრაქტის გაგრძელებას?**

- ორი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დაიწყება. ეს ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ კონტრაქტის გაგრძელება მხოლოდ ჩემზე ხომ არ არის დამოკიდებული. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ორი წლის შემდეგ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა დამითხოვოს.

# პრემიერლიგას სერია A დაემართა

ინგლისურმა პრემიერლიგამ იტალიურ სერია ა-ს ტოლი არ დაუდო და საფეხბურთო სკანდალი ახლა ნისლიან ალბიონს ემუქრება. ბრიტანული გამოცემა „ნიუს ოფ ზე უორლდის“ ინფორმაციით, პრემიერლიგის ერთბაშად შვიდი კლუბი ფეხბურთელთა უკანონო ტრანსფერების განხორციელებაშია ბრალდებული.




გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ შვიდივე კლუბის ხელმძღვანელობა კორუფციულ მაქინაციაშია გახვეული. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ სად ქრებოდა ზემოხსენებული უკანონო ტრანსფერებიდან შემოსული თანხები.

ტრანსფერების საქმის გამომძიებელთა ჯგუფმა, რომელსაც ვინმე ლორდ სტივენსონი უდგას სათავეში, გამოარკვია, რომ ხელმძღვანელთა გარდა, ამ საქმეში კონკრეტული ფეხბურთელები და მათი აგენტებიც არიან გახვეულნი.

ჯერჯერობით პოლიციაში პროკურატურიდან ელიან ნებართვას, რომლის დადებითი პასუხის შემთხვევაში მოისმინება ყველა ეჭვმიტანილის სატელეფონო საუბარი - როგორც მობილურ, ისე ბინისა და ოფისის ტელეფონებზე. გადამოწმდება მათი საბანკო ანგარიშებიც.

გამოძიების შედეგებს ლორდ სტივენსონის ჯგუფი ოფიციალურად სექტემბერში გამოაქვეყნებს. ლორდის თქმით, ტრანსფერების საქმის გახსნის შემთხვევაში, ბევრ ინგლისურ კლუბს, ფეხბურთელსა და აგენტს გისოსებს მიღმა ჯდომა მოუწევს. გამოძიების მსვლელობისას ყველა ახალი დეტალი დაუყოვნებლივ ეცნობება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას და პრემიერლიგას. ინგლისელები განაჩენის მოლოდინში არიან.

იმავე „ნიუს ოფ ზე უორლდის“ ცნობით, გამოძიება 2004 წლის 1 იანვრიდან დღემდე განხორციელებულ ყველა ტრანსფერს გადაამოწმებს. თუმცა, პრემიერლიგის თავკაცის რიჩარდ სკადმორის განცხადებით, ის პირადად უზრუნველყოფს გამოძიების მსვლელობაში კლუბთა ხელმძღვანელობის ჩაურევლობას.

რაც შეეხება ამჟამად მიმდინარე ინგლისურ ტრანსფერებს, რამდენიმე მათგანი უკვე ჩაიშალა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის რუუდ ვან ნისტელროის თაობაზე მადრიდის „რეალთან“ მოლაპარაკება შეწყვიტა. „სამეფო გუნდს“ „წითელი ეშმაკუნების“ მიერ ნათხოვნი 22 მილიონი გირვანქა ებევრა.

წარუმატებლად დასრულდა ლონდონის „ჩელსის“ ოლიგარქი მფლობელის რომან აბრამოვიჩის ახალი რეკორდისკენ სვლაც. აბრამოვიჩი „მილანის“ ბრაზილიელ ნახევარმცველში 70 მილიონ ფუნტ სტერლინგს იხდიდა, თუმცა „როსონერის“ ხელმძღვანელობამ კატეგორიული უარი განაცხადა ბრაზილიელის გაყიდვაზე.

უახლოეს დღეებში კი „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების მარცხენა მცველი ეშლი კოული, სავარაუდოდ, „არისტოკრატთა“ მაისურას მოირგებს. ლონდონის ორ კლუბს შორის მოლაპარაკებები ჯერაც გრძელდება და იმ შემთხვევაში დასრულდება „ჩელსის“ სასარგებლოდ, თუ რომან აბრამოვიჩი კოულის საყიდელ 16 მილიონ ფუნტ სტერლინგს „გამონახავს“.

თავის დროზე, როცა კოულმა „მეთოფეებთან“ ხელშეკრულება გააფორმა, კონტრაქტის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნული იყო, რომ ფეხბურთელი იმ შემთხვევაში დატოვებს კლუბს, თუ მის სანაცვლოდ ვინმე 16 მილიონ გირვანქას გადაიხდის.

პრემიერლიგის კიდევ ერთი კლუბის „ასტონ ვილას“ ფეხბურთელები კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ გუნდის თავკაცით დევიდ ოლირით - ირლანდიელის რწმენა დავკარგეთო. მოთამაშეები ოლირის თაობაზე კლუბის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან დუგუ ელისთან აპირებენ ჩივილს.

ერთ-ერთი ინგლისური გამოცემა იმასაც ირწმუნება, რომ „ასტონ ვილას“ ფეხბურთელები ელისთან შეხვედრისას ოლირის გადადგომას მოითხოვენ.

ერთი სიტყვით, ინგლისურ ფეხბურთში დიდი არეულობაა. თუ ისე მოხდა, რომ ტრანსფერებთან დაკავშირებული უკანონობა დამტკიცდა, პრემიერლიგის შვიდი კლუბი „იუვენტუსის“, ფიორენტინას“, „ლაციოსა“ და „მილანის“ ბედს გაიზიარებს.

# არაპუნქტუალური „მონსტრი“

თანამედროვე ფეხბურთი უმაღლესი დონის მეკარეების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. პეტერ ჩეხი, იკერ კასილასი, დიდა, იენს ლემანი, პოლ რობინსონი ნამდვილად ღირსეულად იცავენ კარს. თუმცა, განვლილ მუნდიალზე პირველობა „სკუადრა აძურას“ 28 წლის კარის დარაჯს, მსოფლიო ჩემპიონ ჯანლუიჯი ბუფონს ხვდა წილად.

„ბუფონში ერთად არის თავმოყრილი ყველა ის თვისება, რომელიც წმინდა სისხლის მეკარეს უნდა ჰქონდეს - სწრაფი რეაქცია, ორიენტაციის უნარი, მოედანზე შექმნილი მდგომარეობის შესაფერისად მოქმედება და, რაც მთავარია, საიმედოობა“, - ლეგენდარული დინო ძოფის კომპლიმენტი ბევრისმთქმელია.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯიჯი პლანეტის უძვირესი მეკარეა. 2001 წელს „იუვენტუსმა“ ახალგაზრდა კიპერის სანაცვლოდ „პარმას“ რეკორდული თანხა - 50 მილიონი ევრო გადაუხადა. თქმა არ უნდა, „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობა დღემდე არ ნანობს მასში გადახდილ მილიონობით ევროს.



ჯანლუიჯი ბუფონი იტალიაში, მარმარილოს წარმოებით განთქმულ ქალაქ კარარაში 28 წლის წინ, 28 იანვარს დაიბადა. ბუფონების სპორტულ ოჯახში ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ჯიჯიც სპორტს გაჰყვებოდა. დედა, მარია-სტელია, თავის დროზე იტალიაში ბადროს უძლიერესი მტყორცნელი იყო, მამა, ადრიანო - ცნობილი ძალოსანი. დები - გვენდალინა და ვერონიკა კი ფრენბურთით იყვნენ გატაცებულნი. თუმცა, ბუფონების დინასტიის ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელი გახლდათ ლორენცო ბუფონი, „მილანისა“ და იტალიის ეროვნული ნაკრების კარის დარაჯი. ძმისშვილის საფეხბურთო მომავალზე სწორედ მან მოახდინა დიდი გავლენა. პირველი ნაბიჯები მსოფლიო ჩემპიონმა მეკარემ ნახევარმცველის პოზიციაზე გადადგა, თუმცა, ბიძია ლორენცოს რჩევა ყურად იღო და მეტოქეთათვის გოლების გატანას, მათი დარტყმების მოგერიება ამჯობინა.

საინტერესოა, რომ ბუფონის კერპი სრულიად იტალიისთვის საყვარელი დინო ძოფი კი არა, კამერუნელი ტომი ნკონო გახლდათ. პატარა მეკარეც სწორედ დიდ აფრიკელს ბაძავდა.

ყველაზე მეტად ბავშვობაში ჯიჯის საკუთარი გარეგნობა აკომპლექსებდა. თანაკლასელებმა გარეგნული სიმახინჯის გამო „მონსტრიც“ კი შეარქვეს. თუმცა, ეს სახელიც და ეს ამბავიც ძალიან მალე მიეცა დავიწყებას - ფეხბურთში მიღწეულმა წარმატებებმა ბუფონს სუსტის სქესის წარმომადგენლებში გაუთქვა სახელი.

საკლუბო დონეზე მისი დებიუტი 17 წლის ასაკში შედგა. პირველად „პარმას“ კარის დაცვა თვით „მილანის“ წინააღმდეგ მატჩში მოუხდა. ჭაბუკმა მეკარემ ისე ითამაშა, თითქოს უმაღლეს დონეზე პირველ კი არა, მეასე შეხვედრას მართავდა. იმ დღიდან ჯიჯი პარმელების კარის უცვლელი დარაჯი გახდა და ძირითადიდან იტალიის ნაკრების მეკარე ლუკა ბუჩი ამოაგდო.

მიწვევას არც „სკუადრა აძურადან“ დაუგვიანებია. 1997 წლის ოქტომბერში 19 წლის ბუფონი პირველად ჩადგა ეროვნული ნაკრების კარში. მოსკოვში, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში, ჯიჯიმ საიმედოდ შეცვალა ტრავმირებული ჯანლუკა პალიუკა.

1998 წელს „იუვენტუსის“ კიპერი ქვეყნის პირველ გუნდთან ერთად საფრანგეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემართა. თუმცა, ჩემპიონატი ისე დასრულდა, ბუფონი ერთხელაც ვერ გავიდა მოედანზე სათამაშოდ. მაგრამ ის, რომ იტალიურ ფეხბურთში ახალი ვარსკვლავი იბადებოდა, ეჭვის საბაბს არ იძლეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების მეორე ნახევარში „პარმა“ სერია ა-ს წამყვან კლუბად მოიაზრებოდა - ფლობდა უეფას თასსა და იტალიის თასს, გამოდიოდა ჩემპიონთა ლიგაში - აშკარა იყო, რომ მისი დონის მეკარე სხვა, უფრო დიდ კლუბში თამაშს იმსახურებდა. მით უმეტეს, რომ ჯანლუიჯის „სკუდეტოს“ მოგება უნდოდა, „პარმაში“ კი ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ამიტომ 2001 წელს ბუფონმა თანხმობა განაცხადა „იუვენტუსში“ გადასვლაზე და დინო ძოფის, სტეფანო ტაკონისა და ანჯელო პერუცის მემკვიდრედ იქცა.

ტურინულ კლუბთან ერთად ბუფონმა მოიგო თითქმის ყველაფერი - სამი „სკუდეტო“, ორჯერ იტალიის სუპერთასი. ჯერჯერობით ჩემპიონთა ლიგა დარჩა მოსაგები, რომელსაც წელს, თუ „იუვესთან“ ერთად სერია ბ-ში დარჩება, ნამდვილად ვერ მოიგებს. ჯანლუიჯი არც ინდივიდუალურ პრიზებს უჩივის - სამ-სამჯერ გახდა სერია ა-სა და მსოფლიოს საუკეთესო მეკარე.

„ტიტული ბევრი არასდროს არ არის. არც გამარჯვებაა მოსაბეზრებელი. ამიტომ, იმედი მაქვს, ჩემი კარიერა ხანგრძლივი, წარმატებული და ჯილდოებით სავსე იქნება“.

ერთადერთი, რის გამოც მუდმივად აკრიტიკებენ, მისი უზომო არაპუნქტუალურობაა. სულ აგვიანებს ვარჯიშზე და მისი მორჯულება დღემდე ვერავინ მოახერხა, თვით ყველაზე მკაცრმა ფაბიო კაპელომაც კი. ჯიჯი ვერც სოლიდურმა ჯარიმებმა გამოასწორეს. „ძილის წინ ჩემს თავს ვეუბნები, რომ ხვალ აუცილებლად დროზე მივალ ვარჯიშზე, მაგრამ რა ვქნა, არ გამომდის. დაგვიანებას ვარჯიშის დამთავრების შემდეგ დარჩენით ვანაზღაურებ“, - გამოტყდა იტალიელი მეკარე.

გასულ ზაფხულს მომხდარმა ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რა განსხვავებაა კარგ და ძალიან კარგ მეკარეს შორის. იტალიის სუპერთასისთვის ბრძოლაში „იუვენტუსი“ და „მილანი“ ერთმანეთს ხვდებოდნენ, როცა კაკასთან შეჯახების შედეგად „ბებერი ქალბატონის“ მეკარე დაშავდა და სამთვიანი იძულებითი დასვენება მოუწია. „მილანმა“, „დანაშაულის“ გამოსყიდვის მიზნით, ტურინელებს სათადარიგო, მაგრამ გამოცდილი და საიმედო მეკარე კრისტიან აბიატი დაუთმო. აბიატი მართლაც საიმედოდ იცავდა ტურინელთა კარს, თუმცა სამი თვის შემდეგ, როცა გუნდში ჯანლუიჯი ბუფონი დაბრუნდა, „ბებერი ქალბატონის“ გულშემატკივრებს ნამდვილი დღესასწაული ჰქონდათ.

ზამთარის სატრანსფერო სეზონში ბუფონით ინტერესდებოდნენ ისეთი გრანდები, როგორებიც არიან მადრიდის „რეალი“, „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, თუმცა ბუფონმა უარი განცხადა და „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. მაშინ ჯიჯი ვერც კი იფიქრებდა, რა ბედი ელოდა ტურინულ კლუბს. მომავალი სეზონიდან „იუვენტუსი“ სერია ბ-ში ითამაშებს, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, მის კარს კვლავაც მსოფლიოს საუკეთესო მეკარე დაიცავს თუ არა.

## ჩინეთში რუსი ძალოსნები არ იქნებიან

რუსი ძალოსნები შესაძლოა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე არ დაუშვან. გუშინ კიდევ ერთი რუსი ძალოსანი გამოიჭირეს დოპინგის გამოყენებაზე. დოპინგზე პირველი ჩავარდა ათენის ოლიმპიური ჩემპიონი დმიტრი ბერესტოვი, რომელსაც ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მეორე აღმოჩნდა 17 წლის ევგენი პისარევი, რომელსაც ალბათ ასევე ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის. ორიოდე დღის წინ გამოიჭირეს კიდევ ერთი რუსი ძალოსანი, რომლის გვარი ჯერჯერობით არ ხმაურდება. თუ მესამე რუს სპორტსმენსაც დაუმტკიცდა დოპინგის გამოყენება, გამორიცხული არ არის, რომ მთლიანად რუსეთის ნაკრებს მიეცეს დისკვალიფიკაცია და რუსი ძალოსნები ოლიმპიური თამაშებიდან მოხსნან.

## რა ღირს ფაბრეგასი?

მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალს“ უკვე დიდი ხანია სურს „არსენალის“ ესპანელი ნახევარმცველის სესკ ფაბრეგასის შეძენა. თუმცა „მეთოფეები“ ნიჭიერ ფეხბურთელს ვერაფრით ვერ ელევიან და თანაც კონტრაქტში, რომელიც ფაბრეგასსა და „არსენალს“ აკავშირებს, დევს პუნქტი, რომლის თანახმად სესკის ტრანსფერი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს „ბარსელონასთან“. როგორც ჩანს, ლონდონელებმა კატალონიურ კლუბთან ყველაფერი მოაგვარეს, ვინაიდან ესპანურ მედიაში გაჩნდა ინფორმაიცა, რომ ტრანსფერი უკვე რეალური გახდა. „არსენალი“ თანახმაა გაუშვას ფაბრეგასი „რეალში“, ოღონდ მის სანაცვლოდ სამეფო კლუბისგან ორი ბრაზილიელი - რობინიო და ჟულიო ბაპტისტა უნდა მიიღოს. თუ ფაბიო კაპელო ამ წინადადებას დათანხმდება, სესკ ფაბრეგასის ტრანსფერი შესაძლოა შედგეს კიდეც.

## სკუდეტოს „ინტერს“ გადასცემენ

იტალიური ინტერნეტ-გამოცემების ინფორმაციით, უახლოესი ათი დღის განმავლობაში 2005-06 წლების ჩემპიონის ტიტულს „ინტერს“ მიაკუთვნებენ. 28 ივლისს შედგება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა, რომელზეც „ინტერი“ იტალიის ჩემპიონად გამოცხადდება. მილანური კლუბი უკვე მზადაა ამ მოვლენისთვის, რადგან სულ რამდენიმე დღის წინ კომპანია Nike- მ წარადგინა „ინტერის“ ახალი ფორმა, რომელზეც იტალიის თასის მფლობელის ნიშანი მკერდიდან სახელოზეა გადატანილი, რათა ადგილი გათავისუფლდეს ჩემპიონის ნიშნისთვის.

## ანელკა „პორტსმუთში“ გადადის

ფრანგი ფორვარდი ნიკოლა ანელკა აცხადებს, რომ მომავალ სეზონში შესაძლოა ინგლისურ „პორტსმუთში“ აღმოჩნდეს. ამისთვის საჭიროა, რომ ბრიტანულმა კლუბმა თურქულ „ფენერბახჩეს“ ანელკას გამოსასყიდად საჭირო 8,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს. „ერთადერთი კლუბი, რომელიც ჩემი შეძენის თხოვნით დაუკავშირდა „ფენერბახჩეს“, „პორტსმუთია“. მე უკვე ვესაუბრე ჰარი რედნაპს. ის კარგად მიცნობს. თუ „პორტსმუთში“ აღმოვჩნდი, შევეცდები მწვრთნელის იმედები გავამართლო,“ - აცხადებს ანელკა.

## „ესპანიოლმა“ რუფეტე შეიძინა

კატალონიურმა „ესპანიოლმა“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა რუფეტესთან, რომელმაც ბოლო ხუთი სეზონი „ვალენსიაში“ გაატარა. 29 წლის ნახევარმცველი „ვალენსიამ“ უპრობლემოდ გაუშვა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად რუფეტეს კიდევ ერთი სეზონი უნდა ეთამაშა „ვალენსიაში“.

## ძამბროტა და ტურამი „ბარსელონაში“

„იუვენტუსის“ მცველებზე ახლა უდიდესი მოთხოვნილებაა. ჯანლუკა ძამბროტას, ლილიან ტურამის და ფაბიო კანავაროს შეძენა არაერთ კლუბს სურთ. რაც შეეხება კანავაროს, იგი ალბათ „რეალში“ გააგრძელებს კარიერას. ტურამი და ჰამბროტა კი კატალონიისკენ იღებენ გეზს. ტურინული კლუბი ამ ორ ფეხბურთელში 13.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს. „ბარსას“ მესვეურები გუშინ ჩაფრინდნენ ტურინში და, როგორც ამბობენ, ყველაფერზე შეუთანხმდნენ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებს.

## იტალიური დუეტი კამერუნში

ფრანკო ბარეზი და ანჯელო კოლომბო შესაძლოა კამერუნის ნაკრების მწვრთნელებად დაინიშნონ. რომელი მათგანი იქნება მთავარი მწვრთნელი და რომელი დამხმარე, ჯერჯერობით უცნობია. ბარეზის და ანჯელოს ერთად მუშაობის გამოცდილებაც აქვთ.

## თავდასხმა მსაჯზე

გაერთიანებული არაბეთის საემიროების საფეხბურთო კლუბ „ალ აჰლის“ ორი ფეხბურთელი აფრიკის ჩემპიონთა ლიგის მატჩის მსვლელობისას თავს დაესხა მსაჯს. ემად მოტები და შადი მუჰამედი ფინალური სასტვენისთანავე გამოეკიდნენ კამლანა კულიბალის და მისი გალახვა სცადეს.

„ალ აჰლი“ დამარცხდა ანგარიშით 0:1. გუნდის 78-მატჩიანი წაუგებელი სერია ამ თამაშით შეწყდა.

## ახალი აბრამოვიჩი ბრიტანულ ფეხბურთში

რუსმა მულტიმილიონერმა ბიზნესმენმა ალექსანდრ გაიდამარკმა ბრიტანულ კლუბ „პორტსმუთის“ აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა.

რუსი მილიარდერის ვაჟი ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაინტერესდა „პორტსმუთით“. იანვარში ალექსანდრ გაიდამარკმა კლუბის აქციების 50% იყიდა, ამ დღეებში კი მან კლუბის ყოფილი მფლობელისგან მილან მანდარიჩისგან დარჩენილი აქციებიც გამოისყიდა და „პორტსმუთის“ ერთპიროვნული მმართველი გახდა.

გაიდამარკის მოსვლას ბრიტანულ ფეხბურთში საკმაოდ მშვიდად მიიღეს. მეტიც: ინგლისურ პრესაში ბევრს მიაჩნია, რომ გაიდამარკი ახალი აბრამოვიჩია და „პორტსმუთს“ ააყვავებს. უკვე ცნობილია, რომ ახალმა მფლობელმა „პორტსმუთის“ მწვრთნელს ჰარი რედნაპს სოლიდური თანხა გამოუყო ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

## ადრიანო არ იყიდება

მილანის" ინტერის" დირექტორმა გაბრიელე ორეალიმ განაცხადა, რომ კლუბის ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო არ გაიყიდება.

„ჩვენ არ ვაპირებთ ადრიანოს გაყიდვას. რობერტო მანჩინი აუცილებლად გაესაუბრება ფეხბურთელს და იგი „ინტერში" დარჩება", - ამბობს ორეალი.

შეგახსენებთ, რომ ადრიანომ გასული სეზონის ბოლოს გადაწყვიტა „ინტერის" დატოვება, ვინაიდან თანაგუნდელებს წაეჩხუბა. უფრო სწორად, ადრიანო ვერონმა აითვალწუნა და გალახა კიდეც.

## მატერაცის პასუხი

საფრანგეთის ნაკრების მცველმა ლილიან ტურამმა ზიდან-მატერაცის ინციდენტზე კომენტარი გააკეთა და ყველაფერში იტალიელი ფეხბურთელი დაადანაშაულა. ცხადია, მარკო ვალში არ დარჩა და გუშინ ტურამს უპასუხა.

„ტურამისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ გაიხსენებს, რომ ზიდანს ასეთი რამ პირველად არ გაუკეთებია. ის კი ცდილობს თანაგუნდელი გაამართლოს და ყველაფერს მე მაბრალებს. არ მესმის, საერთოდ როგორ შეიძლება ზიდანის გამართლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან სწორედ საფრანგეთის ნაკრები დაალალატა", - აცხადებს მატერაცი.

მარკო მატერაცისა და ტურამის სიტყვებს დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. სამაგიეროდ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს დღეს ფიფას დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც ამ ინციდენტის გამოძიებას ამთავრებს. გუშინ ამ ორგანოს ზიდანის ახსნა-განმარტებითი ბარათი უნდა მიეღო. დღეს კი დისციპლინარული კომიტეტი თავის ვერდიქტს გამოიტანს.

სავარაუდოა, რომ ორივე ფეხბურთელი დაისაჯოს. მატერაცის რამდენიმემატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემენ. რაც შეეხება ფეხბურთიდან წასულ ზიდანს, ცხადია, მას დისკვალიფიკაციით ვერავინ შეაშინებს. ერთადერთი, რითაც შესაძლოა ზიზუ დაისაჯოს, ისაა, რომ მას მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ჩამოართმევენ.

## დარდის გაქარვებაც ასე უნდა

ჩეხეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი აშკარად ჩააგდო. ჩეხთა ფორვად მილან ბაროშისთვის კი მუნდიალი ორმაგად უიღბლო აღმოჩნდა - მან ტურნირზე ტრავმაც მიიღო.

ბაროში ინგლისურ „ასტონ ვილაში" თამაშობს. მართალია, ბირმინგემულმა კლუბმა წინასასეზონო მზადება უკვე დაიწყო, მაგრამ მწვრთნელმა ბაროშს დასვენებისთვის დრო მისცა და მილანიც ახლა სამშობლოშია, სადაც ძალზე ორიგინალურად ცდილობს მუნდიალზე განცდილი წყენის დავიწყებას.

ჩეხურ გაზეთ „ბლეშკში" გამოქვეყნდა სკანდალური მასალა, რომლის თანახმადაც ამ რამდენიმე დღის წინ მილან ბაროში ღამის კლუბში იმყოფებოდა. ფეხბურთელი სასმელს ეტანებოდა, შემდეგ კი ისე დათვრა, რომ თავზე პრეზერვატივწამოცმული ცეკვავდა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ბაროშმა ყველაფრის ახსნა სცადა. ფეხბურთელი ამბობს, რომ მეგობრის ქორწილში იყო და უჩვეულო არაფერი გაუკეთებია.

## დანიელ ალვეშს „ლივერპული" უხმობს

„ლივერპულს" სურს „სევილიას" მცველის დანიელ ალვეშის შეძენა. ფეხბურთელთან განშორებას არც ესპანური კლუბი უარობს, თუმცა „სევილიას" პრეზიდენტი ალვეშში 20 მილიონ დოლარს ითხოვს. ჯერჯერობით პრობლემა მხოლოდ ესაა, ვინაიდან მერსისაიდული კლუბი მხოლოდ 13 მილიონის გადახდაზეა თანახმა.

## პეკერმანმა ნაკრები დატოვა

არგენტინის ნაკრების ასპარეზობას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. არგენტინის ნაკრების გულშემატკივართა უმეტესობის აზრით, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი გუნდი მწვრთნელი ხოსე პეკერმანია, რომელმაც თამაშის საშუალება არ მისცა ტევესსა და მესის, ხოლო გერმანელებთან გამართულ საბედისწერო მატჩში უპატიებელი შეცდომა დაუშვა, როცა მინდორი დაატოვებინა რიკელმეს.

არგენტინაში დაბრუნებისთანავე პეკერმანმა განაცხადა, რომ თანამდებობას დატოვებდა, თუმცა არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც გულშემატკივრებისგან განსხვავებული აზრი ჰქონდა, მწვრთნელს არ უშვებდა.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ პეკერმანი მაინც გადადგა. „პეკერმანმა მითხრა, რომ ნაკრებში მუშაობა აღარ შეუძლია და მე მისი თხოვნა დავაკმაყოფილე", - განაცხადა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ.

არგენტინულმა გაზეთმა „ოლამ" პეკერმანის ათი სავარაუდო შემცვლელი დაასახელა. მათ შორის ყველაზე რეალურ კანდიდატებად დიეგო მარადონა, კარლოს ბილარდო და მარსელო ბიელსა მოიაზრებიან.

## ჭელიძე არ ვარჯიშობს

მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ფორვარდი გიორგი ჭელიძე გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს. რკინიგზელთა გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ქართველმა ფეხბურთელმა ჯერაც ვერ მოიშუშა ტრავმა.

## კლემენტე დიდი მწვრთნელია

სერბეთის ნაკრების ფორვარდმა მატეია კეჟმანმა აღიარა, რომ მას გაუხარდა ხავიერ კლემენტეს დანიშვნა სერბეთის მთავარი გუნდის მწვრთნელად.

„კლემენტე დიდი და გამოცდილი მწვრთნელია. პირადად მე ძალიან გამიხარდა, რომ ის ჩვენს გუნდს გაწვრთნის. სერბეთის ნაკრებში ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი თამაშობს და კლემენტესთან ერთად წარმატებები გვექნება", - აცხადებს კეჟმანი.

## ნოვოტნიმ ხორვატია აირჩია

ლევერკუზენის „ბაიერის" მცველი იენს ნოვოტნი ხორვატიაში გააგრძელებს კარიერას. ფეხბურთელი ზაგრების „დინამოში" გადავიდა.

32 წლის მცველმა „დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას წელიწადში 3 მილიონ ევროს გადაუხდიან.

# კახაბერ ჟვანია აღარ ხუმრობს

მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ცუდად დაიწყო და კარგად გააგრძელა და ცუდად დაასრულა. პლოვდივში მიმდინარე ტურნირის მეექვსე დღეს სამი ქართველი გავიდა რინგზე. 54 კგ წონაში სერბ ანდრეა ბოგდანოვიჩთან მოგების (35:20) შემდეგ ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკოლოზ იზორიამ ხორვატ მირსად აჰმეტთან თანაბარძალოვან შეხვედრაში 28:32 წააგო. 69 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით აგრძელებს სვლას კახაბერ ჟვანია, რომელმაც გზიდან ჩამოიშორა ესპანელი და მოლდაველი მეტოქეები და გუშინდელ მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში ირლანდიელი როი შეანიც მათ გზას გაუყენა. ნახევარფინალში გასული ჟვანია 21 ივლისს შეხვდება ბულგარელ სპას გენოვს, რომელმაც სერბი ზორან მიტროვიჩი დაამარცხა. 60-კგ-ში მომდევნო ოთაბრძოლა წააგო კონსტანტინე კუპატაძემ, რომელიც დამარცხდა ბელორუს ვაზგენ საფარანციანთან - 24:45.

# ბოკეს რბევის ექო



აფრიკის განადგურებით ავსტრალია რეიტინგში დაწინაურდა.

სამხრეთული რაგბის სამ ერზე ავსტრალიამ აფრიკა რომ მოსრა, ირბ-ის რეიტინგში მის ნაცვლად თავად მოკალათდა მესამე ადგილზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორიტეტებმა შერცხვენილი ბოკეს მწვრთნელის, ჯეიქ ვაითის გადაყენება მოითხოვეს, გურუმ კი მარცხი ზელანდიელ მსაჯსა და ზე 14-ის გუნდებს გადააბრალა. ამასობაში ოლ ბლექსმაც გამოაქვეყნა საბოკეო რაზმი და 15-ეულში ერთბაშად რვა კაცი გამოცვალა, ირბ-მა კი შვიდკაცის მსოფლიო სერიის ეტაპი ხუთი წლით უბოძა სამხრეთ ავსტრალიის დედაქალაქ ადელაიდს.

ვოლაბიზმა ბრისბენში ექვსჯერ დაალელოვა ბოკე და 49:0 მოუგო. ამით ავსტრალიამ რეიტინგის 129 წერტი მიითვალა, აფრიკამ კი ამდენივე დაკარგა და მეოთხე ადგილამდე დაეშვა. არადა, სულ რაღაც 11 თვის წინ ბოკე პირველობას უმიზნებდა. რაც შეეხება ბრისბენულ შედეგს, ასეთი სხვაობით სამ ერზე თამაში აქამდე არასოდეს დამთავრებულიყო, ავსტრალიას ამდენი ქულა და ლელო არასოდეს გაეტანა აფრიკისთვის და არც ამდენით ეძლია ქურციკეთი.

ერთი კვირით ადრე ზელანდიაში წაგებით კუდმომწვარმა ოზებმა გაიხარეს. 123 კეპის მფლობელმა კაპიტანმა ჯორჯ გრეგანმა ძალიან აქო ფორვარდები, რომელთაც თამაშის ბოლოს აჯობეს დაღლილ მეტოქეს. „გავს" ყველაზე მეტად ის ეამა, რომ, პირველად მის კარიერაში, გუნდმა იაპებს პირველ ტაიმშივე მოუყომარა საქმე და ბოლომდე მებრძოლ სტუმრებს ქულა ეგრეც არ აალებინა.

მაგრად ითამაშეს ვირტუოზმა ბეკებმა: სთივენ ლარქემმა (10), მეტ გიტომ (12) და კრის ლეითემმა (15), მაგრამ სკიპერიცა და გურუ ჯონ ქონოლიც აღიარებენ, რომ ორი კვირის თავზე, ბრისბენშივე, ბევრად ძლიერი მეტოქე, ზელანდია ჩააკითხავთ. ქონოლმა ბრძანა, სწორი გზით კი მივდივართ, მაგრამ ჯერაც იმდენი ნაკლი გვაქვს, რომ თუ რამე არ ვიღონეთ, ოლ ბლექსი მოგვაშთობსო.

სტარტზე კივებმა ოზებს შინ 32:12 მოუგეს. მეორედ შეყრაზე ვოლაბიზს გამარჯვება მართებს, რათა 2003 წელს დაკარგული ბლედისლოუს თასის დაბრუნების შანსი შეინარჩუნოს.

### ირბ-ის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ახალი ზელანდია | 9332 |
| 2 | საფრანგეთი | 8753 |
| 3 | ავსტრალია | 8688 |
| 4 | სამხრეთ აფრიკა | 8589 |
| 5 | ირლანდია | 8201 |
| 6 | ინგლისი | 7966 |
| 7 | შოტლანდია | 7772 |
| 8 | არგენტინა | 7749 |
| 9 | უელსი | 7634 |
| 10 | სამოა | 7386 |
| 11 | ფიჯი | 7315 |
| 12 | იტალია | 7211 |

### ჰონისმა წესი დააცვევინა

თამაში ვეტერანმა მესვეტემ სპირო ზავოსმაც მიმოიხილა. მენცარს ეგზომ უმწეო ბოკე აქამდე თურმე არასოდეს ენახა, რის გამოც ვოლაბიზის უცებ მოძლიერება არ სჯერა. სპირომ ძალიან აქო კივი რეფი პოლ ჰონისი, ვინც კარიერაში 38-ე ტესტი განსაჯა და თვისტომებში დაწინაურდა. ექსპერტი აღიარებს, რომ ოზთა პირველი ლელოს წინ შერკინებაში ბოკეს დაჯარიმებით მსაჯმა მასპინძლებს თავიდანვე ფორა მისცა, მაგრამ იმასაც იხსენებს, რომ მარბიელის გასინზინებით პირველ რაუნდში იგივე ქნა აფრიკელმა მსაჯმაც.

მენცარს ჰონისისა ის მოეწონა, რომ ბოლო სამ სეზონში პირველმა დააცვევინა წესები ბოკეს მრისხანე იარაღს, მიმხდომ დაცვას. რაც აფრიკელთა მოძღვარმა ჯეიქ ვაითმა ნაკრებში ეს სისტემა დანერგა, მსაჯები წესების წკიპზე მოთამაშე იაპებს მცირე ოფსაიდებს პატიობდნენ, რითაც ბოკე მეტოქეს გასაქანს არ აძლევდა, ამჯერად კი სამართალმა პური ჭამა. ამას დაემატა ოზთა წყვილი პივოტის (ლარქემი - გიტო) სისხარტე და მწყობრი ბევრჯერ გაირღვა.

ზავოსს არც იმის შენიშვნა დავიწყნია, რომ ჰონისი საკუთარ ინტუიციასა და თვალებს მიენდო, ვიდეო-რეფი ეგრეც არ მოიკითხა და სამჯერვე სწორად დაადგინა, რომ ლელოში შეტანილი ბურთი აფრიკელთა სათადარიგო ჰავბეკმა ფური დიუპრემ არ დაამიწებინა ოზებს. არადა, ვაითი ნამატჩევს ძალიან ემდუროდა ჰონისს: მის განქიქებას სრული ათი წუთიც მოანდომა, რაზეც მსაჯმა მედიას მიუგო: ეტყობა, დღეს განტევების ვაცი მე ვარ, ირბ-ის მეთვალყურის შეფასებით ოფსაიდის გამო ორჯერ მეტი ჯარიმა უნდა დამენიშნა და თუ ბოკე წაგების მიზეზს ჩემში ეძებს, კარგად ვერ ყოფილა მისი საქმეო.

### 110-პროცენტიანი მხარდაჭერა

ვაითი მთლად შორსმჭვრეტელურადაც ვერ მოიქცა, როცა, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ ჩიბილიკა აფრიკულ რაგბიში წამოწყებული რასობრივი ტრანსფორმაციის წყალობით დაწინაურებული მოთამაშეა, რომ ნაკრების მწვრთნელმა სულ თავი უნდა უქონოს ზანგ პოლიტიკოსებს, რათა მათ არ მოეჩვენოთ, რომ ერის სათაყვანო ბოკე ქვეყნის რასობრივ შემადგენლობას ადეკვატურად ვერ ასახავს და ამის გამო რაგბის თემს რისხვა არ დაატეხონ თავს.

პოლიტიკოსები იქით იყვნენ და, რაგბის კავშირის ახალი მულატი შეფი შარქსელი ორეგან ჰოსკინსი ვაითს თურმე 110-პროცენტით უჭერს მხარს. პრეზიდენტი ბრძანებს, ერთი მწარე მარცხი სულაც არ არის კატასტროფაო და იცდის, რათა ნახოს, თუ რას იზამს ბოკე შემდეგ სამ გასვლით მატჩში. ორეგანს ტურნეზე წასულ ბოკესთან გულახდილად უსაუბრია. შერისხულ მწვრთნელსაც ლამის ხატზე დაუფიცებია, ჩემს ერთგულებაში ეჭვი არ შეგეპაროთ, წამსვლელი არ ვარო.

ეჭვი კი აფრიკულ რაგბის თემს იმიტომ გაუჩნდა, რომ ვაითმა ზედ სამი ერის წინ ვაჭრობა გაუმართა კავშირს, 2007 წლის მსოფლიო თასის მომცველი კონტრაქტი ახლავე გამიგრძელეთ 2009 წლის ბრიტანელი ლომების ტურნეს ბოლომდე, თორემ ინგლისი მეპატიჟება და ყველა ნაკრების უფროსთა უფროსის, ე.წ. რაგბის დირექტორის პოსტს მთავაზობსო. ამაზე ჰოსკინსის უახლოესმა გარემოცვამ, პრეზიდენტის საბჭომ უარი სტკიცა პრეტენზიულ მწვრთნელს და ბიჭებიც შეშინდნენ, ემანდ შუა გზაზე არ მიგვატოვოს საყვარელმა მოძღვარმაო.

### სასწაულის იმედად

ვაითი გაიძახის, ჩემი მიზანთა მიზანი მსოფლიო თასის წინ ბოკეს მოძლიერებააო და იმას ვერ ჰგუობს, რომ ზე 14-ის გუნდები ეურჩებიან და ნაკრების კანდიდატებს იმ პოზიციებზე არ ათამაშებენ, რომლებსაც გურუ მიუთითებს. მისაბაძ მაგალითად ჯეიქს ზელანდია მოყავს. მისი ვერსიით, იქ ყველა ოლ ბლექს ნაკრების უფროსობა განკარგავს. ჰოდა, თურმე მწვრთნელს უბრძანებია, მალილი მულიაინა და ბაირონ კელეჰერი ჩიფსში გადავიდნენო და ამის მერე ამ ბიჭებს თამაშისთვის ძალიან მოუმატებიათ.

ბოკემ ვოლაბიზთან ხეირიანი ვერაფერი აჩვენა და ვეღარც ძველებური ჟინი გამოავლინა, მაგრამ ვაითს მაინც ეიმედება, რომ ამ შაბათს სასწაული მოხდება და აფრიკა ზელანდიას დაამარცხებს. ჯეიქი იხსენებს, რომ 1998 წელს ინგლისი 0:76 დამარცხდა იმავე ბრისბენში, მაგრამ ხუთ წელიწადში მსოფლიო თასი ავსტრალიაშივე შემართა. ჩაფლავებულ მიმხდომ დაცვაზე გურუ ამბობს, მთლად უნდა უარვყოთ, ან მეტოქე უკეთ ვბოჭოთო. მედიას ჰპირდება, იმათ გავჯორავ, ვინც წაგების შემდეგ სიცილის გუნებაზე იყვნენო.

ვაითი მართებულად შენიშნავს, რომ ამ ჯეელებს ცხოვრებაში არ უმუშავიათ და მოწაფეობიდან პირდაპირ პროფესიულ რაგბიში მოსულან, რის გამოც მარადიული საკაცობრიო ღირებულებანი ჯერ სათანადოდ ვერ შეუთვისებიათ. გურუს აზრით, კაცს სწორედ რომ მწარე მარცხი ჩაგაფიქრებს. ჯეიქი ამტკიცებს, რაც ბავშვობიდან რაგბის ვუცქერ, ბოკეს ეგზომ საძაგელი თამაში არ მახსოვსო და აღიარებს, გუნდი ბევრი მიწვრთნია, მაგრამ 0:49 არასოდეს წამიგია და ეგეც ვიცი: მდგომარეობის გამოსწორების მზა რეცეპტი არ არსებობსო.

### პორტუგალიას ხელი შეეშლება

ბრისბენის რბევის წინა დღით ავსტრალიის მეორე, „ა" ნაკრები, ვისაც ბრამბიზის წვერცანცარა შეფი ლორი ფიშერი წვრთნის, ადელაიდში ფიჯს ეთამაშა და შავი დღე აყარა. მეტოქე სამ-სამჯერ დაალელოვეს პერთის ფორსის ბეკებმა, კამერონ შეპარდმა და დიგბი იოანემ, ვინც თამაშის დღეს 21 წლისა მოიყარა, ანუ სრულწლოვანი გახდა. ფიჯმა ბოლოსღა გამოიღო ხელი და სამი კოხტა ლელო გაიტანა. მეტოქენი კი ამ შაბათსაც, ოღონდ მელბურნში შეიბმებიან და ოზები 3 ნომრად 130-კილოიან „როძილა" ბლეიქს ათამაშებენ.

ადელაიდი დიდ რაგბის 2003 წლის მსოფლიო თასზე ეზიარა. რაგბის კავშირი, ყველა შტატში რომ ცდილობს თამაშის განვითარებას, სამხრეთს პროფილად შვიდკაცა დაუდგინა და იმდენს მიაღწია, რომ ირბ-ის შვიდკაცის ეტაპი ადგილობრივ ოვალს ხუთი წლით დაუბევა. 16-გუნდა შეჯიბრება აპრილში გაიმართება ხოლმე და შტატის ბიუჯეტს 6 მილიონით შეავსებს, ხოლო ავსტრალია იმაზეც იჩალიჩებს, რათა 2009 წლის შკიდკაცას მსოფლიო თასიც თავისთან გამართოს.

ირბ-ის შვიდკაცას ეტაპი სერიის შემოღებიდან ბრისბენში იმართებოდა, მაგრამ რეორგანიზაციის შემდეგ ტურნირი რვა რომ დარჩა, ოზეთს ეტაპი ხელიდან გამოეცალა. ირბ-ის მიერ სამი წლით გაცემულ ლიცენზიებს ახლაღა გაუვიდა ყავლი. თუ ტურნირის ვადის მიხედვით ვიმსჯელებთ, ადელაიდს სახალისო რაგბის მოხეტიალე ცირკის მარშრუტში სინგაპური შეუცვლია, თორემ დუბაის, ველინგტონსა და ჰონკონგს პროგრამიდან ამოღებას როგორ გაუბედავდა ირბ.

ირბ თავისას მაინც არ იშლის და 2016 წელს შვიდკაცას ოლიმპიადაში შეტანისთვის ისევ იბრძვის. მამებს ძალიან ეამაყებათ, რომ 29 ტელეარხზე შოუ-რაგბის 135 ქვეყანაში 180 მილიონი ოჯახი ათ ენაზე იგემოვნებს. საბჭო მორიგი, VIII მსოფლიო სერიის გამოწვლილვითი განრიგის გამოქვეყნებას ივლისის ბოლომდე გვპირდება, ის კი უკვე გამოაცხადა, რომ ევროპის ხუთგზის ჩემპიონი პორტუგალია უკლებლივ ყველა ეტაპზე იჩაუქებს, რითაც დიდი რაგბის ერთა თასზე გვარიანად შეეშლება ხელი.

*მასალა მომზადებულია საიტზე: http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm*

## დონადონის იტალიის გაწვრთნა ეამაყება



„სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის რანგში რობერტო დონადონი გუშინ პირველად შეხვდა იტალიელ ჟურნალისტებს.

„მეამაყება, რომ იტალიის ნაკრების მწვრთნელი ვარ - წარმატების მისაღწევად ყველაფერს გავიღებ! ვიცი, როგორ ვათამაშო ნაკრები მომავალში. ერთი რამ აქედანვე ცხადია: მარჩელო ლიპის აშენებული გუნდის დახვეწას გავაგრძელებ და ვეცდები, მის მიერ დაწყებული საქმე განვავითარო. მსოფლიო ჩემპიონთა გაწვრთნა ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა," - განაცხადა 42 წლის სპეციალისტმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

რობერტო დონადონის სამწვრთნელო კარიერა 2001 წელს დაიწყო, როცა „კალჩო ლეჩო 1912" ჩაიბარა. მოგვიანებით „ჯენოას" ჩაუდგა სათავეში, შემდეგ კი „ლივორნოში" გადაინაცვლა. მისი ხელმძღვანელობით პროვინციული კლუბი 2004-05 წლების სეზონში სერია ა-ში მეცხრე ადგილზე გავიდა. 2005-06 წლების სეზონში კი მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა მოულოდნელად, პრეზიდენტთან უთანხმოების გამო, დონადონიმ გუნდი დატოვა.

აქტიური ფეხბურთელობისას ამპლუით ნახევარმცველმა დონადონიმ 63-ჯერ ითამაშა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში: 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, 1994 წელს კი ვიცე-ჩემპიონის ტიტულს დასჯერდა. მან ევროპის ორ ჩემპიონატზე იასპარეზა - 1996 და 1998 წლებში.

საკლუბო კარიერაში გაცილებით დიდ წარმატებებს მიაღწია: ჯერ ბერგამოს „ატალანტაში" თამაშობდა, საიდანაც 1986 წელს გადაინაცვლა „მილანში". ამ კლუბთან ერთად შემდგომი 11 წლის მანძილზე ხუთჯერ მოიგო სერია ა (1988, 1992, 1993, 1994, 1996), ოთხჯერ იტალიის სუპერთასი (1998, 1992, 1993, 1994), სამჯერ ჩემპიონთა თასი და ევროპის სუპერთასი (1989, 1990, 1994) და ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი (1989, 1990). „მილანის" დატოვების შემდეგ ამერიკის ლიგაში თამაშობდა.

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იტალიის ნაკრები პირველ მატჩს 2 სექტემბერს გამართავს - ლიტვას უმასპინძლებს.

მსოფლიო ჩემპიონი საქართველოს 11 ოქტომბერს ეწვევა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი ოთხჯერ დაუპირისპირდა იტალიას: 1998 და 2002 წლების მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირში. პირველ შემთხვევაში „სკუადრა აძურამ" შინ 1:0 მოიგო, ხოლო თბილისში ნულოვანი ფრე დაფიქსირდა. მეორე ციკლში ორივე მატჩი აპენინელების გამარჯვებით დასრულდა: 2:0 (ანკონაში) და 2:1 (თბილისში).

### საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბში

**გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!**

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის" ფილიალებში.

***საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია***